პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერთ ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირობა 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 31 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 71 (1826)

დ ღ ი უ რ ი

— უნიტარული პროფკავშირების დევნა რუმინეთში.
— მოლდაველთა პროტესტი ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის წინააღმდეგ.
— ამერიკის შეერთებულ შტატებში [illegible] სტუდენტების ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია.
— ინგლისელი და ამერიკელი მოქალაქენი—გაურბიან ჩინეთიდან.
— ნანკინში მომხდარ სისხლის ღვრის გამო საბჭოთა კავშირის ქალაქებში გრძელდება საპროტესტო დემონსტრაციები.
— დაიხურა ბაქოს ბაზრობა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ყრილობის ერთი კუთხე

საქართველოს მთავრობის ანგარიში

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება

ამხანაგებო, ჩვეულებრივად მოხსენებას მთავრობის და რესპუბლიკის ორგანოების მოღვაწეობის შესახებ უნდა წარუმძღვაროთ საბჭოთა კავშირ. საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა, რადგანაც ეს საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენი კავშირისა განსაზღვრავს, მის შინაურ მუშაობასაც. საქართველო-კი, როგორც იცით, წარმოადგენს ერთ პატარა ნაწილს დიდი კავშირისას. ამიტომ საჭიროა შევეხოთ საბჭოთა კავშირის და კერძოთ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

საერთაშორისო ასპარეზზე, ამხანაგებო, დღეს იბრძვის სამი სხვადასხვა ძალა: პირველია საბჭოთა კავშირი, რომლის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შენდება კერძო საკუთრების პრინციპის უარყოფაზე და, რომლის სამეურნეო მუშაობა მიმართულია სოციალიზმისაკენ. მეორე ძალა არის იმპერიალისტური ქვეყნები, მესამე ძალა, რომელიც იბრძვის მსოფლიო ასპარეზზე, არის აღმოსავლეთი, შორეული აღმოსავლეთი, საშუალო აზია, და მცირე აზია—ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები აღმოსავლეთში. როგორია ამ ძალთა შორის განწყობილება?

საბჭოთა კავშირი მაგრდება დღითიდღე, მასში მტკიცდება პროლეტარიატის დიქტატურა, მისი მეურნეობა იზრდება დღითი-დღე, იზრდება როგორც მრეწველობა, ისე სასოფლო-მეურნეობა და იმდენად, რამდენადაც მტკიცდება პროლეტარიატის დიქტატურა და იზრდება ჩვენი მეურნეობა, იმდენად მტკიცდება კავშირი და ერთობა იმ ხალხთა შორის, რომლებიც შედიან ჩვენს საბჭოთა კავშირში.

იმპერიალისტურ ქვეყნებში კი ბურჟუაზია მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ განამტკიცოს თავისი შერყეული დიქტატურა, თავისი პოლიტიკური ძალაუფლება შეინარჩუნოს და ამას საფუძვლად უდებს მეურნეობის ახალ მეთოდებს.

ბურჟუაზიის პოლიტიკური ძალა-უფლება, მისი ეკონომიური ბატონობა ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით დიდი ომის შემდეგ განიცდის საგრძნობ რყევას. ამის დამამტკიცებელი საბუთები ჩვენ მრავალი გვაქვს. ავიღოთ ორი მთავარი: 1) გასულ წელს ინგლისში მომხდარი საერთო და შემდეგ მაღაროს მუშების ხანგრძლივი გაფიცვა; 2) საფრანგეთის ბრძოლა მაროკოში, სირიაში ამ მხარეების დასაპყრობათ. ან უკეთ, რომ ვსთქვათ აჯანყება მაროკოში და სირიაში საფრანგეთის წინააღმდეგ და ჩინეთში ინგლისის და ამერიკის წინააღმდეგ. აი, დამახასიათებელი მომენტები ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალა-უფლების რყევის. და ამიტომ ბურჟუაზია სცდილობს ისეთ საშუალებებს მიმართოს, რომლებიც მისი აზრით განამტკიცებენ მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას.

პირველ ყოვლისა ბურჟუაზია სცდილობს სხვა და სხვა ქვეყნებში მოახდინოს თავის მრეწველობის რეკონსტრუქცია, მეურნეობის რაციონალიზაცია, ამის საბუთები ჩვენ ბევრი გვაქვს, მაგრამ მე მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ფაქტს, რომ ჩვენ ვიქონიოთ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მუშაობს ბურჟუაზია ამ მიმართულებით. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ლამობენ, თავიანთი ბატონობა განამტკიცონ ელექტროფიკაციის ნიადაგზე ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. მე მოგიყვანთ ცნობებს ამის შესახებ. 1920 წელში საერთო ჯამი ენერგიისა, რომელიც მუშავდებოდა მსოფლიო ელ-სადგურებზე უდრიდა 23 მილიონ ცხენის ძალას, 1923 წელში—29 მილიონ ცხენის ძალას., ხოლო 1926 წლის დასაწყისში—35 მილიონ ცხენის ძალას.

ბურჟუაზია ცდილობს თავისი ეკონომიკა დააფუძნოს ელექტროფიკაციაზე და ამრიგად გააიაფოს თავის ნაწარმოები. ამასთან ერთად ცალკე სახელმწიფოები ამჟამად აწარმოებენ ორგანიზაციულ ცენტრალიზაციას წარმოებისას. ამის მაგალითი გერმანიაში 1926 წელში მოხდა რურის სამთა-მადნო ტრესტისა და ქიმიური ტრესტის შეერთება ერთ ტრესტად, რომლის ძირითადი კაპიტალი უდრის ოთხ მილიარდ გერმანულს მარკას ე. ი. 2 მილიარდს მანეთს.

ინგლისმა განიცადა ნახშირის წარმოებაში მომხდარი გაფიცვით გამოწვეული კრიზისი. ამან აიძულა ინგლისის ბურჟუაზია შესდგომოდა ამ დარგში ტრესტიფიკაციას. დაარსდა შეერთებული სინდიკატი ნახშირის გასასყიდად, შეერთდა ქიმიური კონცერნები და სხვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ წელს ტრესტიფიკაცია იმ წერტილამდე ავიდა, რომ ამერიკის ვაჭრობის „დჯერნალ ოფ კომბერას" ოფიციალური ორგანო სწერს, რომ 1926 წელი ამერიკაში უნდა ჩაითვალოს „ტრესტების წლადო". ამავე დროს, ამხანაგებო, ბურჟუაზიული კაპიტალისტური სახელმწიფოები და უმთავრესად ვინც სათავეში უდგას ამ სახელმწიფოებს—ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა და სხვები გააფთრებით ანვითარებენ ავიაციას. განსაკუთრებით ინგლისი, ვინაიდან დომინიონებზე ინგლისის ბატონობის საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ მათ პირი იბრუნეს ინგლისისაგან და ამერიკისაკენ მიილტვიან. ავიაციის საშუალებით ინგლისი ფიქრობს ხელ-ახლა დაიახლოვოს დომინიონები და მათზე ბატონობა შეინარჩუნოს.

საერთო ეკონომიური კონიუნქტურა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სხვა და სხვანაირია. ამერიკამ გასულ წელში შეიტანა მრეწველობაში ახალი კაპიტალი, რომელიც უდრის ექვს მილიარდ და 45 მილიონ დოლლარს.

სხვა ქვეყნებში ეკონომიური კონიუნქტურა სხვა და სხვანაირია. აქ მტკიცდება ურყევი თეზისი, რომელიც ლენინმა წამოაყენა, კაპიტალისტური ქვეყნების უთანასწორო განვითარების შესახებ. ერთი ასწრებს, მეორე რჩება და მესამე კიდევ უკან არის. ყველა სახელმწიფოებში მძვინვარებს ზოგან ძლიერი, ზოგან უფრო სუსტი ეკონომიური კრიზისი. კრიზისს განიცდიან ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიაც. მეორე საშუალება, რომელსაც მიმართავს ბურჟუაზია თავის ბატონობის განმტკიცებისათვის, ეს არის ურთიერთს შორის ეკონომიური ხელშეკრულების დადება. მაგრამ ეს ცდა არაფერს უმატებს ბურჟუაზიულ ქვეყნებს.

რატომ? ევროპის სახელმწიფოების შუა გულში არის გერმანია. მის ირგვლივ არის მისი მოწინააღმდეგე სახელმწიფოები და თუ გერმანიასთან არ იქნება ხელშეკრულება დადებული, ევროპის მრეწველობის განვითარება, თანხმობის ნიადაგზე შეუძლებელია. აგრეთვე შეუძლებელია ეკონომიური შეთანხმება ამერიკასა და ევროპის სახელმწიფოებს შორის. ამერიკა ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით თანასწორ უფლებიანი მხარე კი არ არის, არამედ გაბატონებული სახელმწიფოა, რამდენადაც მისი ვალი ყველა ევროპის სახელმწიფოებს მართებს. შემდეგი ზომა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ბატონობის შენარჩუნებისათვის არის ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ ყველა ქვეყნებში.

ეს ბრძოლა მიმდინარეობს ხან აშკარათ,—როგორსაც აწარმოებდა გასულ წელს ინგლისის მთავრობა. ანდა როგორიც არის ფაშისტური მთავრობების ტერორისტული ბრძოლა მუშების წინააღმდეგ, ხან ფარულ ფორმებში ინგლისის მთავრობა ფიზიკურ გამარჯვების შემდეგ აწარმოებს ახალ მეთოდებს ბრძოლისას თავის მუშათა კლასის წინააღმდეგ. ინგლ. მთავრ. ფიზიკ. გამარჯვების შემდეგ აწარმოებს ახალ მეთოდებს ბრძოლისას თავის მუშათა კლასის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობის გამარჯვების შემდეგ დასწიეს მუშის ხელფასი, გაადიდეს სამუშაო დღე. ეხლა ინგლისის ბურჟუაზია სცდილობს ზავი ჩამოაგდოს მუშათა კლასთან ძველი ნაცადი საშუალებებით, კლასობრივი თანამშრომლობის ნიადაგზე და გახადოს მისი ზედა ფენები მონაწილედ იმ მოგებაში, რომელსაც მწარმოებლები იღებენ ხოლმე მრეწველობიდან. ბურჟუაზიას ყველა ამ საქმეებში ეხმარება მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალები.

შემდეგი საშუალება, რომელსაც მიმართავს ბურჟუაზია თავისი პოლიტიკური უფლების განსამტკიცებლად, არის შებრძოლება ახალშენების და ნახევრად-ახალშენების წინააღმდეგ. ამის უაღრეს გამოსახულებას წარმოადგენს ინგლისის დღევანდელი ბრძოლა ჩინეთის წინააღმდეგ. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ შარშან დამთავრდა აჯანყება მაროკოში, დამთავრდა აჯანყება სირიაში, საფრანგეთის ბურჟუაზიამ დაიპყრო - დაიმორჩილა ეს მხარეები. შარშანს აქეთ დღევანდლამდე სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა ჩინეთში ინგლისის და ამერიკის ბატონობის წინააღმდეგ.

მიუხედავათ ამ ორი ქვეყნის თანამშრომლებისა, მათ რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში ვერ ჩააქრეს. შანხაის და ნანკინის აღება მოასწავებს იმას, რომ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას არ შეუძლია დაიპყროს ჩინეთი და მით განამტკიცეს თავისი პოლიტიკური პოზიციები ჩინეთში, ამხანაგებო, არა ერთხელ მომხდარა აჯანყება, არა ერთხელ იყო ცდა რევოლიუციის მოხდენისა, მაგრამ ყოველთვის ეს აჯანყება და ეს რევოლიუცია მარცხდებოდა. ტაიპინგების აჯანყება გასულ საუკუნეში, რომელმაც სატახტო ქალაქათ ნანკინი გამოაცხადა დამარცხდა 12 წლის შემდეგ იმიტომ, რომ მათ ვერ გაბედეს შანხაის აღება. შანხაი არის გასაღები ჩინეთის ტერიტორ. შემსვლელთათვის. ბატონობა პოლიტიკური და სამხედრო ამ მხარეზე მას ეკუთვნის, ვისაც ხელში აქვს შანხაი. მაშინ შანხაი ევროპიელებს შერჩათ ხელში და სწორედ ამიტომ დამარცხდა ეს მოძრაობა. დღეს კი ჩინეთის რევოლიუციამ შანხაი აიღო და გასაღები ხელში აქვს რევოლიუციურ მთავრობის, გომინდანის პარტიას. ამიტომ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ჩინეთის რევოლიუცია უმაგალითო რევოლიუცია არის. შანხაის გადასვლა რევოლიუციის ხელში ნიშნავს იმას, რომ აღმოსავლეთის დამორჩილება ევროპის სახელმწიფოებს უკვე აღარ ძალუძთ.

შემდეგი ხერხი, რომელსაც მიმართავენ იმპერიალისტური ქვეყნები—არის ცდა თავდასხმისა ჩვენს კავშირზე.

ჩვენი კავშირი, ამხანაგებო, ბურჟუაზიას აინტერესებს არა იმიტომ, რომ ჩვენ ან და ჩვენ ყოფილ მთავრობებს ევროპის და ინგლისის ბურჟუაზიისგან ბევრი სესხი აუღია, ეს სულ უბრალო საქმეა ბურჟუაზიის საერთო ბალანსში. ბურჟუაზია იბრძვის გააფთრებით ჩვენ წინააღმდეგ იმიტომ, რომ ჩვენ ვარსებობთ, ვარსებობთ როგორც ახალი სისტემა, რომელიც ძირს უთხრის ძველს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირის არსებობა მუშათა მოძრაობას აძლიერებს, მათ იციან, რომ სანამ არსებობს ეს კავშირი, აჯანყების ჩაქრობა აღმოსავლეთში არ შეიძლება და ამ ამით აიხსნება ის [illegible]



ამხ. შალვა ელიავა ტრიბუნაზე

ბურჟუაზიული ქვეყნები გააფთრებით იბრძვიან ჩვენ წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში მათ ხელმძღვანელობს ინგლისი. ამიტომ არის, რომ ინგლისი სცდილობს ჯერ განაიარაღოს ჩინეთი და შემდეგ მოსდგეს ჩვენ კავშირს და ამნაირად მოიცილოს თავიდან ის ორი ძალა, რომელთა გამარჯვება ემუქრება მის არსებობას. ყველა ამ საქმეებში ბურჟუაზიას ეხმარება იგივე სოციალ-დემოკრატია. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ პარიზში მოხდა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია, სადაც ჩინეთის რევოლიუციის საკითხებს შეეხენ, და განსაკუთრებით იმსჯელეს „ტერორისტულ მოქმედებაზე" ზოგიერთ სახელმწიფოებში, კერძოთ საბჭოთა კავშირში, უფრო კი ჩვენში—საქართველოში.

მეორე ინტერნაციონალი ყველა უბედურებათა მიზეზათ, რომლებიც დღეს აღმოსავლეთში თავს დაატყდა ბურჟუაზიას, ჩვენ გამოვყევართ.

აქედან აშკარაა, რომ მეორე ინტერნაციონალს პოლიტიკური კავშირი აქვს ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ ბურჟუაზიასთან. მეორე ინტერნაციონალის გამოსვლებს ჩვენს წინააღმდეგ ფაქტიურად ხელმძღვანელობს ჩემბერლენი.

მაგრამ ყველა ამ ცდებმა ამათ ჩაუარა ჩემბერლენს. რატომ, ამაზე ქვევით. აქ კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: რამდენათ ძლიერია ინგლისის შემოტევა ჩვენზე, იმდენათ ძლიერია დაახლოება ჩვენთან ოსმალეთის, ავღანისტანის, სპარსეთის და სხვა აღმოსავლეთის ხალხების.

ამით აიხსნება ის, რო ჩვენი მდგომარეობა ამ ორ მებრძოლ ძალთა შორის აჯანყებულ აღმოსავლეთსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის დღითიდღე მტკიცდება, იმპერიალისტურ ქვეყნების ბლოკს უპირდაპირდება საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ქვეყნების ბლოკი. ჩინეთის რევოლიუცია პირდაპირ გაგრძელებაა ჩვენი რევოლიუციისა. ლენინმა თავის დროზე წამოაყენა ის აზრი, რომ ჩინეთის რევოლიუცია იქნება გადამჭრელი მნიშვნელობის რევოლიუცია მსოფლიო რევოლიუციაში. სრულიად არ არის შემთხვევითი ის მოვლენა, რომ რევოლიუცია ჩვენშიაც და ჩინეთშიაც ებრძვის განსაკუთრებით ინგლისს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი დღეს-დღეობით დაქვეითდა და მისი ეკონომიკა თანდათანობით უკან იწევს, იგი მაინც დღეს მეთაურობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს განაგრძოს თავისუფალი მშენებლობა შიგნით. რატომ ვერ შექმნეს ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა ჩვენს წინააღმდეგ კავშირი? იმიტომ, რომ მათ შორის ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობა არსებობს. ამერიკა ებრძვის ევროპას. უნდა ისეთი ეკონომიური პირობები შექმნას, რომ თავის კონტროლ ქვეშ დააყენოს ევროპის მეურნეობა. ამერიკა ებრძვის ინგლისს, ინგლისი—ამერიკას. ისინი იბრძვიან [illegible]დამპყრობელობისათვის, მათ სურთ განამტკიცონ თავიანთი ბატონობა დიდ ოკეანეზე.

ისინი იბრძვიან ურთიერთშორის მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სახელმწიფო, როგორც მოგახსენებთ, თანამშრომლობენ დღეს ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. ამერიკა მართალია ახალგაზრდა სახელმწიფოა შედარებით, მაგრამ ის არის სიმაგრე, ქვაკუთხედი ბურჟუაზიულ წყობილებისა. ინგლისი კი დღეს წარმოადგენს კაპიტალიზმის უფრო სუსტ მხარეს.

დომინიონები ებრძვიან ინგლისს, ამერიკა ემზადება იაპონიის წინააღმდეგ. ორივე ეს სახელმწიფო დაინტერესებულია ჩინეთის დამორჩილებაში. ამ უკანასკნელისა და მათი მორიგება ყოვლად შეუძლებელია. ინგლისი და იტალია ერთად არიან საფრანგეთის წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ინგლისი სცდილობს თავის კონტროლის ქვეშ დააყენოს ხმელთაშუა ზღვა, ამიტომ საჭიროა, რომ შესაფერისი ძალა ჰქონდეს ზღვაზე მას და არა საფრანგეთს. ამავე დროს ინგლისი მხარს უჭერს იტალიას მცირე აზიაში ოსმალეთის წინააღმდეგ. გერმანიის ინტერესები ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესებს ეწინააღმდეგება. პოლონეთი ებრძვის გერმანიას, გერმანია პოლონეთს. ბალკანეთის სახელმწიფოები ერთიმეორის წინააღმდეგი არიან. დაიშალა ეგრეთ წოდებული პატარა ანტანტა.

როგორი არის ჩვენი ამოცანები ასეთ მდგომარეობაში? ჩვენი ამოცანა არის ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. მშვიდობიანობის დასამყარებლად და გასამტკიცებლად საჭიროა წითელი არმიის სიძლიერე, მისი სათანადოთ მომარაგება, როგორც მატერიალურად, ისე ტეხნიკურად. აგრეთვე ახალგაზრდობის სათანადო სამხედრო მომზადება.

არის თუ არა უშუალო საშიშროება ჩვენზე სამხედრო თავდასხმის?

ჩვენი აზრით, არა. იმიტომ, რომ მშვიდობიანობის ფაქტორები ძლიერია, მრავალრიცხოვანია. ჩვენი კავშირი მშვიდობიანობისათვის იბრძვის. მშვიდობიანობის მომხრენი არიან თურქები. მშვიდობიანობის მომხრენი არიან კიდევ ჩინეთი, ოსმალეთი და სპარსეთი. ომიანობის ფაქტორებია, ამხანაგებო, ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, იტალია. ამის მაჩვენებელია მათი სამხედრო შეტევა ჩინეთის წინააღმდეგ. ომს ამზადებს პოლონეთი. მართალია, პოლონეთი არ არის ისეთი ძლიერი, რომ თავის-თავად, თავის ინიციატივით, თავის საშუალებით შესძლოს გამკლავება ან იარაღით შემოტევა ჩვენს წინააღმდეგ. ის არის იარაღი დიდი სახელმწიფოების და, კერძოთ—ინგლისის. დღეს, ამხანაგებო, პოლონეთის სათავეში სდგას ისეთი მთავრობა, რომელსაც იდე-ფიქსად დარჩენია ძველი მეფობა. როდესაც პოლონეთი მეფობდა ზღვიდან ზღვამდე, შავი ზღვიდან—ბალტიის ზღვამდე. ომის ფაქტორია აგრეთვე რუმინეთი რომელსაც უნდა ფორმალურად მიისაკუთროს ბესარაბია. ამ საქმეში მას ეხმარება იტალია, ეხმარება ინგლისი. ომის ფაქტორია აგრეთვე მე-2 ინტერნაციონალი და ამსტერდამი, იმდენად, რამდენად ისინი უშლიან ხელს მუშათა კლასს პირდაპირ შეებრძოლონ თავიანთ მთავრობებს და ჩაუკლან მათ საშუალება და სურვილი ომიანობისა.

ამიერ-კავკასიის, ამხანაგებო, და კერძოთ საქართველოს მდგომარეობა, რასაკვირველია, პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ჩვენი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. თუმცა საქართველოს და ამიერ-კავკასიას თავისი საკუთარი ღირებულება აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში. ამით არის გამოწვეული, რომ კონტრ-რევოლიუცია, როგორც ს.-კ-ში მთლიანად ისე, განსაკუთრებით, ჩვენში, სცდილობს უკრაინის და ჩრდილო-კავკასიის მთიელ კონტრ-რევოლიუციასთან ერთად დაეყრდნოს ჩვენი კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას. ისინი უცდიან იმ მომენტს, როცა პოლონეთი ომს დაიწყებს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, დარწმუნებული ვართ, რომ არც უცხო ძალა, არც ჩვენებური კონტრ-რევოლიუცია აქედან განდევნილი, არ არის ისეთი ძლიერი, რომ დღეს უშუალოდ შემოუტიონ ჩვენს საბჭოთა კავშირს; ევროპის სახელმწიფოებში ურთიერთობა ისე დახლართულია, იმდენად ძლიერია მათ შორის წინააღმდეგობა, რომ მათი შეერთება ჩვენს წინააღმდეგ ამ ჟამად შეუძლებელია. თუ, რასაკვირველია, ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია, მოახერხებს მუშათა კლასის განიარაღებას, აღმოსავლეთის რევოლიუციის დამარცხებას, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ საფრთხე მოგველის, მაშინ შეიძლება მათი გამოლაშქრება, მაშინ შეიძლება ერთი ხნით შენელდეს მათ შორის წინააღმდეგობა და გადმოვიდენ ჩვენზე შეტევით. მაგრამ ყველა ის მომენტები, რომლებზედაც მოგახსენებთ, მოწმობს. რომ ასეთი თანხმობა მათ შორის შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უშუალოდ ომის საშიშროება ჩვენ არ მოგველის. ეს, რასაკვირველია. არ ნიშნავს. რომ ჩვენ ასეთი მდგომარეობით დავკმაყოფილდეთ და ყურადღება არ მივაქციოთ ჩვენ მოვალეობას, ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი წითელი ლაშქრის სამხედრო ძლიერება. ეს იმიტომ. რომ ევროპის სახელმწიფოები იმპერიალისტური ომის შემდეგ განსაკუთრებით აწარმოებენ სამხედრო მომზადებას. მათი სამხედრო ბიუჯეტი ომის შემდეგ გაიზარდა, [illegible] ჯარების რიცხვიც, გამდიდრდა ავიაცია, განმტკიცდა სამხედრო მრეწველობა. განვითარდა ქიმია ისე, რომ მეტის წარმოდგენა დღეს [illegible]. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს რეზერვი, სათადარიგო მასსა ახლა მეტი ყავს, ვიდრე ოდესმე. და რასაკვირველია, არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ ევროპას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ჯარის რიცხვი გავადიდოთ, ჩვენი ჯარი საკმარისია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ბიუჯეტის მეტი ნაწილი სამხედრო საქმეებს მოვანდომოთ, მაგრამ ჩვენი ინდუსტრიალიზაცია იქითკენაც უნდა იქმნეს მიმართული. რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი სამხედრო მოთხოვნილებანი. საჭიროა ჩვენი ჯარის ტეხნიკურად მომზადება, საჭიროა მისი მატერიალური მომარაგება, საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენს კავშირში შემავალ ყველა ერების ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება. საჭიროა გვყავდეს სათანადოთ მომზადებული მასსა. და მე დარწმუნებული ვარ და ჩემთან ერთად ყველანი თქვენც, რომ ამ მოვალეობას ჩვენ შევასრულებთ.

და თუ ისტორია გვაიძულებს თავი დავიცვათ, ჩვენ თავის დაცვას შევსძლებთ, დავიცავთ მუშათა კლასის ბატონობას და დავაყენებთ იმ დონეზე, რომ ჩვენ წაგვბაძოს ევროპის მუშათა კლასმა და ძალა უფლება გამოგლიჯოს ხელიდან თავის ბურჟუაზიას (მხურვალე ტაში).

საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა

ამხანაგებო! შეუძლებელია გავერკვიოთ ჩვენ შინაურ მუშაობაში, კერძოთ საქართველოში, თუ არ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას. ჩვენი საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი მომენტებით: მუშათა კლასის დიქტატურა ძლიერდება, მეურნეობა საერთოდ და კერძოდ მრეწველობა იზრდება, დიქტატურის განმამტკიცებელი მაგალითები უნდა ვეძებოთ თუნდაც ახლად მომხდარ საბჭოთა არჩევნებში. ეს არჩევნები მოწმობენ იმას, რომ არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლოს ბრძოლა გაგვიწიოს საბჭოთა ორგანიზაციის ფარგლებში.

მართალია სწარმოებს ბრძოლა სხვადასხვა ელემენტებს შორის, მაგრამ ამ ბრძოლას შედეგი არ მოყვება, ან უკეთ, ვსთქვათ არ შეუძლია შედეგათ მოყვეს ჩვენი დიქტატურის გაუქმება. მეურნეობასა და მრეწველობაში კი სჭარბობს სოციალისტური ელემენტები.

როგორ სურათს იძლევა ჩვენი კავშირის მეურნეობა; საერთო შემოსავალი ამხანაგებო ომის წინა დროს დაფასებით უდრის სასოფლო მეურნეობაში 1925 და 26 წელში 11 მილიარდს 300 მილიონ მანეთს. მრეწველობაში კი 6 მილიარდს ცხრაას მილიონ მანეთს. საერთო პროდუქცია უდრის 18 მილიარდს 200 მილიონ მანეთს. 23 და 24 წლის განმავლობაში უდრიდა: 12 მილიარდს 300 მილიონ მანეთს. სასოფლო მეურნეობის ხვედრი ამ საერთო პროდუქციაში იყო 69,8 პროც. 1913 წელს მრეწველობაში კი 36,2 პროცენტ., ხოლო 25-26 წელს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია შეადგენს საერთო 60,1 პროც., მრეწველობა კი 37,9 პროც., ე. ი. დღევანდელ პროდუქციაში უფრო გაძლიერდა მრეწველობის პროდუქცია. ეს ნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობაში ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმ დონეს, როგორც მრეწველობაში. 1913 წელში მრეწველობის დარგში მსხვილ მრეწველობას ეკუთვნოდა 29 პროც., ჩვენ დროს კი 31,7 პროცენტი.

წვრილი წარმოება 1913 წელს შეადგენდა 7,2 პროცენტს, ხოლო 26 წელში 8,2 პროცენტს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენში მსხვილ ინდუსტრიას უფრო დიდი ადგილი უჭირავს საერთო მეურნეობის პროდუქციაში. მრეწველობის დარგში კი მსხვილი მრეწველობა სჭარბობს წვრილ მრეწველობას.

როგორ ვითარდება სოფლის მეურნეობა ჩვენს კავშირში?

სათესი მიწის არე იზრდება, მაგრამ ომის წინა დროინდელ დონეს მაინც ვერ მივაღწიეთ. სასოფლო მეურნეობაში ამხანაგებო, ჯერ კიდევ ხორბლეულობა სჭარბობს ტეხნიკური მცენარეების კულტურას. თქვენ იცით, ტეხნიკური კულტურა არის ბაზა, საფუძველი ჩვენი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ჩვენი მიზანი არის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულ მასალის დამზადებას. წელს ტეხნიკურ კულტურის პროდუქციამ იკლო გასულ წელთან შედარებით.

ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვერ ვაწარმოვეთ ფასების სწორი პოლიტიკა. ვერ დავაწესეთ ისეთი ფასები, რომ ამას გაეღვიძებია ტეხნიკურ-კულტურის განვითარების საქმეში გლეხების ინტერესი.

ამიტომაც იძულებული ვართ ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული უცხოეთიდან შემოვიტანოთ. ფასების პოლიტიკის გამოსწორების საკითხი არის დიდმნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი სახელმწიფოსათვის და ამიტომ დაკვირვებით წესით უნდა გადავსინჯოთ ის.

იზრდება შეუჩერებლივ აგრეთვე მესაქონლეობა ჩვენს კავშირში. გასულ წელს საქონლის რიცხვი უდრიდა 1916 წლის 93,6 პროც. მესაქონლეობა ხომ განიავებული იყო დიდი ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომის დროს.

როგორია სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მოსახლეობის შემოსავალი?

სოფლის მეურნეობას გაუსაღებია სოფლის გარეთ ბაზრებზე 1925-26 წ. სამი მილიარდის და 734 მილიონი მანეთის საქონელი. ხოლო მიმდინარე წელში ნავარაუდევია ოთხი მილიარდი 138 მილიონ მანეთის ასეთი საქონლის გასაღება.

მიუხედავათ აშკარა ზრდისა, სოფლის მეურნეობაში ჩვენ მაინც ჩამოვრჩით ომის წინადროს 6,4 პროცენტით.

გადავდივარ მრეწველობაზე.

აქ სურათი შემდეგია: გასულ წლისათვის მრეწველობის განვითარება ნავარაუდევი იყო 49 პროც. წინა წელთან შედარებით. მაგრამ, შემდეგ, როდესაც გადავიანგარიშეთ და შევასწორეთ ჩვენი გეგმები, მთავრობამ მრეწველობის განვითარება განსაზღვრა 39 პროცენტით. იცით, რომ ჩვენ მრეწველობას გასულ წელში ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები შეხვდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან თავისი პროდუქცია გაზარდა 42 პროცენტამდე 39 პროცენტის მაგიერ.

ეს შესძლო მრეწველობამ თავისი ტეხნიკური ბაზის შეცვლით და თვალსაჩინო კაპიტალის (800 მილ. მან.) დაბანდებით.

ასეთ მიღწევებთან ერთად მრეწველობას გასულ წელში ერთი დიდი ნაკლიც გამოაჩნდა. სამრეწველო პროდუქციის ფასებმა აიწია 2,16 პროცენტით. ფასების აწევა აიხსნება ჩვენი ფაბრიკ-ქარხნების საკმაოდ დაცვეთილობით და ჩვენ მრეწველობაში 400.000 ახალი მუშა-ხელის სოფლებიდან შემოჭრით. მათ არ ქონდათ სათანადო გამოცდილება. სათანადო დისციპლინა, არ ემორჩილებოდნენ სწორ სამრეწველო ორგანიზაციას. მათ შემოიტანეს მრეწველობაში, სტიქიური, ინდივიდუალისტური მისწრაფებანი.

მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1925-26 წელში ღირდა: სახელმწიფო მრეწველობის 5,333 მილ. მან., კოოპერატიული 338 მილ. მ. ხოლო კერძო—1,252 მილ. მან.. საერთო ჯამი 6,923 მილ .მან.. ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია უდრის საერთოს 77 პროც., კოოპერაციის 5 პროც., კერძო 18 პროც..

იზრდება მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვიც. 25-26 წელს ეს რიცხვი უდრიდა 1.903.035 კაცს. საერთო პროდუქტის ღირებულება საშუალოდ თვეში 25-26 წელს უდრის 892.272 მანეთს. საშუალო გამომუშავება ერთ მუშაზე დღეში 6 მ. 32 კაპ.

საერთო პროდუქციის ღირებულება საშუალოთ თვეში 1924-25 წელში უდრიდა 639.981 მან. 1924-25 წელში მუშათა რიცხვი უდრიდა 1.529.900 კაცს, საშუალო გამომუშავება კი უდრიდა 5 მ. 65 კაპ.. მაშასადამე გაზრდილა როგორც მუშათა რიცხვი ისე საშუალო გამომუშავებაც ამ ერთი წლის განმავლობაში.

საერთოდ ჩვენს მეურნეობაში ჩაბმული იყო გასულ წელს 9.808.000 კაცი, 1924-25 წელში იყო 8.256.000 კაცი, 1913 წელში კი 11.200.000 კაცი.

მიუხედავათ მეურნეობისა და მასში ჩაბმულ მუშათა რიცხვის ზრდისა უმუშევართა რიცხვი მაინც თვალსაჩინოა. უმუშევართა რიცხვი უდრის 1.200.000 კაცს. ასეთი უმუშევრობა გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი ჩამორჩენილი სოფლებიდან დიდძალი უმუშევარი აწყდება ქალაქებს.

არ შეიძლება არ გავიცნოთ მოკლეთ მაინც მომხმარებელ კოოპერაციის მდგომარეობა. ეს ხომ ის ორგანიზაციაა, რომელმაც უნდა განამტკიცოს საქმიან ნიადაგზე კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის.

კოოპერატიულ საზოგადოებათა რიცხვი კავშირში უდრიდა გასულ წელში 28.291. მათ შორის ქალაქებში და მუშათა კოოპერატივებში 1.566, სატრანსპორტო 38, ხოლო სოფლად 26.687. დუქნების საერთო რიცხვი 60.672, მათ შორის ქალაქსა და მუშათა რაიონებში 14,712, სატრანსპორტო 1.958, ხოლო, სოფლათ 44.002.

საზოგადოებათა წევრების რიცხვი 11.846.000 კაცს უდრის.

მუშათა და სატრანსპორტო კოოპერატივებში 4.968.000 წევრი, სოფელში კი 6.878.000 წევრი. როგორც ხედავთ წევრთა რიცხვი სოფელში სჭარბობს.

საერთო ბრუნვა კოოპერაციის უდრის 6.938.900.000 მანეთს.

წმინდა ბრუნვა უდრის 3.466.200.000 მანეთს. აქედან სოფლისათვის მიუყიდნიათ გასულ წელში 1.314.900.000 მანეთის, ხოლო ქალაქსა და მუშათა რაიონებისათვის 2.151.300.000 მ. ბრუნვის საქმეში ქალაქი ასწრობს სოფელს.

აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. სოფლის კოოპერაციაში უფრო მეტი თანხები უნდა დაბრუნდეს. სოფელში მეტი საქონელი უნდა შევიტანოთ.

კოოპერაციამ გასულ წელში დაუკლო ფასები გასაყიდ საქონელზე შემდეგნაირად. სოფლის კოოპერაციამ 4,7 პროც., ქალაქში 1,7 პროც., ეს საცალო ვაჭრობაში, საბითუმო ვაჭრობა კი სარაიონო კავშირებში 3 პროც. მეტი დაკლება ფასებისა შეუძლებელი შეიქნა იმიტომ, რომ ამას გადაეღობა რკ. გზის ტარიფის აწევა, აქციზის აწევა, კომუნალურ ტარიფების აწევა და სხვ. აი ეს ელემენტები გადაეღობა წინ.

აი, ამხანაგებო, ეს ციფრები ახასიათებენ ჩვენ შინაურ მდგომარეობას. აქედან ვხედავთ, რომ ჩვენი მეურნეობა თანდათან იზრდება. საბჭოთა კავშირის მეურნეობაში სახელმწიფოებრივი მეურნეობა სჭარბობს კერძო მეურნეობას. სოციალისტური სექტორი ჩვენი მეურნეობისა უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ.

(გაგრძელება იქნება)

კ ა მ ა თ ი

მესამე დღის დილის სხდომაზე იწყება კამათი საქართველოს მთავრობის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. ჭელიძეს შორაპნის მაზრის დელეგატს.

ამხ. ჭელიძე

(შორაპნის მაზრა)

მეტს გარეშეა,—„ამბობს ამხ. ჭელიძე, რომ მთავრობის მუშაობა წლიდან-წლამდე ფართოვდება, იგი თანდათან უფრო ნაყოფიერი ხდება, მაგრამ ამ მუშაობის დროს ადგილი აქვს ნაკლულოვანებებს, რაზედაც უნდა შეჩერდეს ყრილობის ყურადღება. კერძოთ შორაპნის მაზრაში თავი იჩინა მიწის ყიდვა-გაყიდვამ, რომელიც სწარმოებს ფარულად— მიწის იჯარით გაცემის, გაცვლა-გამოცვლის, საზღვრის გადაწევის და სხ. სახით. მაზრის სასამართლოებში შედის საჩივრები ამ ბოროტების შესახებ, მაგრამ სასამართლოები ამ საკითხს მეტ წილად ფორმალურად უდგებიან და არ არკვევენ საქმის არსებით მხარეს.

ორატორი ეხება აგრეთვე სურამ-ძირულის გზატკეცილის გაყვანას, რომელიც მთავრობამ დაიწყო, მაგრამ ვერ დაამთავრა და დაუმთავრებელი სახით გადასცა სამაზრო აღმასკომს, რომელსაც სახსარი არ ყოფნის გზატკეცილის დასამთავრებლად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სასამართლოების მუშაობას სოფლად; საგლეხო და შრომის საქმეების გარჩევას სასამართლოები მეტად აგვიანებენ, ამასთან არის შემთხვევები, როცა გავლენიან და შეძლებულ პირთა საჩივრებს კი დანიშნულ ვადაზე ადრე არჩევენ. ამ გარემოების მიზეზი არის ის, რომ სასამართლო აპარატში კიდევ საკმაოდ არიან დარჩენილი ძველი მოხელეები—ბიუროკრატები.

ორატორი საჭიროდ სცნობს აგრეთვე მეტი ყურადღება მიექცეს სოფლის მოსახლეობის გასამხედროების საქმეს.

ამხ. მეგრელიშვილი

(ჭიათურა)

მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება,—ამბობს ორატორი,—ზომებს იღებს, რათა ჭიათურის შავი ქვის კონცესიონერებს დააცვევინოს დადებული ხელშეკრულება, ყოფილი თავადები და კერძო მრეწველები ავრცელებენ ხმებს თითქოს კონცესია ქართველი მუშების საზარალოდ იყოს გაცემული, თითქოს მთავრობა იყვეს დამნაშავე უმუშევართა რიცხვის გამრავლებაში. ასეთი პროვოკაციით ისინი არღვევენ ხელისუფლების ნორმალურ მუშაობას. საჭიროა ჭიათურის გაწმენდა ამ ყოფილ მრეწველთაგან.

უმუშევრობა შენელებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობით და დამზღვევი სალაროსათვის თანხების გადიდების საშუალებით. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საბინაო მშენებლობას ჭიათურაში, სადაც დღეს შენდება თითო-ოროლა უვარგისი კარდონის სახლი.

ეხება რა ფასების დაკლების საკითხს, ორატორი ამბობს, რომ სოფლად კოოპერაცია ვერ ატარებს ფასების შემცირებას, რადგან მის მიერ მოტანილ საქონელს სხვადასხვა საშუალო ინსტანციებში უხდება გავლაო.

გლეხობა მოწადინებულია გზების გასაყვანად გაიღოს თავის შრომა, რომელიც ესაჭიროება გამოყენება და წესიერი ხელმძღვანელობა.

სოფელს აწუხებს უექიმობა, მაშინ, როცა ქალაქებში ექიმები უხვად მოიპოვებიან. დასასრულ, ორატორი საჭიროდ სცნობს გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტი გლეხობის მეურნეობის ახაღორძინებლად.

ამხ. მახათაძე

(შორაპნის მაზრა)

ამხ. მახათაძე ეხება პოლიტგანათლების მდგომარეობას: სოფლის ქოხ-სამკითხველოები, მათი გამგეებისათვის დანიშნულ მცირე ხელფასის გამო, მოკლებული არიან რიგიან ხელმძღვანელებს. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს. ზოგიერთ სახალხო სკოლებში მასწავლებლობას ეწევიან მოუმზადებელი, შემთხვევითი პირები.

სპეციალისტების უქონლობის გამო შორაპნის მაზრაში მოუგვარებელია აგრეთვე მიწადმოწყობის საქმე და სხვა.

ამხ. მართაშვილი

(სიღნაღის მაზრა)

გეგმიანი მუშაობის ჩასატარებლად, ამბობს ორატორი, საჭიროა როგორც ბიუჯეტის დროზე შედგენა, ისე დამტკიცება, რაც ხშირად არ ხდება. თემებმა აგრეთვე ერთგვარი სისტემა უნდა მისცენ თავის საფინანსო მეურნეობას, რომელიც უსისტემობის გამო ძალიან ზარალობს. უნდა მოისპოს „კასების ჯიბით ტარება", რაც ხშირად ბოროტმოქმედებას იწვევს.

ამხ. მართაშვილიც უჩივის სასამართლოებს საქმების გაჭიანურებას, „აბლაკატების" გავლენის ქვეშ მოყოლას, ზოგან კლასიური ხაზის გა-


რუსთაველის თეატრი სადაც მიმდინარეობს ყრილობა

მისალმებანი

სომხეთის საბჭოთა მეხუთე ყრილობას

საქართველოს მშრომელნი, შეკრებილნი საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე, მხურვალე სალამს უძღვნიან სომხეთის ძმურ რესპუბლიკას და მის უზენაეს ორგანოს—საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

სომხეთის მშრომელნი 6 წელია მუშაობენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებისათვის, რომელიც დაღუპვის კარამდე მიიყვანა დაშნაკელების თარეშმა.

საქართველოს მშრომელნი ღრმა რწმენას გამოსთქვამენ, რომ ეს მუშაობა მომავალშიაც გაგრძელდება გაორკეცებული ენერგიით და სომხეთის მშრომელნი კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით განუწყვეტლივ განამტკიცებენ მუშათა და გლეხთა კავშირს, კიდევ უფრო მეტი აჩქარებული ტემპით წავლენ წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით და დაშნაკელების მიერ დატოვებულ ნანგრევებზე ააგებენ თავისუფალი სოციალისტური შრომის აყვავებულ ქვეყანას

გაუმარჯოს სომხეთის ძმურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სომხეთის საბჭოთა ყრილობას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის და სოციალისტური რესპუბლიკების მთელი კავშირის მშრომელთა შეურყეველ მთლიანობას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

აზერბეიჯანის ცაკს და სახკომსაბჭოს

საქართველოს მშრომელნი თქვენი სახით ესალმებიან საბჭოთა აზერბეიჯანის მშრომელ გლეხობას და გმირულ პროლეტარიატს, იმ აზერბეიჯანს, რომელიც წინა კარებს წარმოადგენს აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისათვის.

აზერბეიჯანის მშრომელთა საბჭოთა ხელისუფლებას შედარებით მოკლე ხნით არსებობის განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობის დარგში.

ეს მიღწევები შესაძლო იყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელმაც მჭიდროდ შეაკავშირა ქალაქისა და სოფლის მშრომელნი.

საქართველოს მშრომელნი გამოსთქვამენ რწმენას, რომ აზერბეიჯანის მუშები და გლეხები მომავალშიაც, ისე როგორც დღემდე იქნებიან მანათობელ ძალად აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისათვის.

გაუმარჯოს ჩაგრული ხალხების ძმურ ერთობას!

გაუმარჯოს აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას—აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მნათობს!

გაუმარჯოს აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშებსა და გლეხებს.

ყრილობის პრეზიდიუმი.

ყრილობის სალამი ამხ. ს. ორჯონიკიძეს

საბჭოთა კავშირის ცენტრ. საკონტ. კომისიის თავმჯდომარეს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარს ამხ. ორჯონიკიძეს.

ძვირფასო სერგო! საბჭოთა მეოთხე ყრილობა, რომელიც პირველად შეიკრიბა უშენოდ, გიძღვნის მხურვალე სალამს. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ უშენობას, მაგრამ შენი ხელმძღვანელობით ბრძოლაში გამობრძმედილნი მივდივართ ლენინის გზით და შეურყევლად განვაგრძობთ სოციალისტური აღმშენებლობის საქმეს.

მისალმებები ყრილობას

სიღნაღიდან

სიღნაღის მაზრის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის პრეზიდიუმი 2.000 შეკავშირებულ თვითმშრომელ ხელოსანთა სახელით ესალმება საქართველოს მშრომელთა უზენაეს ორგანოს, უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას მშრომელ მასების საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას!

კავშირის პრეზიდიუმი.

ბორჯომიდან

ბორჯომის მუშის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელით მივესალმებით ყრილობას და უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

საქარხნო კომიტეტი.

მრუდებას და სხვა. ორატორი მკაცრად აკრიტიკებს გზათა სამმართველოს მუშაობას მაზრაში. „სამმართველოს მიერ მაზრაში გაგზავნილ ინჟენერს 4 წლის განმავლობაში 4 საჟენი გზაც არ გაუკეთებია, ფულს კი ათი ათასობით იხარჯებოდაო". დასჯის მაგივრად სამმართველომ ამ ინჟენერს უკეთესი ადგილი მისცა. ორატორი აღნიშნავს აგრეთვე საწარმოო კოოპერაციის სისუსტეს. გლეხობათათვის ნაწარმოებს კოოპერაციის საშუალებით ველარ ასაღებს და იგი ჩარჩებს უვარდება ხელში.

ამხ. აბრამაშვილი

(ბორჯომი)

ორატორი აღნიშნავს ჩვენს დაწესებულებებში გამეფებულ „ვალოკიტას", საქმის გაჭიანურებას, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებს შორის ცოცხალი კავშირის უქონლობას და სხვა ბიუროკრატიულ მოვლენებს. სრულიად მიზანშეუწონელია ორატორის აზრით, ბორჯომის ტყეების განყოფილების არსებობა თბილისში, სადაც მას საკეთებელი არაფერი აქვს. ამ დაწესებულების მუშაკნი ბორჯომში მხოლოდ სააგარაკოთ თუ მობრძანდებიან, საქმისთვის კი ძალიან ძვირადო.

ბორჯომის აღმასკომს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს ადგილობრივი წარმოებები, არავითარი შემოსავლის წყარო არა აქვს; საჭიროა ქალაქის კეთილმოსაწყობად საკურორტო სამმართველომ და კომბინატმა ბორჯომში არსებულ წარმოებების შემოსავალი გაუნაწილონ ადგილობრივ აღმასკომს. უნდა განისაზღვროს აგრეთვე ცენტრის და ადგილობრივ აღმასკომის ფუნქციები ადგილობრივ მშენებლობის დარგში.

ამხ. ოგანოვი

(ალბულახი)

ორატორი აღნიშნავს, რომ სათემო სისტემაზე გადასვლას ალაგ მოჰყვა არა სასურველი შედეგი,—იმ მხრივ, რომ აქა-იქ აღმასრულებელი ორგანოები დააშორონ მოსახლეობას. ვერც სოფლის რწმუნებულები ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, რადგან გარკვეული არ არის მათი უფლებრივი მდგომარეობა. შრომის ბეგარა სოფლად გატარებულ უნდა იქნეს სიფრთხილით. მაგ., ალბულახში აპრილისათვის გამოცხადებულია ქვის ბეგარით გადაზიდვა, სამისოდ გლეხობას არ სცალია, საგაზაფხული მუშაობისა და მუშა საქონლის ნაკლებობის გამო (ჭირმა ამოხოცა).


მოსე მეზურნიშვილი
(თბილისის მაზრა, სოფ. შინდისი)

ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებისთანავე შესასრულებლად უნდა ეგზავნებოდეს სათემო აღმასკომს, რადგან დაგვიანების გამო ხშირად ბიუჯეტის ამა თუ იმ მუხლით გადადებული თანხა გამოუყენებელი რჩება. შემდეგ ორატორი საჭიროდ სცნობს საძოვრებით ტყით სარგებლობის და სხვა საკითხების მოწესრიგებას.


კოლია ანთიძე
(დელეგატი ოზურგეთის მაზრიდან, უპარტიო).

ამხ. გვასალია

(ქუთაისის მაზრა)

ამხ. გვასალია ეხება სახალხო სასამართლოების მუშაობას, აღნიშნავს მათს ზომაზე მეტად დატვირთვას და ამბობს, რომ სასამართლოები განსაკუთრებული სისასტიკით უნდა მოეპყრან ბანდიტებს, კაცის მკვლელებს და მგზავს ბოროტმოქმედთ. შემდეგ ორატორი ეხება საკრედიტო ამხანაგობათა მოქმედებას, საჭიროდ სცნობს გრძელვადიანი კრედიტის შემოღებას და გაცემულ სესხის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

ამხ. მუნიად-ზადე

(ახალციხის მაზრა)

ორატორი აღნიშნავს, რომ მაზრაში მიწადმოწყობა მეტად ზანტად მიმდინარეობს. 1923 წლიდან დღემდე მოწყობილია მხოლოდ 14 პროც. ფართო ხასიათი მიიღო მიწის ფარულად გაყიდვამ. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე მაზრისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ტრაქტორების მიწოდებას; სწავლა-განათლების მხრით ახალციხის მაზრა ისევ ჩამორჩენილია. 14.000 ბავშვიდან სკოლებში სწავლობს მხოლოდ 4.500. მასწავლებლების საგრძნობი ნაწილი თავის თანამდებობისათვის შეუფერებელია.

მასწავლებლებად და აგრეთვე სხვა დაწესებულებების თანამშრომლებად მსახურობენ ყოფილი ბეგები და ძველი მოხელეები, რომელნიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გლეხობის საჭიროებას.

ამხ. გ. დევდარიანი

(ქართულ დივიზიიდან)

ორატორი ყრილობას აცნობს ქართული პირველი დივიზიის მდგომარეობას. სამხედრო მომზადების და აგრეთვე კულტურულ-პოლიტიკური მომზადების მხრით ქართულ ნაწილებს უჭირავთ ერთი პირველი ადგილთაგანი. წითელ ყაზარმებში ახალგაზრდები სამხედრო ცოდნის გარდა ღებულობენ სათანადო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მომზადებას იმ მიზნით, რომ სოფელს დაუბრუნდენ გამოსადეგი საბჭოთა მოღვაწეები. სრულიად გაჯანსაღებულია ჯარის მეთაურთა შემადგენლობა, რომლის 50 პროცენტს პარტიის წევრები, კანდიდატები და კომკავშირელები შეადგენენ. სრულიად სანდოა აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობის უპარტიო ნაწილი, რომელიც საჭიროებისამებრ მზად არის თავი დასდოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეხება რა წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის საკითხს, ორატორი ამბობს, რომ, სამხრეთ-ოსეთის და გორის მაზრის გამოკლებით, არცერთი მაზრა წითელარმიელთა ოჯახების დახმარების საქმეში აქტიობას არ იჩენს. მწვავეა აგრეთვე მეთაურთა საბინაო პირობები. უმრავლესობას ბინა არ გააჩნია. სამხედრო მოსამსახურეებს უნდა გადაეცეთ ყველა სამხედრო სახლები და ახლად აგებულ სახლებში დაეთმოთ ბინების 10 პროც.


გლეხი შარიქაძე
(დელეგატი შორაპნის მაზრიდან, სოფ. ლეღვანი)

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მოსახლეობის გასამხედროებას. ამ მხრით საქართველო ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე უკანა სდგას.

თავდაცვის ორგანიზაციებში ჩაბმული უნდა იქნეს მშრომელი მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ნაწილი.

ამხ. გაგინიძე

(რაჭის მაზრა)

ამხ. გაგინიძე ეხება რა საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევებს მშენებლობის ყველა დარგში, საჭიროდ სცნობს რაჭის მაზრას მიექცეს მეტი ყურადღება, რადგან იგი ჯერ კიდევ მოკლებულია რიგიან გზებს, საექიმო პუნქტებს, სკოლებს და წინანდებურად განიცდის მიწის სივიწროვეს; რაკი ადგილობრივ შეუძლებელი ხდება გლეხობის მიწით დაკმაყოფილება, უნდა მოეწყოს საქართველოს სხვა მაზრებში რაჭველების დასახლება. მას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ქალაქებიდან სოფლად დაიგზავნოს ექიმები, რომელთაც დიდათ საჭიროებს ექიმბაშების ხელში ჩავარდნილ გლეხობა.

ამხ. სურჯიაშვილი

(დუშეთის მაზრა))

ამხ. სურჯიაშვილი ასურათებს ხევსურეთის უმწეო მდგომარეობას, რომლის უმთავრესი მიზეზი არის უგზოობა; ხევსურეთს არ მოეპოვება საცალფეხო გზებიც. თუ პირველ რიგში ეს საკითხი არ მოწესრიგდა, ისე ფუჭი იქნება ზრუნვა ხევსურეთის კულტურულ-ეკონომიური დაწინაურებისათვის. ორატორი აგრეთვე სთხოვს მთავრობას მოაგვაროს საძოვრების საკითხი დაღესტანთან, რომლის საზღვრებშიდაც ცხვრების გარეკა უხდებათ ხევსურებს. ტყეების დასაცავად ორატორს საჭიროდ მიაჩნია ხევსურეთის ტყის მცველთა შტატის გადიდება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საკრედიტო ქსელის გაფართოებას. უამისოდ გლეხობას ტყავს აძრობენ ჩარჩები. საჭიროა გაძლიერდეს ცენტრის მიერ ისეთი ჩამორჩენილი მაზრების ხელმძღვანელობა, როგორიც არის დუშეთის მაზრა.

ამხ. ლორთქიფანიძე.

(აჭარისტანი))

ამხ. ლორთქიფანიძე საჭიროდ სცნობს, რომ მომავალშიადაც გაგრძელდეს აჭარისტანში საგზაო მშენებლობა—განსაკუთრებით ბათომ-ახალციხის გზატკეცილის შეკეთება და ხიდების აგება ჭოროხზე, აჭარისწყალზე და მარადიდში.

ამხ. მამუტოვი

(სამხრეთ-ოსეთი)

მენშევიკების მიერ განადგურებულ სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობა,—ამბობს ამხ. მამუტოვი—საჭიროებს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებას. გლეხობას, რომელიც თავის დარბეულ ოჯახის აღდგენას აწარმოებს, არა აქვს იმდენი შეძლება, რომ გაიღოს საჭირო წვლილი კულტურულ და სამეურნეო მშენებლობისათვის. ოსეთის მოსახლეობას აწუხებს აგრეთვე მიწის ნაკლებობა, არაა საკმაო სკოლებიც, საექიმო პუნქტების რიცხვი. უგზოობაც დიდათ აბრკოლებს ოსეთის წინსვლას. მთავრობამ ყველა ამ მტკივან საკითხებს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. მამუტოვის სიტყვის შემდეგ ყრილობის დილის სხდომა იხურება.

საღამოს სხდომა. 30 მარტი

ამხ. ფირანაშვილი

(თელავის მაზრა)

ამხ. ფირანაშვილი ყველაზე მტკივნეულ საკითხად თელავის მაზრაში სთვლის მიწადმოწყობის ჩაუტარებლობას. ზოგჯერ, ამბობს ორატორი, კულაკები და ბოხოლები ძველებურად ფლობენ მიწებსო. ის აღნიშნავს აგრეთვე, რომ ფილოქსერისგან განადგურებულ ვენახების აღდგენა მხოლოდ გაძლიერებული აგროდახმარებით შეიძლებაო.

ამხ. მანჯგალაძე

(ქუთაისის მაზრა)

საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რაც მუშურ-გლეხურ მასების კეთილდღეობისკენ არის მიმართული, ამბობს ამხ. მანჯგალაძე, და საჭიროა სხვა საკითხებთან ერთად საკმაო ყურადღება მიექცეს ადმინისტრაციის დაბალ აპარატის გაჯანსაღებას, რომელსაც უშუალო კავშირი და ურთიერთობა აქვს სოფელთან, საჭიროა მილიციის ხარისხობრივად ამაღლება. შემდეგ ორატორი ეხება ქარხნების აშენების ადგილის საკითხს და ამბობს, რომ საჭიროა ქარხნები ისეთ ადგილას აშენდეს, სადაც უმუშევრობა უფრო საგრძნობი არისო. ამასთანავე საჭიროა ანგარიში გაეწიოს ტრანსპორტის სიიაფესაც.

ამხ. ქურციკაშვილი

(თელავის მაზრა)

ამხ. ქურციკაშვილი ეხება საბჭოთა მუშაობის ნაკლულოვანებებს და, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სათანადო ყურადღება ვერ ექცევა კახეთის მევენახეობის აღდგენას, რომელიც უკანასკნელ წლებს საგრძნობლად დაეცაო. ვენახების აღსადგენად ორატორს საჭიროდ მიაჩნია გრძელვადიანი სესხის გაცემა და, მერე,—კახური ღვინისათვის შესაფერი ბაზრის გამონახვა. შემდეგ ამხ. ქურციკაშვილი გადადის მიწათმოწყობის საკითხზე, რომლის მოუგვარებლად მას შეუძლებლად მიაჩნია ჩვენი მეურნეობის აღორძინება. სწავლა-განათლების საქმე,—განაგრძობს ამხ. ქურციკაშვილი, მართლაც კარგად არის დაყენებული, მაგრამ შეიძლება უფრო უკეთ დაყენება, მაგ. დღემდე თელავის მაზრაში არც ერთი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი არ არის. ბოლოს ის გადადის წყალთა სამმართველოს მუშაობაზე, რომელიც მას დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია და საჭიროდ სცნობს, რომ მის მოხელეებს ადგილებზე შესაფერი ხელმძღვანელობა ეწეოდეს.

ამხ. მიხაილჩუკი

(წითელი არმიის № ცხენოსან პოლკიდან)

ამხ. მიხაილჩუკი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის № ცხენოსან პოლკის სახელით მიესალმება ყრილობას და ამბობს:

„ის ღინები, რომელსაც ინგლისი მიმართავს, გვაიძულებს ფრთხილად ვიყვეთ. უნდა იცოდეს ვაჟბატონმა ჩემბერლენმა, რომ ჩვენი წითელი ჯარი ის აღარ არის, რაც 1918 წელში იყო; მაშინ ვიყავით ფეხშიშველები, ეხლა კი მარტო ჩვენი მაგარი ჩექმის ქუსლით გაუტეხავთ მას ცხვირსო. ყველა საბჭოთა მოქალაქემ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და მის გასამხედროების საქმეს, თორემ, საჭიროების დროს გვიან იქნება მზადებაო".

გაუმარჯოს ჩვენი კავშირის ძლევა-მოსილებას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობას (ტაში).

ამხ. ქურდაძე

(გორის მაზრა)

ამხ. ქურდაძე ეხება სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საკითხებს და საჭიროდ სცნობს გლეხური მეურნეობის მოწყობას არტელებათ, კოლექტივებათ, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებათ, რომელთაც სახელმწიფო ორგანოების მხრით უნდა გაეწიოს სათანადო ხელმძღვანელობა და მიეცეს ფინანსიური დახმარება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას დაბალი კულტურები უნდა შეიცვალოს მაღალი ტეხნიკური კულტურით. ამ მიზნით საჭიროა გაფართოვდეს გრძელვადიანი კრედიტის გაცემა და უფრო ფართო ხასიათი მიეცეს აგროდახმარებას. სანერგეებიდან უფრო უნდა რიგდებოდეს ხეხილის ნამყენები, ეწყობოდეს საჩვენებელი მინდვრები, უფრო ენერგიულად სწარმოებდეს მუშა საქონლის დაცვა ჭირისაგან და სხვა. ამხ. ქურდაძე ეხება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და საჭიროდ სცნობს, რომ გადასახადის განაწილების დროს მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც მჭამელთა, ისე მუშა ხელის რაოდენობა თვითეულ ოჯახში. ამხ. ქურდაძე ჩერდება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებზე.

ამხ. გ. კუჭაიძე

(ჯან. სახ. კომისარი)

ამხ. კუჭაიძე აღნიშნავს იმ ღონისძიებებს, რომელნიც უკვე მიღებულია სოფლის ექიმებით უზრუნველსაყოფად. იგი ამბობს, რომ პროფკავშირების დაუხმარებლად მარტო ჯანმრთელობის კომისარიატი ამ საკითხს ვერ მოაგვარებსო. შემდეგ იგი აღნიშნავს იმ დახმარებას, რომელსაც ჯანმრთელობის კომისარიატი უწევს ხალხს მალიარიასთან ბრძოლაში.

მათე კაცია
(დელეგატი ზუგდიდის მაზრიდან, უპარტიო)

ამხ. ნარაზოული

(ხევსურეთი)

ამხ. ნარაზოული, ხევსური, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშისცემით ეგებება, ეხება ხევსურეთის გადაუდებელ საჭიროებებს და მოითხოვს, რომ პირველ რიგში მიღებულ იქნეს ღონისძიებები გზების გასაყვანად, რაც მისი აზრით, წინასწარ პირობას წარმოადგენს კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობის გასაჩაღებლად ამ მივარდნილ კუთხეში. თუ მთავრობას საშუალება არ ეყოფა,—განაგრძობს ორატორი, თვით ხალხი გაიღებს თავის წვლილს, ოღონდ მთავრობამ უხელმძღვანელოს სათანადოთ მომზადებულ პირების საშუალებით. სკოლების შესახებ ორატორი ლაპარაკობს, რომ არა ჰყავთ მათ მომზადებული მასწავლებლები. აქაურ ინტელიგენციას არა აქვს სურვილი წავიდეს ხევსურეთში სამოღვაწეოდ. ზოგს კიდევ ეშინია იქაური მცხოვრებლების და, რასაკვირველია, ურჩევნია თეთრი საყელო და თბილისი.

ქართველ განათლებულ საზოგადოებას ყალბი წარმოდგენა აქვს ხევსურეთზე და სრულებით არ იცნობს მას. ზოგიერთ ქართველ მწერალს აუღია და სწერს თავის ნაწარმოებში, რაც იცის და, რაც არ იცის. აი მაგალითად, მწერალ ჯავახიშვილს დაუწერია „თეთრი საყელო", რომელიც ერთი მეოთხედითაც არ შეეფერება სინამდვილეს. ამ წიგნმა ხევსურეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. უკეთესი იქნებოდა ასეთ მწერალს მთავრობა მელანს გადაუღვრიდეს. როგორც სჩანს, მას არც გაუვლია ხევსურეთში და ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ურევს. თუ მას აინტერესებს ხევსურეთის ცხოვრება, უკეთესი იქნება ამოვიდეს ხევსურეთში. იქ მას გაურეცხავენ მის საყელოს (ტაში).

ამხ. სიამაშვილი

(ლეჩხუმის მაზრა)

ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება,—ამბობს ამხ. სიამაშვილი მჭიდროთაა დაკავშირებული საგზაო მშენებლობასთან, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთისათვის, სადაც უგზოობას ადგილობრივი მოსახლეობა მეტად მწვავედ განიცდის, რაკი მთავრობას საშუალება არ ყოფნის, უნდა მივმართოთ ადგილობრივი გლეხობის შრომას, რომელიც უკვე გამოყენებული იქნა ლეჩხუმის მაზრაში. გასულ წელს გზათა სამმართველომ შეადგინა ლეჩხუმში გზატკეცილის გასაყვანი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 886.000 მანეთს უდრიდა. ამ თანხის გაღება გლეხობამ ვერ შესძლო და თვითონ დაიწყო მუშაობა. სამუშაოების 80 პროც. უკვე დამთავრებულია. მაგრამ ეხლა გზათა სამმართველოს რატომღაც არ მოსწონს გლეხების ნამუშევარი და სურს ეს საქმე ჩაფუშოს.

უგზოობაზე ნაკლებ არ აწუხებს ლეჩხუმს სტიქიური უბედურება მეწყერების და ნიაღვრების სახით. როგორც გაზ. „კომუნისტ"-ში იყო ცნობა, მთავრობას უკვე მოუწყვია კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს ამ სტიქიურ უბედურებათა შესწავლა და მათთან საბრძოლველი ღონისძიების გამომუშავება. საჭიროა კომისიამ დააჩქაროს მუშაობა. შემდეგ ორატორი ეხება ტყეების ექსპლოატაციის საკითხს და საჭიროდ სცნობს, რომ ამ მხრივ ერთგვარი გეგმიანი მუშაობა სწარმოებდეს—არ ხდებოდეს ტყეების გაჩეხა იმ ადგილებში, რომელნიც საკურორტო და სხვაგვარ სასარგებლო რაიონებს წარმოადგენენ. ორატორი მოითხოვს აგრეთვე მომავლისათვის გაძლიერდეს მუშაობა რიონის, ცხენისწყალის და სხვა მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად.

პაოლო იაშვილი

(სრ. საქ. მწერალთა კავშირის დელეგატი)

ორატორი ეხება ამხ. შ. ელიავას მოხსენების იმ ადგილს, სადაც მომხსენებელი შეეხო ხელოვნების და კერძოდ მწერლობის საკითხებს, და აღნიშნავს, რომ მოხსენებაში მეტად ძუნწად იყო გაშუქებული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ ორატორის აზრით ეს გასაგებია, რადგან ამხ. ელიავამ ვერც კი მოასწრო ამოწურვა ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხების, რომელთაც დღევანდელ პირობებში მეტი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. შემდეგ, ორატორი ეხება განათლების სახალხო კომისარიატის მზრუნველობით ყურადღებას მწერლობის საქმეებისადმი, მაგრამ ეს საკმარისად არ მიაჩნია, და მოითხოვს, რომ მწერალთა კავშირს დახმარება აღმოუჩინოს საბიუჯეტო წყაროებიდან. გარდა ამისა საჭიროა შეიქნეს მუდმივი ლიტერატურული ფონდი რუსეთისა და უკრაინის მაგალითების მიხედვით.

შემდეგ ორატორი ეხება ენის საკითხს, მოჰყავს მაგალითები ქართული ენის დამახინჯებისა. ორატორი ეხება აგრეთვე ქართული ტერმინოლოგიის სიღარიბეს და სისუსტეს და მოითხოვს, რომ ეს საკითხი გადაეცეს ისეთ ორგანოს, რომელიც სპეციალისტებთან ერთად მოიწვევს მწერლების წარმომადგენლებსაც, რომელნიც მათ დახმარებას აღმოუჩენენ ტერმინების შემუშავების დროს, ქართული ახალი სიტყვის ბუნებრივად დამუშავებას.

ორატორი ეხება შეცდომებს, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს ოპერის ორგანიზაციებში და გამოსთქვამს იმედს, რომ შემდეგში არ მოიწვევს ოპერა ისეთ მომღერალს, რომელსაც თვეში მისცემს ჰონორარს 1.200 მანეთს, ხოლო მომღერალი თავისი სიმღერით ამ თანხას ვერ შეაგროვებს შვიდი თვის განმავლობაში.

„საქართველოს გასაბჭოების პირველ თვეში, მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რუსთაველის ძეგლის აგების შესახებ. მალე თბილისს გაანათებს ზაჰესი, რომელიც გახდა ინდუსტრიალური მუზა ქართული პოეზიის, მაგრამ თბილისს სჭირდება მეორე სინათლე, ძეგლი რუსთაველისა, რომელიც შვიდასი წელი ანათებს იმ საქართველოს რომლის პატრონი ხართ ეხლა თქვენ.

ქრისტინე აბრამია

(ზუგდიდის მაზრა)

ამხ. ქრისტინე აბრამია აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დახმარება გლეხისადმი თვალსაჩინოა, მაგრამ საჭიროა აღნიშნული იქნეს ნაკლულოვანებანიც. თუ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სწორათ ნაწილდება, ხშირად სხვა ხასიათის გადასახადით ღარიბი გლეხობა უფრო მეტად იხაგრება, ვიდრე შეძლებული ნაწილი. მაგალითად, ხშირად ღარიბი გლეხობა ვერ უძლებს სასკოლო გადასახადს და იძულებულია შვილები გამოიყვანოს სასწავლებლიდან. შემდეგ ორატორი ეხება სამეურნეო ამხანაგობების მოშაობას და აღნიშნავს, რომ კრედიტები თანაბრად ვერ ნაწილდებაო. ორატორი საჭიროდ სთვლის ყურადღება მიექცეს აბრეშუმის მეურნეობას მაზრაში, განსაკუთრებით მისი პროდუქტების ბაზარზე გამოტანის საკითხს.

ალექსი შიომღვდლიშვილი
(დელეგატი სიღნაღის მაზრიდან. უპარტიო)

დასასრულ ყრილობას ესალმება ქუთაისის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა სახელით ამხ. ცირეკიძე, რომლის შემდეგ ყრილობის საღამოს სხდომა იხურება.

ამ.-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების

საბჭოთა მეოთხე ყრილობა

მოწვეულ იქნება 1927 წლის 5 აპრილს ქ. ტფილისში

დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში—მომხსენებელი ამხ. მ. ორახელაშვილი.
2) საგზაო მშენებლობა ა.-კავკასიაში—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა
3) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა ა.-კავკასიაში—მომხს. ამხ. ქ. ჩხენკელი.
4) ა.-კ. ს.ფ.ს.რ. 1926/27 წლ. სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხს. ამხ. მ. დ. გუსეინოვი.
5) საკონსტიტუციო საკითხები—მომხს. ამხ. ა. შავერდოვი.
6) ამიერ-კავკასიის ცაკის არჩევა.
7) დელეგატების არჩევა მეოთხე საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აპრილისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ორი წლის განმავლობაში

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ორ წელიწადზე ნაკლები გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოების უკანასკნელმა ყრილობამ, მუშათა სახელმწიფოს ამ უზენაესმა ორგანომ, მოისმინა საანგარიშო მოხსენება მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. 1925 წლის მაისში საბჭოების მესამე ყრილობაზე განხილულ ძერჟინსკის მოხსენების გამო,—ძერჟინსკის, რომელიც ღირსეულად შევიდა პარტიის და ქვეყნის ისტორიაში ინდუსტრიალიზაციის დაუღალავი რაინდის სახელით, აღნიშნული იქნა აღდგენით პერიოდის დასრულების მხოლოდ პირველი საფეხურები.

ამ მეტად მცირე დროის განმავლობაში ჩვენი მრეწველობა, როგორც მთელი სახალხო მეურნეობაც, მნიშვნელოვნად განვითარდა. ჩვენ სავსებით ამოვწურეთ ბურჟუაზიისაგან მიღებული საწარმოო-ტეხნიკური ბაზა და შევუდექით რეკონსტრუქციის, ახალი აღმშენებლობის და ჩვენი მრეწველობის უფრო მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობის გზაზე. მუშათა კლასმა საქმით დაამტკიცა, რომ ის არა მარტო ჰეგემონია ქვეყანაში, არამედ მას შეუძლია თავის ხელებით, ფაბრიკანტების და მექარხნეების გარეშე, შექმნას ის მატერიალური ღირებულებანი, რომლებიც აუცილებელია მშრომელთა გადიდებულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებს საქონლის პროდუქციის ზრდა გასული ორი წლის განმავლობაში 70 პროცენტით 1924—25 წელთან შედარებით; ამავე დროის განმავლობაში სამრეწველო საქონლის რაოდენობა გაიზარდა 8 მილიონი მანეთით.

მიღწევებმა წარმოების დარგში უზრუნველჰყო სოციალისტური სექტორის ზრდა კერძო-კაპიტალისტური სექტორის ხარჯზე და გაადიდა მთელი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა.

მრეწველობას უდიდესი და პასუხსაგები ამოცანა ეკისრება შემდგომი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში. მრეწველობა — სოციალისტური ეკონომიკის საძირკველია. მრეწველობის განვითარებით შეიძლება ჩვენი განთავისუფლება კაპიტალისტური დამოკიდებულებისაგან, მისი საშუალებით შეიძლება სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და სოციალისტური საზოგადოების აშენება.

მრეწველობისათვის განვითარების მაქსიმალური ტემპის უზრუნველყოფა შეადგენდა და შეადგენს პარტიის მნიშვნელოვან ამოცანას. აშკარაა, რომ მრეწველობის უფრო მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადიდებულ იქნება მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, როგორც თვით მრეწველობის რესურსების ხარჯზე, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ერთგვარი დაჭიმვის ხარჯზე.

მაგრამ მთელი სახალხო მეურნეობის ასეთი დაჭიმვა მრეწველობის სასარგებლოდ უნდა ხდებოდეს იმ ფარგლებში, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ჩვენი შეცდომების განმეორებისაგან და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების სხვა დარგების შესუსტებისაგან; ეს დაჭიმვა უნდა ხდებოდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგების განვითარების სისტემატიური შეთანხმების პირობებში. ჩვენი განვითარების ტემპი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მშრომელთა კულტურული და მატერიალური დონის ამაღლების აუცილებლობას.

ამხ. კუიბიშევის თეზისები საბჭოთა კავშირის საბჭოების მეოთხე ყრილობისათვის, რომელიც აპრილში იხსნება, საკმაო სრულ სურათს იძლევა იმისას, თუ როგორ იზრდებოდა მრეწველობა გასული წლების განმავლობაში. საჭიროა მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები. საჭიროა მტკიცედ შევიგნოთ, რომ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად განვლილ გზაზე ჩვენს წინაშე დასმულია კიდევ უდიდესი მნიშვნელობის და სიძნელის ამოცანები. მიუხედავათ იმისა, რომ მძიმე ინდუსტრიის ზრდა, საწარმოო საშუალებების დამზადების ზრდა წინ უსწრებს ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ზრდას, ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ დაჭიმული მდგომარეობა გვაქვს მრეწველობის ცენტრალურ დარგში—ლითონის მრეწველობაში. შავი ლითონის დამზადება, რომელიც ლითონის მრეწველობის საძირკველს შეადგენს, ჯერ კიდევ ომის წინა ხანების დროის 82—85 პროცენტს შეადგენს, ეს იმ დროს, როდესაც ლითონის მრეწველობამ მთლიანად წინ გაუსწრო ომის წინა ხანების წარმოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ დარგში ჩვენ ვერ მივაღწიეთ მდგომარეობის შემდეგ გაუმჯობესებას, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ აღებულ ტემპს ლითონის მრეწველობაში.

სამრეწველო განვითარების მეორე სერიოზული დარგია—ნედლეულის საკითხი. ტეხნიკური კულტურების ნათესების სივრცის შემცირება 7 პროცენტით მოითხოვს, რომ ჩვენ უდიდესი ყურადღება მივაქციოთ ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, ერთის მხრივ, ნედლეულისა და პურის ფასებს შორის და, მეორეს მხრივ, ნედლეულისა და სამრეწველო საქონლის ფასებს შორის; ამას გარდა საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსავლიანობის გადიდებას და ნათესების გაფართოებას.

დაბოლოს, სახალხო მეურნეობის განვითარების ნათელი გეგმის მთავარ საკითხად რჩება ეხლანდელ მომენტში ფასების დაკლების პრობლემა. ეს პრობლემა მრეწველობაში თავის გამოხატულებას პოულობს წარმოების ხარჯების შემცირებაში. ჩვენი საგასაცემო ფასები არ შეიძლება მაღალ დონეზე დარჩეს, არ შეიძლება განმტკიცდეს ამ დონეზე; ისინი თანდათან და აუცილებლად უნდა შემცირდეს. ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება მხოლოდ თვითღირებულების შემცირებით. ამისათვის კი საჭიროა როგორც წარმოების ტეხნიკის და ორგანიზაციის ყოველმხრივ გაუმჯობესება, ისე შრომის ნაყოფიერების გადიდება მუშა-ხელის, სამუშაო დროის უკეთესად გამოყენების, შრომის დისციპლინის ამაღლების, შრომის პირობების გაუმჯობესების და შრომის დაცვის და უშიშროების ტეხნიკის გაძლიერების ნიადაგზე. ყველა ეს ღონისძიებები დაწვრილებით ჩამოთვლილია ჩვენი პარტიის ცეკას მიერ ამას წინად მიღებულ დადგენილებაში; ეს დადგენილება გვაკისრებს ჩვენ ყოველის მხრივ მოვაწესრიგოთ და გავაუმჯობესოთ საწარმოო პროცესები იმ მიზნით, რომ განხორციელებულ იქნეს თვითღირებულების შემცირების დარგში დასახული ამოცანები.

საგასაცემო ფასების შემცირებამ, რასაკვირველია, არა მარტო გავლენა უნდა მოახდინოს საცალო ფასებზე, არამედ უნდა აიძულოს საქონლის გამტარებელი ქსელი მიიღოს დამატებითი ღონისძიებანი საბითუმო-საცალო ფასების „მაკრატლის პირების" ერთმანეთთან დასაახლოებლად. აქ საჭიროა არანაკლებ მტკიცე ბრძოლა ჩვენი ვაჭრობის გასაჯანსაღებლად და ყველა მისი არანორმალური და მახინჯი მხარეების აღმოსაფხვრელად.

ფასები გადამწყვეტ გავლენას მოახდენენ ჩვენი წინსვლის ტემპზე, კავშირის სიმტკიცეზე და მშრომელთა მატერიალურ დონეზე. სწორედ ამიტომ პარტიამ მუშათა კლასს გადაუშალა მთელი თავისი სიმწვავით როგორც ამ დარგში ჩვენი მიღწევების არასაკმარისობა, ისე ისიც, რომ აუცილებელია მეტი წარმატება ამ ფრონტზე. მრეწველობა საბჭოების მეოთხე ყრილობაზე წარსდგება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას აქვს მთელი რიგი სერიოზულ მიღწევები, შეგნებული აქვს მის წინაშე დასმული ამოცანების მნიშვნელობა და მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს მიიღოს ზომები შემდგომი წინსვლისათვის სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე. მუშათა კლასს და გლეხობის გმირული ღონისძიებებით ჩვენი მრეწველობა და მთელი სახალხო მეურნეობა გამოვიდა დაშლის პერიოდიდან, რომელიც ჩვენ თავზე მოგვახვიეს უდიდესი ნგრევის ხანაში, და შედგა სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე. პროლეტარიატის შემოქმედებითი ნებისყოფა, მისი ენერგია საკუთარი ბედისათვის ბრძოლაში და ყველა მშრომელთა და დაჩაგრულ ერების საუკეთესო მომავალი დაუშრეტელ წყაროთ გახდება შემდგომი წარმატებისა და მიღწევებისათვის დასახულ მიზნისაკენ სვლის დროს.

მოსკოვი, 30 მარტი.

ბრძოლა ჩინეთში

ჩინეთის რევოლიუციონურ არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით, შანხაი-ნანკინის ხაზის დაპყრობით, დამთავრდა ჩინეთში წარმოებულ სამხედრო მოქმედების მეორე ხანა, ხანა მთელი სამხედრო ოპერაციების, რომელსაც უსათუოდ გარდატეხის ხასიათი აქვს: მთავრდება ფართე და რთული ოპერაციების წარმოება და სამხედრო მოქმედება გადადის უკვე სალიკვიდაციო ხანაში. ჩინეთის რევოლიუციონურ არმიის მოპირდაპირეთ ამიერიდან რჩება მხოლოდ ჩან-ძო-ლინი და მისი მუკდენის ჯარი. შესაძლებელია ამ სალიკვიდაციო ოპერაციებს შედარებით დიდი დრო დასჭირდეს, მაგრამ მისი შედეგი დღეს შექმნილ საერთო სამხედრო მდგომარეობით თითქმის გადაწყვეტილია და უდავო. მიუხედავად ამისა, რომ ჩან-ძო-ლინი თავისი ჯარით ბევრით უფრო სერიოზული მოპირდაპირეა რევოლიუციონურ ჯარებისათვის, ვიდრე წინანდელი მათი მოპირდაპირენი, უ-პეი-ფუ, სუნ-ჩუან-ფანი და ძანსუ-ჩანი და სხვანი, მიუხედავად ამისა, დღევანდელი სტრატეგიული მდგომარეობა ორ დარჩენილ მოპირდაპირეთათვის საგრძნობლად შეიცვალა და შეიცვალა რევოლიუციონურ ჯარების სასარგებლოდ. შანხაი-ნანკინ — სინ-იანის (პროვინცია ხენანის სამხრეთ ნაწილში) ხაზი, რომელსაც ამ ჟამად მიაღწია კანტონის ჯარმა, ერთის მხრით და ლუნხაის რკინის-გზის (ხენანი-კაი-ფინის ხაზი, პროვინცია ხენანის ჩრდილოეთ ნაწილში) ხაზი, რომელიც სახალხო არმიის ხელთ არის მეორე მხრით, ეს ორი ხაზი შეადგენენ მთელ ჩინეთის ტერიტორიის ასე ვსთქვათ სტრატეგიულ ფუძეს. ეს ორი ხაზი გარდი-გარდმო სჭრიან პეკინიდან კანტონისაკენ და შანხაისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ყველა მიმავალ გზებს და მათ შორის პეკინ-ხანკოუ-კანტონის და პეკინ-ნანკინ-შანხაის რკინისგზებს. ორივე სტრატეგიული ხაზი ეყრდნობიან ჩინეთის ორ უდიდეს მდინარეთ: პირველი ხაზი მდ. იან-ცე-კიანგს და მეორე მდ. ხუან-ხეს. ეს ორი მდინარე ჩინეთის ორს მთავარ ძარღვს წარმოადგენენ ისევე როგორც ზემოდაღნიშნული რკინისგზები ჩინეთის ტერიტორიის სტრატეგიულ ჩონჩხის მთავარ ხერხემალს. და თუ ასეთ შედარებას გავყვებით, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რევოლიუციონურმა ჯარებმა შინაურ რეაქციას ორი მთავარი ძარღვი საგრძნობლად, თუ საბოლოოდ არა, დაუზიანეს და ხერხემალიც გადაუტეხეს.

მაგრამ ყველა ეს ჩვენი მოსაზრება სამართლიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის ბრძოლაში კვლავაც მოპირდაპირეთ დარჩებიან მხოლოდ ერთის მხრით რევოლიუციონური ჯარი და მეორეს მხრით შინაური რეაქცია—ჯან-ძო-ლინის სახით. არის კიდევ მესამე მხარე, რომლის აშკარა, აქტიური ჩარევამ შეიძლება შესცვალოს აწ შექმნილი სტრატეგიული მდგომარეობა და რევოლიუციონურ ჯარებს მეტად გაურთულოს საქმე. ეს მესამე მხარე უცხოელი იმპერიალისტები და მათ შორის უმთავრესად ინგლისი. თუ ინგლის-ამერიკის მიერ ნანკინში ჩადენილი პროვოკაცია, მშვიდობიან ხალხის შვიდი ათასამდე ამოჟლეტა, მხოლოდ დასაწყისია მათი ომში აქტიურად ჩარევისა და თუ ეს ჩარევა ფაქტად იქცა, მაშინ, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეიცვლება სტრატეგიული მდგომარეობა, ჩინეთის გამანთავისუფლებელი მოძრაობა მეტად შეფერხდება, და ძნელია გათვალისწინება იმ შედეგების, რომლებიც შეიძლება ამას მოჰყვეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი და ბოლო დროს ამერიკაც აშკარად ამას იმუქრებიან და თავის ჯარებსაც ამრავლებენ, ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ ამას ვერ გაბედავენ და ჩინეთის წინააღმდეგ აშკარა ომს არ დაიწყებენ. თუ მხედველობაში მივიღებთ ევროპაში ამჟამად შექმნილ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას (იტალიის აგრესიულ პოლიტიკას ბალკანეთში. გერმანია - პოლონეთის ურთიერთობას, საფრანგეთ ინგლისის მეტოქეობას), როდესაც თვით ევროპაში აშკარად ომის სუნი ტრიალებს,— ამჟამად ჩინეთის ომში ჩაბმა არც ისე იოლი საქმეა. ან და განა უზარმაზარი ტერიტორიის დაპყრობა და ნახევარი მილიარდი ხალხის ამოჟლეტა თუნდაც საშინელი ტეხნიკური საშუალებით შესაძლებელია? ჩინეთის მშრომელთა მასის ალტყინება კი ამჟამად იმ წერტილამდე მივიდა, რომ იგი არაფერს მოერიდება, არაფერს დასთმობს და ყოველისფერს შესწირავს თავისუფლებას. მშვენიერად დაამტკიცა ეს შანხაის პროლეტარიატმა. შემდეგ, თუ ინგლისი მართლა არ ერიდება და მზად არის აქტიურად ომში ჩაერიოს, სად იყო აქამდისინ. განა ამის ჩადენა უფრო ადვილი და ხელსაყრელი არ იყო წინად, ვიდრე კანტონის ჯარი შანხაის და ნანკინს მიაღწევდა?

არა, ჩვენ გვგონია, რომ საერთოდ უცხოელ იმპერიალისტთა და განსაკუთრებით ინგლისის მოქმედებას, მის მიერ ჩადენილს უკვე და მომავალშიაც მოსალოდნელ მშვიდობიან ხალხის სისხლით მორწყულ პროვოკაციებს შანხაიში და ნანკინში ნამდვილად სულ სხვა სუნი სდის, სხვა სარჩული უდევს. ამჟამად ერთერთი მათი ნუგეში და იმედი დარჩა ჩან-ძო-ლინი. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მეტად უმწეო სტრატეგიულ მდგომარეობაშია. იგი ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადასდგამს სამხრეთისაკენ, რადგანაც მისი ჯარის მარჯვენა ფრთას მუდმივი საფრთხე მოელის სახალხო არმიის მხრით, რომელიც მზადაა გადასჭრას საბოლოოდ ყველა სამხრეთისაკენ მიმავალი გზები და მუკდენელების ჯარი მოსწყვიტოს პეკინს. ამრიგად, სამხრეთიდან მოიწევს ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ ძლევა-მოსილი, გამარჯვებული კანტონელების ჯარი, აღფრთოვანებული და თავისუფლების მოპოვებით გატაცებული, ჯარი, უამრავ ბრძოლებში გამოცდილი და გაკაჟებული და იმავე დროს დასავლეთის მხრით აწვება აგრეთვე გამარჯვებული სახალხო არმია იმავე იდეით და ისეთივე განწყობილებით, და ამ გამარჯვებულ ჯარების მხარესაა მთელი მშრომელი მასა არა მარტო უკვე დაკავებულ პროვინციებისა, არამედ იმ პროვინციებისაც, სადაც ჯერ-ჯერობით უფლობს ჩან-ძო-ლინი. ინიციატივა ამ გამარჯვებულ ჯარების ხელშია და ჩვენ ვიცით, თუ სამხედრო მოქმედებაში რაოდენი მნიშვნელობა აქვს ინიციატივას. ასეთ პირობებში უძრავად დგომა სიკვდილს უდრის ჩან-ძო-ლინისათვის. და, რასაკვირველია, ამ უკანასკნელს და მათ უფრო, უცხოელ იმპერიალისტებს ეს კარგად ესმით. მაგრამ რა ქნას ამჟამად ჩან-ძო-ლინმა: კანტონის ჯარის წინააღმდეგ იგი ვერ დაიძრება, ვიდრე საბოლოოდ არ უზრუნველყოფს თავის მარჯვენა ფრთას სახალხო არმიისაგან. სახალხო არმიის საბოლოო მოსპობისათვის კი საკმაოდ დიდი ჯარია საჭირო, რადგანაც ამ არმიას ეხმარება პროვინცია ხენანის გლეხობა თავისი მრავალი შეიარაღებული რაზმებით. და თუ ჩან-ძო-ლინი მთელი თავისი ჯარით ამჟამად დაეცემა სახალხო არმიას, მაშინ იგი თავის მარცხენა ფრთას მიუქცევს კანტონის არმიას და ამით შეიძლება უარეს მდგომარეობაში ჩავარდეს. ყოველ შემთხვევაში, სახალხო არმიის საწინააღმდეგო ოპერაციებს დრო სჭირია და ამ ხნის განმავლობაში კანტონის ჯარი როგორმე უნდა იქნას შეჩერებული. ერთი სიტყვით, საჭიროა დროის მოგება და ასეთი დახმარების გაწევა შეუძლიათ უცხოელ კაპიტალისტებს და ინგლის-ამერიკის მოქმედებას ამჟამად სწორედ ეს მიზანი აქვს.



სხვა საკითხია, რამდენად ისინი მიაღწევენ ამ მიზანს. შანხაი - ნანკინის ოპერაცია აშკარად გვიმტკიცებს იმას, თუ რა წინდახედულობით და მოხერხებით მოქმედობს კანტონის ჯარის სარდლობა ასეთ შემთხვევებში.

საჭიროა მოკლედ მაინც გავიხსენოთ ეს წარსული მოქმედება, რათა ჩვენთვის უფრო ნათელი გახდეს აწინდელი სტრატეგიული მდგომარეობა და მოსალოდნელი პერსპექტივები მომავალში. კანტონის ჯარის მოქმედების პროცესი და ვითარება შეიძლება სამ ხანად გავყოთ: პირველი ხანა კანტონიდან ხანკოუმდე, მოსამზადებელი ხანა, სადაც მთავარ მიზნად დასახულია მდ. იან-ცე-კიანგის შუა ნაწილის დაპყრობა და ხანკოუს კვანძის ხელში ჩაგდება. ამით კანტონის ჯარი უზრუნველყოფდა თავის მარცხენა ფრთას და ზურგს, უახლოვდებოდა ჩრდილოეთით მომქმედ თავის მოკავშირე სახალხო არმიას და მთავარ ოპერაციისათვის, რომლის მიზანი, რასაკვირველია, იყო შანხაი-ნანკინის ხაზი, ასე ვსთქვათ თავისუფალი მოქმედების საშუალებას პოულობდა. ამ ხანის განმავლობაში კანტონელების მარჯვენა ფრთა მეტად ფრთხილად და მძიმედ მიიწევდა წინ, რადგანაც, ჯერ ერთი, მის წინააღმდეგ აქ მოქმედებდა უფრო სერიოზული მოპირდაპირე—სუნ-ჩუან-ფანი და, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ზღვა და ჩინეთის აქაური ფლოტი მოპირდაპირეს ხელში იმყოფებოდა და, მაშასადამე, მოპირდაპირეს შეეძლო ზღვით შემოვლა კანტონელების მარჯვენა ფრთისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კანტონელების ჯარმა მიაღწია ხანკოუს, უზრუნველყო თავისი მარცხენა ფრთა, კონტაქტი დაიჭირა ჩრდილოეთ მომქმედ სახალხო არმიასთან, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი კანტონელების მარჯვენა ფრთის მედგარი წინსვლა და დაუცხრომელი ბრძოლა სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ. დაპყრობილია პროვინცია ფუ-ძიანი, შემდეგ ჩე-ძიანი, სუნ-ჩუან-ფანის ფლოტი გადმოდის კანტონელების მხარეზე და იწყება სამხედრო მოქმედების მეორე ხანა, ხანა გადამწყვეტი მნიშვნელობისა, რომლის მთავარი მიზანია შანხაი-ნანკინის ხაზი.

აღსანიშნავია ეს სამაგალითო ოპერაცია, სადაც ნათლად სჩანს კანტონის ჯარის სარდლობის დიდი უნარი და წინდახედულობა, და თუ დღეს უცხოელ იმპერიალისტთა ჯარების უფროსობა ბრაზით დორბლებსა ჰყრის და ჯავრს იყრის მშვიდობიან მცხოვრებლებზე, ეს აიხსნება ბევრ ნაწილად იმით, რომ კანტონის სარდლობამ უცხოელები მოატყუა და ყინულზე გაასრიალა თავისი გონიერი და მოხერხებული მოქმედებით. რასაკვირველია, იმპერიალისტთა სარდლობა დარწმუნებული იყო, რომ კანტონელების ჯარი პირდაპირ წამოვა და შეიჭრება შანხაის და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უცხოელ ჯარებს შემთხვევა არ მოაკლდება იარაღით ომში ჩარევისათვის. ასეთივე აზრისა იყო ალბად ჩანსუ-ჩანიც, რომელმაც თავის მთავარ ძალებს სწორედ შანხაიში მოუყარა თავი. ძურმე ნუ იტყვით, კანტონელების ჯარის მარჯვენა ფრთა შანხაის წინააღმდეგ მხოლოდ დემონსტრაციას აწარმოებდა და მთავარი დაკვრა კი მზადდებოდა ნანკინის წინააღმდეგ. ჯან-სუ-ჩანი მეტად გვიან მიხვდა ამას და დაიწყო ჯარების გადაყვანა შანხაიდან ნანკინისკენ, მაგრამ კანტონელებმა მოახერხეს შანხაი-ნანკინის რკინის გზის მოშლა, რკინისგზელები გაიფიცნენ და ყველა ამან გამოიწვია არევ-დარევა ჯან-სუ-ჩანის ჯარში, შეიქმნა პანიკა შანხაიში დარჩენილ მისი ჯარის ნაწილებში, ამით ისარგებლა მოხერხებულად შანხაის პროლეტარიატმა და ჩაიგდო ხელში ქალაქი, ასე რომ კანტონელების ჯარის რეგულიარული ნაწილები მზა-მზარეულზე შევიდნენ შანხაიში. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ გარემოებაში ჯან-სუ-ჩანი ველარც ნანკინის დაცვას მოახერხებდა და შანხაის დაპყრობას მოჰყვა ნანკინის ხელში ჩაგდება. მოტყუებულმა და იმედ გაცრუებულმა უცხოელ იმპერიალისტთა სარდლობამ იმით იყარა ჯავრი, რომ მშვიდობიან ქალაქს ყუმბარები დაუშინა და შვიდი ათასამდე მშვიდობიანი ხალხი ამოჟლიტა.

ამას მოჰყვა კვლავ მუქარა, ულტიმატუმები, იარაღის ჟღარუნი. შთაბეჭდილება ამ აურ-ზაურისა სწორედ ისეთია, რომ უცხოელი იმპერიალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ როგორმე შეაფერხონ რევოლიუციონურ ჯარების მოქმედება და საშუალება მისცენ ჯან-ძო-ლინს მოიკრიბოს ძალა და მოემზადოს გადამწყვეტ ბრძოლისათვის. ამას წინად დეპეშამ გადმოგვცა ცნობა, რომ ჯან-ძო-ლინს დაუგზავნია აგენტები შორს ჩრდილოეთ პროვინციებში (გირინი, ხეი-ლუნ-ძიანი) ჯარის მოსაკრებად.

ასეთ გარემოებაში წინასწარ გათვალისწინება, თუ რა ხასიათს და მიმართულებას მიიღებს მომავალში სამხედრო მოქმედება, შეუძლებელია. ძნელი დასაშვებია, რომ კანტონელები აწინდელ მდგომარეობაში შეაჩერებენ მოქმედებას და არ გამოიყენებენ უკანასკნელ ბრწყინვალე გამარჯვებებს. მოსალოდნელია მხოლოდ, რომ მოქმედების ცენტრი აღმოსავლეთიდან უფრო დასავლეთით გადმოიწევს.

პროვინცია ხე-ნანი, აი უახლოესი ობიექტი, რომელიც მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას.

ი. გედევანიშვილი.

იმპერიალისტების მთლიანი ფრონტის შექმნის ცდა ჩინეთში მარცხდება

კანტონის ჯარები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას ანხოის პროვინციაში

შანხაის პროფკავშირთა საბჭო იმპერიალისტების წინააღმდეგ

იაპონიის ფლოტი ჩინეთის წყლებში

შანხაი, 27 მარტი. იაპონიის სამხედრო გემების საერთო რაოდენობა ჩინეთის წყლებში 30-დე აღწევს; ამაში არ შედის სამი ფლოტილია ცინ-დაოში და ერთი ფლოტილია ჩი-ფუში. (ადს).

ამერიკის ელჩი „გაბედულ მოქმედებას“ მოითხოვს

ვაშინგტონი, 29 მარტი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეერთებულ შტატების ელჩი პეკინში მაკ მრეი მოითხოვს გადამწყვეტ ზომების მიღებას ნაციონალისტების წინააღმდეგ. ცნობაში მოყვანილია ადგილი მაკ-მერეის მოხსენებიდან, რომელიც ამბობს, რომ „ტერორის და უცხოელების შეურაცხყოფის კამპანია მომზადებულია ოფიციალურ სფეროებში“. შემდეგ ცნობაში აღნიშნულია, რომ მაკ-მერეი საჭიროდ ხთვლის „ამერიკელ მოქალაქეთა დაუყოვნებლივ ევაკუაციას ნაციონალურ მთავრობის გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიიდან და საკმაოდ გაბედული ხასიათის მოქმედებას, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ისეთი ინციდენტას განმეორება, როგორსაც ადგილი ჰქონდა ნანკინში“. (ადს).

ვაი-ჩინ-ვეი

გომინდანის სამხედრო საბჭოს წევრი

ინგლისის პროვოკაციის საპასუხოდ

პარიზი, 29 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ სწერს:

„ინგლისის საგენტოები ავრცელებენ ყალბ ცნობებს, თითქოს ნაციონალური ჯარები ამზადებენ თავდასხმას უცხოელთა კონცესიებზე. საფრანგეთის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები, მოუწოდებენ მთავრობას იმოქმედოს ვაშინგტონის და ნანკინის ჯალათებთან ერთად. საფრანგეთის პროლეტარიატი მოითხოვს, რომ ჩინეთიდან დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქნენ საფრანგეთის ყველა შეიარაღებული ძალები“. (ადს).

სიფრთხილის მაგალითი

პარიზი, 29 მარტი. „ჟურნალ დე დება“, მოუწოდებს რა ფრანგებს სიფრთხილით მოეპყრან ინგლისის ინფორმაციას ჩინეთის ამბების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს ჩან-კაი-შის და გომინდანის წარმომადგენლების განცხადებას, რომ ნაციონალური ხელისუფლება არ აპირებს შანხაის კონცესიების ძალით ხელში ჩაგდებას. გაზეთი სწერს:

„იაპონელები, რომელნიც უკეთ იცნობენ ჩინელებს, აწარმოებენ დაცდის პოზიციას. მათ არ სურთ უმიზეზოთ მიმართონ ძალადობას, ვინაიდან ამით ისინი დაიმსახურებენ ჩინეთის ხალხის სიძულვილს. იაპონელები ფრთხილად იქცევიან—ეს ჩვენთვის მაგალითი უნდა იქნეს.“

ინგლის-ამერიკელების ევაკუაცია

შანხაი, 29 მარტი. უცხოელების, განსაკუთრებით ინგლისელების და ამერიკელების, ევაკუაცია სამხრეთ და ცენტრალურ ჩინეთიდან გაძლიერებით სწარმოებს. შანხაიში ჩამოდიან ცზი-ცზიანიდან, ხან-ჯოუდან, სუ-ჩჟოუდან, ხანკოუდან და სვატოუდან გამოსულები. შანხაიში ყოველ დღე მოდიან ახალი ჯარები. (ადს).

ძველი ხრიკების გზით

შანხაი, 30 მარტი. ნაციონალურ სააგენტოს, ნაციონალური მთავრობის ფინანსთა მინისტრმა სუნ-ფომ შანხაიში ჩამოსვლის შემდეგ გამართულ საუბარში განაცხადა:

„როდესაც მსოფლიო ომის დროს მე სტუდენტათ ვიყავი შეერთებულ შტატებში, საშუალება მქონდა ახლო დავკვირვებოდი პროპაგანდას, რომელმაც შეერთებული შტატები ჩააბა ომში. ასეთივე პროპაგანდას აქვს ადგილი დღეს, მხოლოდ ის ეხლა მიმართულია ნაციონალური მთავრობის წინააღმდეგ. დაჟინებით ტარდება ნაციონალური ჩინეთის იზოლიაციის პოლიტიკა და მალე ჩვენ გავიგებთ „ნაციონალისტების სიმხეცის ამბავს, სწორედ ისევე, როგორც ასეთივე სიმხეცეს სწამებდენ ერთმანეთს გერმანია და მოკავშირეები. ძალაუნებურად გებადება კითხვა—მსოფლიო ომის შემდეგ მოჰკვიანდა თუ არა ქვეყნიერება?“ (ადს).

ინგლისელების ძალათ მაცხონეობა

ბერლინი, 30 მარტი. ნაციონალისტურ „დერ ტაგ“-ის ცნობით, გერმანიის კოლონიაში შანხაიში მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა. კლუბებსა და ბანკებში გერმანელებს მისცეს წინადადება ხელი მოეწერათ მიმართვაზე, რომელშიაც ჯარების გადმოსხმის გამო გამოთქმული იყო მადლობა ინგლისის მთავრობისადმი შანხაიში მცხოვრებ იმ უცხოელების სახელით, რომელნიც არ არიან ინგლისის ქვეშევრდომნი. გერმანელთა ერთმა ნაწილმა ხელი მოაწერა მიმართვას, დანარჩენებმა უარი განაცხადეს. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია მიმართვის ფრაზამ: „ინგლისი ეხლაც კვლავ ჩაუდგა სათავეში განათლებულ ხალხებს“ (ადს).

მოწოდება კანტონელების წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 მარტი რემედასის ცნობით, შანხაიში ჩავიდენ ლტოლვილები ნანკინიდან, რომლებმაც ქალაქი დასტოვეს ზარბაზნების დაშენის დღეს. ლტოლვილები იუწყებიან, რომ წინასწარ შანდუნელებმა გაავრცელეს ხმები: ზარბაზნების დაშენის შესახებ. საღამოთი გამოვიდა მოწოდებანი, რომელნიც მოსახლეობას მოუწოდებდენ წინააღმდეგობა გაეწიათ კანტონის ჯარებისათვის.

„დიდო სახელმწიფოებო, ნათქვამი იყო მოწოდებაში, არ დაუშვათ კანტონელებს შესვლა ნანკინში. ნანკინის დაჭერა მათ მიერ ნიშნავს ამ ქალაქის დალუპვას. ზარბაზნები მიმართეთ ქალაქისაკენ: დეე, ისინი ალაპარაკდენ სასიკვდილო ცეცხლის ენით. თუ მოტყუებული მოსახლეობა დანებდება იმ ხალხის ხელისუფლებას, რომელნიც თავიანთ თავს ნაციონალისტებს უწოდებენ, ნამდვილად კი კერძო საკუთრებისა, წესიერებისა და რელიგიის მტრები არიან. მოქალაქენო, ყოველგვარი ზომებით გაუწიეთ წინააღმდეგობა მტერს, შედით მოხალისეთა რაზმებში, დაეხმარეთ კანტონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთაც სიკვდილი მოაქვთ თქვენთვის“.

ლტოლვილების სიტყვით, მრავალი კვარტალის მოსახლეობა, რომელიც ყოველ მხრივ გარემოცული იყო ცეცხლით, მთლიანად დაიღუპა (ადს).

ჩინელი სტუდენტები იმპერიალისტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 30 მარტი. შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა ჩინელ სტუდენტებისა და მუშების მიტინგები; რომლებზედაც მიიღეს რეზოლიუციები, რეზოლიუციები მოითხოვენ, რათა შეერთებული შტატები არ გამოვიდენ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. (ადს).

ჩინეთის რევოლიუციის ფულის ნიშნები



ახალი ფულის ნიშნები, გამოშვებული ჩინეთის რევოლიუციონური მთავრობის მიერ. ფულის ნიშნის წინა გვერდზე გამოხატულია სუნ-იატ-სენის სურათი, ჩინეთის ემბლემა და ბანკნოტის ნომერი. ყველა წარწერები ამ გვერდზე ჩინურ ენაზეა. მეორე გვერდზე ყველა წარწერები ინგლისურათაა დაბეჭდილი. წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ჩინეთის ცენტრალური ბანკი ვალდებულია ამის წარმომდგენს მთავარ კანტორაში გადაუხადოს 10 მტკიცე დოლარი“. ორივე მხარეზე დაბეჭდილია: „ხანკოუ“.



ვერ შეთანხმდენ

ვაშინგტონი, 30 მარტი. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კანცელარიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ კულიჯი წინააღმდეგია ერთიანი სარდლობის დაწესებისა უცხოეთის შეიარაღებული ძალებზე შანხაიში და უფრო სწორად სცნობს, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ძალები მოქმედებდენ დამოუკიდებლად. (ადს).

ინგლისი ჯარების გზავნას განაგრძობს

ლონდონი, 29 მარტი. თემთა პალატაში ინგლისის სამხედრო მინისტრმა ევონსმა განაცხადა, რომ დამხმარე ჯარების გარდა, შანხაიში იმყოფება ინგლისის ქვეითა ჯარის 9 ბათალიონი და ახლო მომავალში მოელიან კიდევ ერთ ბათალიონს. (ადს).

შანხაის პროფკავშირთა საბჭოს მოწოდება

შანხაი, 30 მარტი. შანხაის პროფკავშირთა საბჭომ ყველა ქვეყნის მუშებს მიმართა მოწოდებით, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„შანხაი იმყოფება რევოლიუციონური ხალხის ხელში. ძლევამოსილ სახალხო რევოლიუციონურ არმიას ამჟამად უჭირავს ჩინეთის ტერიტორიის ორი მესამედი, მათ რიცხვში შანხაიც, რომელიც წარმოადგენს იმპერიალიზმის ბაზას და უკანასკნელ დასაყრდენს აღმოსავლეთში. ეხლა მუშათა კლასმა შანხაის ყველა რევოლიუციონურ ელემენტებთან ერთად შეადგინა ქალაქში ხელისუფლება, რომელიც არჩეულია ხალხის მასების დელეგატების მიერ. ჩვენ ბრწყინვალეთ გავიმარჯვეთ, მაგრამ ის ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯია, ვინაიდან იმპერიალისტები, რომლებიც შანხაიში თავს უყრიან ახალ სახმელეთო და საზღვაო ძალებს, ამზადებენ ომს. ჩვენი მოვალეობაა მხარი დაუჭიროთ ახალ მთავრობას. ჩვენ ყველა ძალები უნდა გავაერთიანოთ რევოლიუციის გარშემო, რათა ჩინეთიდან განვდევნოთ იმპერიალისტური ბანდიტები. ახლოა დიადი გამარჯვება.

აღსდექით ჩვენთან ერთად და ჩვენ დავამხობთ მსოფლიო იმპერიალიზმს და გავანთავისუფლებთ ყველა ქვეყნის ჩაგრულთ!“ (ადს).

ამხ. ტან-პინ-სიანი

ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი ბელადთაგანი კანტონის მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი

კანტონელები ანადგურებენ შანდუნელებს

პეკინი, 30 მარტი. აქ მიღებული ცნობების მიხედვით, შანდუნის ჯარების სარდლობას განზრახული აქვს შეინარჩუნოს ტიან-ცზინ-პუკოუს რკინის გზა. გაზეთები იუწყებიან სამხრეთის ჯარების მოწინავე ნაწილების გამარჯვებას შანდუნელებთან გამართულ ბრძოლაში ტინგიიუანის მახლობლად (ანხოის პროვინცია), და ჩენ-ტიაო-იუანის (პროვინცია ანხოის მმართველი, რომელიც იბრძვის სამხრეთის ჯარების მხარეზე) წინსვლას პენპუში.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მუკდენის ჯარების კორპუსმა აიღო კაიფინი (ხენანის პროვინცია). ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ მუკდენელები დაიძვრიან აღმოსავლეთისაკენ ლუნხაის რკინის გზის მიმართულებით შანდუნის ჯარებთან შესაერთებლად დ. ჩან-ძოლინი განმეორებით აძლევს წინადადებას უ-პეი-ფუს, რათა უკანასკნელმა იკისროს სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა ხენანის პროვინციაში.

საფრანგეთის ჯარები

პარიზი, 29 მარტი. ინდო-ჩინეთიდან შანხაიში გაწვეულ იქნა საფრანგეთის ჯარების ახალი რაზმი, რომლის ჩასვლას შანხაიში მოელიან აპრილის პირველ რიცხვებში. (ადს).

ხელები შორს ჩინეთისაგან

პროტესტები ნანკინში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 მარტი. 29 მარტს კომინტერნის შენობის წინ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია იმ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტებმა მოაწყვეს ნანკინში. შენობის აივნიდან სხვადასხვა ქვეყნების კომპარტიების წარმომადგენლები ესალმებოდენ მოსკოვის პროლეტარიატს მგრძნობიარე სიტყვებით. (ადს).

ხარკოვი, 30 მარტი. პოლტავის, კრემენჩუგის, ჟიტომირის და პროსკუროვის ყველა ქარხნებში და წარმოებებში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები ნანკინში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. (ადს).

მოსკოვის კომკავშირი—ხანკოუს კომკავშირს

მოსკოვი, 30 მარტი. მოსკოვის კომკავშირმა მოაწყო მისი შეფობის ქვეშ მყოფ ხანკოუს კომკავშირის დახმარების საღამო, რომელსაც დაესწრო 3,000-დე კომკავშირელი. საღამოზე ამხ. რასკოლნიკოვმა წაიკითხა მოხსენება ჩინეთის შესახებ.

საღამოზე სიტყვები წარმოსთქვეს ჩან-კაი-შის და ფინ-იუი-სიანის შვილებმა და ჩინელმა კომკავშირელმა ქალმა. (ადს).

რეფორმისტების გამთიშავი პოლიტიკის წინააღმდეგ

ინგლისის პროფკავშირების უმცირესობის აღმასკომის მოწოდება

ლონდონი, 29 მარტი. ამას წინად გენერალურმა საბჭომ დაადგინა არ იქნენ ცნობილი პროფკავშირების ის ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც კავშირი აქვთ უმცირესობის მოძრაობასთან. ამის გამო უმცირესობის ნაციონალური მოძრაობის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილება ისეთია, რომ მას პასუხი უნდა გაეცეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში რეაქციონურ ბიუროკრატებს, რომლებმაც ჩაშალეს გენერალური გაფიცვა, საშუალება მიეცემათ განავითარონ მუშაობა, მიმართული პროფმოძრაობის გათიშვისაკენ. ჩვენ მოუწოდებთ მუშებს არ შეასრულონ იმ ბელადების პოლიტიკა, რომლებმაც მუშებს არგუნეს მაისის დამარცხება. გენერალურ საბჭოს შემოტევის ნამდვილი მიზეზია უმცირესობის მოძრაობის გავლენისა და ავტორიტეტის ზრდის შიში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გენერალურ საბჭოს პოლიტიკა დამარცხდება და რომ მუშები გათიშვის ამ პოლიტიკას უპასუხებენ მით, რომ ჩვენ დაგვიჭერენ მხარს, დაესწრებიან როგორც იმ კონფერენციებს, რომლებიც შეხდგება 23—24 აპრილს, ისე საბოლოო კონფერენციას ლონდონში, რომელიც შეხდგება კუკის თავმჯდომარეობით 30 აპრილს“. (ადს).

თეთრი ტერორი ბულგარეთში

ვენა, 29 მარტი. ბულგარეთში მოგზაურობის შემდეგ ვენაში ჩამოვიდენ ინგლისის დეპუტატები, მუშათა პარტიის წევრები უოლხედი და გრენფელდი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში მათ განაცხადეს, რომ თეთრ ტერორს ბულგარეთში სათავეში უდგას სამხედრო მინისტრი ვოლკოვი, რომელიც დაკავშირებულია ფაშისტურ ორგანიზაციებთან.

შემდეგ დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ბულგარეთის პრემიერი ლიაპჩევი შესაძლებლად არ სთვლის ამნისტიის გატარებას, რადგან ის მას სახიფათოდ მიაჩნია ამნისტიით განთავისუფლებულთა სიცოცხლისათვის. საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერმა განუცხადეს დეპუტატებს, რომ ახლო ხანში ბულგარეთში მოელიან მასიური ხოცვა-ჟლეტის განმეორებას. თეთრი ტერორის მსხვერპლთა ქვრივები და შვილები, აღწერდენ ტერორის საშინელებას და პოლიტპატიმართა და მათი ოჯახის წევრთა აუწერელ გაჭირვებას. დეპუტატები ადასტურებდენ, რომ მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილება და აღშფოთება დღითი დღე იზრდება. (ადს).

რუმინეთის დამოუკიდებელი კავშირების მემორანდუმი

ვენა, 29 მარტი. რუმინეთის დამოუკიდებელ კავშირის საბჭომ გადასცა პრემიერს და პარლამენტს და აგრეთვე გამოაქვეყნა პრესაში მემორანდუმი, რომელშიაც მოითხოვს იმათ დასჯას, ვისაც ბრალი მიუძღვის გერმან შტადტის უნიტარულ პროფკავშირების ყრილობის უკანონოდ გარეკვაში. შემდეგ მემორანდუმი მოითხოვს კავშირთა კრებების და პრესის თავისუფლების გარანტიას, ნებართვას პროფკავშირთა ახალი კონგრესის მოწვევაზე და სხვა. (ადს).

რუმინეთის ოხრანკის „გმირობა“

ვენა, 29 მარტი. რუმინეთის ოხრანკამ ხელახლა დაიწყო გალაშქრება უნიტარულ პროფკავშირების წინააღმდეგ, რა მიზნითაც იყენებს რეფორმისტულ ბიუროკრატების ყალბ ცნობებს, თითქოს უნიტარული პროფკავშირები შეუერთდენ პროფინტერნს. ბესარაბიაში აკრძალულია უნიტარულ პროფკავშირების ორგანო „ბანატე“, სემიგრადიეში აკრძალულია პროფკავშირების კრება. მედიაშში დაპატიმრებული არიან პროფმუშაკები. დაპატიმრებულნი გადაასახლეს, ამასთან ზოგიერთ მათგანს სასტიკად აწამებენ. (ადს).

პროტესტი ბესარაბიის

ოქმის რატიფიკაციის შესახებ

ბალტა, 30 მარტი. სრულიად მოლდავიის საბჭოთა ყრილობაზე ტირასპოლის რაიონის დელეგაციამ წარადგინა საპროტესტო რეზოლიუცია იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის წინააღმდეგ. ყრილობამ მიიღო ეს რეზოლიუცია და შეიტანა ის უკრაინის მთავრობის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში. (ადს).

იტალიის მუქარა

ვენა, 30 მარტი. ბელგრადის გაზ. „პოლიტიკა“-ს ცნობით, იტალია კვლავ გახდა დიდ სახელმწიფოთ, რის გამოც სამხრეთ-სლავიის მთავრობა იძულებულია თავდაცვითი ზომები მიიღოს საზღვრებზე. (ადს).

სიკვდილით დასჯა

ლონდონი, 30 მარტი. ინგლისის თემთა პალატამ უარჰყო მუშათა პარტიის რეზოლიუცია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ არმიაში, გარდა ღალატის შემთხვევისა (ადს).

ადმირალ დეგიუს

განცხადება

პარიზი, 30 მარტი. მილიერანის ორგანო „ავენირ“-ში ადმირალი დეგიუი წინადადებას იძლევა, რომ ჩან-ძო-ლინის დასახმარებლად ჩინეთში გაიგზავნონ თეთრგვარდიელი მეზღვაურები, ვრანგელის მიერ გატაცებული გემებით. „თუ რაკოვსკი ამაზე განაცხადებს პროტესტს, ამბობს დეგიუი, მაშინ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, რომ აუცილებელია დავეთანხმდეთ იმაზე, რასაც ჩვენ ვერ ავკრძალავთ“. (ადს).

ბერლინი წითელი

უნდა იქნეს

ბერლინი, 30 მარტი. ფაშისტების პროვოკაციულ გამოსვლასთან დაკავშირებით, ბერლინში და ფაშისტური ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის“ განზრახვის გამო 8 მაისს გამართოს აღლუმი, გერმანიის კომპარტიამ, წითელ კავშირთან ერთად, მიმართა ღია წერილით სოციალ-დემოკრატებს, პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანებას და რესპუბლიკანური დროშის კავშირს. წერილი მოუწოდებს მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. უშუალო ზომის სახით, კომპარტია წინადადებას იძლევა, რომ თვითეულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად გაატაროს კამპანია ყველა წარმოებებსა და პროფკავშირებში ლოზუნგით: „ძირს ბურჟუაზიული ბლოკის ფაშისტური გვარდია, 7 და 8 მაისს ბერლინი წითელი უნდა იქნეს“ (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

პოლონეთის მთავრობის ახალი კურსი

ვარშავა, 30 მარტი. სენატორი ოსკოჰსკი, უკეთებს რა კომენტარიებს ზალესკის ინტერვიუს გაზეთ „კურიერ ვარშავსკი“-ში, სწერს:

„ზალესკის განცხადებიდან ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ პოლონეთის მთავრობამ უარი სთქვა თავის ტრადიციულ აზრზე—ბალტიის სახელმწიფოებთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლაზე. პატეკი კარგი განწყობილებით დაბრუნდა მოსკოვში. თუ ამ განწყობილებამ შედეგი გამოიღო, ჩვენ მზათ ვართ ვაღიაროთ, რომ მას აქვს დიპლომატობის დიდი უნარი, რაშიაც წინედ ეჭვი შეგვედიოდა“ (ადს).

დემონსტრაცია ტომაშევსკის დაკრძალვაზე

ვარშავა, 30 მარტი. ვარშავაში გარდაიცვალა ძველი პოლონელი რევოლიუციონერი, ზევოლიუციონური ორგანიზაციის წევრი, 70 წლის სტანისლავ ტომაშევსკი. მისი დაკრძალვა გადაიქცა მუშათა დიდ დემონსტრაციად. ტომაშევსკის ნეშტის გამცილებლებმა დაიწყეს „ინტერნაციონალის“ მღერა, მაგრამ სასაფლაოზე მოსულმა საპოლიციო რაზმმა გარეკა დაკრძალვის მონაწილენი და ოთხი მათგანი დააპატიმრა (ადს).

კაპიტალისტების სახეირო არბიტრაჟი

ვარშავა, 29 მარტი. საარბიტრაჟო კომისიამ ბარტელის მეთაურობით გამოიტანა დადგენილება ლოძელ ფეიქართა სამუშაო ხელფასის შესახებ, რომელიც გადიდებულია 5—12 პროცენტამდე. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება სასარგებლო არაა გაფიცულ მუშებისათვის, რადგან ისინი მოითხოვდენ 25 პროცენტიან მომატებას. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის რადიო ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 30 მარტი. ინგლისის დღევანდელი ოფიციალური რადიო იუწყება: „მდგომარეობა მდ.იან-ცზის რაიონში კვლავ გამოურკვეველი და საშიში რჩება. ინგლისის ხელისუფლებამ გადასწყვიტეს გაიყვანონ ყველა ბრიტანელი ქვეშევრდომნი ტი-შანიდან (ხუ-ბეის პროვინცია), ცზიან-შინიდან (ხუნანის პროვინცია) და ჩუნ-ფინიდან (სი-ჩუანის პროვინცია). ეს გადაწყვეტილება არ აიხსნება რამე გარკვეული საშიში მდგომარეობით უცხოელებისათვის. ადგილობრივ ჩინელ ხელისუფლებს აცნობეს, რომ პასუხისმგებლობა ინგლისელ მოქალაქეთა ქონების ხელშეუხლებლობაზე მთლიანად მათ ეკისრებათ. ჩუნ-ფინშია სამი ინგლისური კანონერკა, ცზიანშინში ერთი და ტიჩან-შიც—ერთი“.

„იან-ცზის რაიონიდან მიღებული სხვა ცნობებით,—განაგრძობს ოფიციალური ცნობა,—ჩუნ-ფინში, მიუხედავად ჩინეთის ხელისუფლეთა ყოველგვარი ცდისა, ძლიერდება ექსტრემისტების მუშაობა. ხანკოუში ჯერ-ჯერობით არ არის ჩაქრობილი აჯანყება, უცხოეთის ბანკები დახურულია. ვუხუდან გაყვანილი არიან ყველა ინგლისელი ქალები და ბავშვები; მამაკაცები თავმოყრილი არიან ტივებზე. საერთო მდგომარეობა აქ გამოურკვეველია. ცზიუ-ცზიანში ინგლისელებს ბოიკოტით ემუქრებიან იმის გამო, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია რეკვიზიციაქმნილ ინგლისურ გემის „ძიან-ვო“-სათვის. ჩინეთის საგარეო საქმეთა რწმუნებულს დაუბრუნდა ჩინელ ჯარისკაცების მიერ გემზე დატოვებული იარაღი. ნანკინის ნავთსადგურ სია-გუანში ხანგამოშვებით იმართება სროლა. მდინარეზე მდგომ გემებისთვის არ აუტეხიათ სროლა. საერთო მდგომარეობა აქ უმჯობესდება. ნაციონალური მთავრობის მიერ ნანკინში დანიშნულმა საგარეო საქმეთა რწმუნებულმა გამოსთქვა სურვილი ინგლისურ კრეისერებზე „ემეროდზე“ ასვლისა, რომელზედაც იმყოფება ინგლისის დაჭრილი კონსული და რამდენიმე ინგლისელი, რომლებიც მსახურებდენ ჩინეთის საბაჟოში და ნანკინის ინგლისურ ფირმებში. ნანკინის ქვევით მდ ან-ცზიზე გახშირდა უცხოეთის გემებისათვის უმბარების დაშენა“. (ადს))

ამერიკის სესხი პოლონეთს

ვარშავა, 29 მარტი. ვარშავაში ჩამოვიდენ [illegible] და მლინარსკი პოლონეთის დელეგაციის მეთაურნი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩ.-ამერიკის შეერთებულ შტატებთან პოლონეთისათვის სესხის მიცემის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, პოლონეთის პრესა აქვეყნებს ცნობებს ამერიკისაგან პოლონეთის მიერ სესხის მიღების შესახებ. (ადს).

ჯალათის პატივება

ვარშავა, 29 მარტი. პოლონეთის პრეზიდენტმა მოსციცკიმ აპატია სასჯელი მურაშკოს, ვეჟიკოვიჩსა და ბაგინსკის მკვლელებს. (ადს).

შანხაის შანხაელები მმართავენ

შანხაი, 29 მარტი. ჩინელ მუშებისა და საზოგადო ორგანიზაციების მიერ არჩეულმა კომიტეტმა შეუდგა შანხაის ჩინური ნაწილის მართვას. ნაციონალურმა მთავრობამ დაამტკიცა კომიტეტი, როგორც შანხაის ხელისუფლების დროებითი ორგანო. (ადს).

გარბიან

პეკინი, 29 მარტი. გრძელდება ველინგტონ კუს კაბინეტის დაშლა. ოთხი მინისტრი გადადგა, სამი მინისტრი პეკინში აღარ იმყოფება, კაბინეტის სხდომებს მხოლოდ ორი მინისტრი დაესწრება. (ადს).

ჩან-კაი-ში ვილიამსთან

ლონდონი, 30 მარტი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება: „ჩან-კაი-ში დღეს ავიდა ამერიკის ესკადრის ფლაგმანურ გემზე შანხაიში „პიტსბურგზე“, რომელზედაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამირბარ ვილიამსთან, საუბარი შეეხებოდა ზომების მიღებას წესრიგის დასაცავად შანხაის რაიონში. გუშინ ვილიამსი ინახულა ნაციონალური ფლოტის ამირბარმა ლუმ“.

სრულიად კანადის მუშათა კონგრესი

ლონდონი, 30 მარტი. მონრეალში გაიმართა სრულიად კანადის მუშათა კონგრესი. კონგრესის მიზანია კანადის იმ მუშათა ორგანიზაციების გაერთიანება, რომლებიც არ შეუერთდენ პროფკავშირებისა და მუშათა ორგანიზაციების კანადის კონგრესს. (ადს).

სამთამადნო მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 30 მარტი. გლენოვენში (სამხრეთ უელსი), ნიშნად პროტესტისა პროფკავშირის არა წევრების სამუშაოზე მიღების წინააღმდეგ, გაიფიცა 2 ათასი სამთამადნო მუშა.

აღმოსავლეთის ცხოვრება

მონობა საფრანგეთის კოლონიებში.

იმპერიალისტები ბურჟუაზიული პრესის დახმარებით მოხერხებულად ფარავენ იმ საშინელ რეჟიმს, რომელიც არსებობს კოლონიებში. მხოლოდ იშვიათად, პარლამენტში შემთხვევით მიცემულ შეკითხვების ან იმპერიალისტ-ყაჩაღების ურთიერთ გამომჟღავნების წყალობით იხდება ფარდა, რომელიც ფარავს იმპერიალისტების „ცივილიზატორულ“ მუშაობას. ამნაირი გზით რამდენიმე თვის წინათ გამოირკვა, რომ ინგლისურ კოლონიაში—კენიაში (აღმოსავლეთ-აფრიკა)—არსებობს მონობა, არა როგორც ნაშთი შორეული წარსულის, არამედ ახლად შემოღებული ინგლისელ ლორდების მიერ. თავიანთი ჯიბის გასასქელებლად ლორდები მონობის შემოღებასაც კი არ ერიდებიან.

ეხლა ირკვევა, რომ საფრანგეთის კოლონიებში შემოღებული რეჟიმი ბევრათ არ განსხვავდება კენიაში არსებულ მონობისაგან.

ლაპარაკია საფრანგეთის კონგოზე (კოლონია დასავლეთ აფრიკაში). ამ ეკვატორიალურ ქვეყანაში მოჰყავთ კაუჩუკი. კაუჩუკი (რეზინის ნედლეული) მოჰყავთ არა თეთრკანიან პლანტატორებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობას. რათა კაუჩუკის მომშენებელი ადგილობრივი მცხოვრებლები უკეთესად გაეყვლიფათ, საფრანგეთის მთავრობამ კაუჩუკის შესყიდვის მონოპოლიური უფლება მიანიჭა ერთ კომპანიას.

სარგებლობს რა თავისი მონოპოლიური უფლებით, კომპანიამ პირდაპირ ზღაპრულ დონემდე მიიყვანა ადგილობრივი მცხოვრებლების ექსპლოატაცია. ყველა სოფლები ვალდებული არიან კაუჩუკის მთელი მოსავალი კომპანიის ჩააბარონ. ფასები კი კაუჩუკზე მეტად მცირეა დაწესებული: კილოში 1 ფრანკი. უმანგიმარის რაიონში კი, სადაც მონოპოლია არ არსებობს, მცხოვრებლებს კილო კაუჩუკში ეძლევათ 10—12 ფრანკი.

კაუჩუკის კომპანიის „საბუთები“ ძლიერ მარტივია: მთელი კოლონიის ტერიტორიაზე არსებულ ხეებს კომპანია თავისად თვლის და მცხოვრებლებს აძლევს მხოლოდ „შრომის ქირას“.

ფრანგ „ცივილიზატორებს“ სრულიად არ აფიქრებს ის ფაქტი, რომ ამ წესით კაუჩუკის მომშენებელი ადგილობრივი მცხოვრები თვეში გააკეთებს რაღაც 10 ფრანკს (80 კაპეიკს) და, მაშასადამე, განწირულია შიმშილისაგან სასიკვდილოდ.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი საშინელი ექსპლოატაციის პირობებში, ადგილობრივი მოსახლეობა, ზოგჯერ, უარს ამბობს კაუჩუკის ჩაბარებაზე კომპანიისათვის.

ასე, მაგალითად, ამ რამდენიმე კვირის წინათ ბეიას ტომმა უარი სთქვა კაუჩუკის ჩაბარებაზე. სოფელში დაუყოვნებლივ გაიგზავნა 4 პოლიციელი ადგილობრივ სერჟანტის მეთაურობით. მაგრამ სოფლელები ვერც პოლიციელებმა ვერ შეაშინეს. მაშინ პოლიციელებმა სროლა აუტეხეს უიარაღო ხალხს. აღშფოთებულმა მცხოვრებლებმა განაიარაღეს პოლიციელები და შემდეგ მოჰკლეს ისინი.

მცხოვრებლების ურჩობამ დიდი მღელვარება გამოიწვია კომპანიის ხელმძღვანელებს შორის და კოლონიალურ ადმინისტრაციაში. გადასწყვიტეს „ჭკუა ესწავლებინათ“ მოსახლეობისათვის. ბეიას ტომს სისხლიანი ბანო მოუწყვეს. ხუთი მოკლული პოლიციელი ბეიას ტომს რამდენიმე ათას კაცად დაუჯდა. ტომის სოფლები გადასწვეს, პლანტაციები გაანადგურეს, სიკვდილით დასჯილთა თავები კი სარებზე ჩამოაცვეს.

ასე იძია საფრანგეთის ბურჟუაზიამ შური კონგოს მცხოვრებლებზე, რომლებიც შეეცადენ მოეშორებინათ კოლონიალურ მჩაგვრელების უღელი.



იმპერიალისტების შურისძიება

ჩან-ძო-ლინის შავრაზმელი გენერალი ჩჟან-ცზუნ-ჩჟანი შანხაიდან გაქცევის წინ სასტიკ ტერორს მიმართავდა რევოლიუციონურ მუშების მიმართ. მუშებს მასიურად სჯიდენ სიკვდილით. სურათზე ნაჩვენები ორი მუშის მოკვეთილი თავი, გამოკიდებული საჯაროთ.

რა იყო და რა აღარ იქნება

1.

ამჟამად თბილისში მიმდინარეობს საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა. ამ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თუნდა იმიტომაც, რომ სულ რაღაც ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლების ექვსი წლის თავი იდღესასწაულეს.

ექვსი წელიწადია, რაც საქართველოში არსებობს საბჭოთა ხელისუფლება, ექვსი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ბედ იღბალს განაგებს მშრომელი ხალხი.

ექვსი წლის თავზე შეიკრიბა მეოთხე ყრილობა. ამ ყრილობაზე საქართველოს მუშები და გლეხები ერთხელ კიდევ გაითვალისწინებენ მომავალი მუშაობის გზებს. საბჭოთა ყრილობა მოისმენს წინა—მესამე ყრილობაზე არჩეულ მთავრობის მოხსენებას, შეაფასებს ამ მუშაობას, აღნიშნავს მის ნაკლსა და შეცდომებს, რამდენათაც ასეთები მოიპოვება ამ მუშაობაში და ახალი მუშაობის გეზს მისცემს მომავალ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს.

საბჭოთა ყრილობა—აი ის უზენაესი წარმომადგენელი საქართველოს მშრომელი ხალხის, რომელსაც მარტოთ-მარტო უდაოთა და უცილობლად ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის მართველობა.

მაგრამ შეფასებას, მოთავებული მუშაობის ავ-კარგის დანახვა და გამოჩენას ისე ვერავინ მოახერხებს, თუ ზედმიწევნით არ გაითვალისწინა ის პირობები, რომელითაც გარემოცული იყო ჩვენი მუშაობა. თავის-თავად ამ პირობების შესწავლისათვის კი საჭიროა ერთხელ კიდევ მოვიხედოთ უკან, გავიხსენოთ, თუ რა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როგორ მართავდა საქართველოს ის პარტია, რომელიც სამი წლის განმავლობაში უდგა მთავრობას სათავეში. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ, რა „შესძინა“ და რა დააკლო საქართველოს მშრომელ ხალხს მენშევიკების ბატონობამ, უნდა გავარკვიოთ როგორი პირობები და ნიადაგი დარჩა მათ შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობისათვის.

მაშ ასე, გავარკვიოთ, ჯერ ის, თუ რა იყო.

* *
*

რა იყო საქართველოში მენშევიკების დროს. რა იყო თვით საქართველო მენშევიკების ხელში?

„თავისუფალი, სოციალისტური, ნეიტრალური და აყვავებული მენშევიკური საქართველო“ —ასეთი სახელით იხსენიებდენ საქართველოს ის ეგრედ წოდებული მეორე ინტერნაციონალის წიაღში აყროლებული და გახრწნილი „სოციალისტები“, რომლებმაც თავის თვალით ნახეს ეს „ბედნიერი კუთხე“ და თავის ფეხით მოიარეს ის კიდით-კიდემდე.

—„საუცხოო სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა“, ასე დასძენდა ხოლმე სხვების ქება-დიდებას კაუტსკი, რომელიც, მართალია სხვებზე გვიან ესტუმრა მენშევიკურ საქართველოს, მაგრამ სხვებზე მეტს ხანს დაჰყო აქ და ალბათ, სხვებზე უკეთესათაც შეისწავლა მისი მდგომარეობა.

ვნახოთ, გამოვარკვიოთ, მართლაც და ასეთი ბედნიერებით იყო შემკობილი იმდროინდელი საქართველო?

ჩვენში იტყვიან: „მტყუანს კარებამდეო!“ ეს იმას ნიშნავს, რომ მოტყუებით, ენის მოქნილი მუშაობით შავის თეთრათ გახადება ძნელი საქმეა. პირი თავს მაინც არ დამალავს.

ნივყვეთ კარებამდე ჩვენც ამ ენის ქავილით დასნეულებულ ხალხს. ჯერ ის ვნახოთ, მართლაც და იყო, თუ არა მენშევიკების ხელში საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი?

ბევრს ემახსოვრება—ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია—საქართველოში გერმანელების ჯარის ჩამოსვლა.

„საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ გერმანელების ჯარი ჩამოსულია ჩვენში თვით ჩვენი მთავრობის მოწვევით“.

ასე სწერდა მენშევიკური მთავრობა საქართველოში გერმანელების ჯარის ჩამოსვლისას. ვერაფერით ჰგავს ასეთი ამბავი იმას, რომ ის ქვეყანა, რომელშიაც უცხო ქვეყნის ჯარი დაჯირითობს, მაინც და მაინც „თავისუფალი და დამოუკიდებელი“ იყოს.

საინტერესოა, როგორ აფასებდა და რა თვალით უყურებდა მენშევიკური მთავრობა გერმანელების ჯარის ჩამოსვლას საქართველოში. მენშევიკური მთავრობის ბელადები არც ისეთი გულუბრყვილო ხალხი იყო, რომ არ სცოდნოდა, თუ რას ნიშნავდა გერმანელების საქართველოში შემოსვლა და აქ მათი ჯარების დაბანაკება, მაგრამ მათ ამის გამხელა და პირდაპირ ამის თქმა არაფრად ეხალისებოდათ. „ძალა-ალმართს ხნავს“ ნათქვამია და ისინიც ძალაუნებურად მაინც იძულებული შეიქნენ როგორმე ეხსნათ ამ სტუმრების ჩამოთესლების მიზეზი.

„როგორც ასი წლის წინათ, შეურიგდით რუსეთის ჩვენ საქმეებში ჩარევას, ისე ეხლაც ადვილად შეურიგდება ჩვენი ხალხი უცხოელების ჩვენს საქმეებში ჩარევას, თუ რომ მათ წილათ ხვდებათ ჩვენში წესრიგის აღდგენა“.

ასე სწერდენ მენშევიკები, როცა შუბი ხალთაში აღარ დაიმალა და მათაც რაიმე გასამართლებელი და ბოდიშის გამოსაწმენდი მიზეზი უნდა გამოენახათ გერმანელი ჯარების საქართველოში დაბანაკებისათვის.

მართლაც გერმანელი ოფიცრები და ურიადნიკები ჩქარა შეუდგენ საქართველოში „წესიერებისა და კანონიერების“ აღდგენას.

„შესდგეს დაუყოვნებლივ კომისია, რომელშიდაც შევა ორი წარმომადგენელი საქართველოს მთავრობისაგან, ორი ქართველი მემამულეებისაგან და ერთიც გერმანელების ჯარებისაგან!“.

გასცა ასეთი ბრძანება გერმანელების ჯარების უფროსმა ვილაც ფონ-კრესმა, როდესაც მას ჩაეწვეთა ყურში, რომ გორის მაზრაში გლეხები თავადებს ღალას აღარ უხდიანო.

მენშევიკების „სოციალისტურმა“ მთავრობამაც თავი მოიწონა უცხო ქვეყნის ბრძანებლების წინაშე და გლეხებს დაუყოვნებლივ ამოთხარეს მემამულეების დასაკმაყოფილებლად ღალა.

ღალის ძლევა მემამულეებისათვის—ეს, მართალია, ერთგვარი წესრიგის აღდგენას ნიშნავდა, მაგრამ ასეთი წესი და სამართალი ხომ მეფის დროს არსებობდა? მაშ რაღასი მაქნისი იყო ეს „სოციალ-დემოკრატიული“ რესპუბლიკა და მისი „სოციალისტური“ მეთაურები?

დავანებოთ ამ საგანს თავი, აქ ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის, თუ როგორი „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“ უნდა ყოფილიყო იმ ქვეყანაში, სადაც ეს გარეშე ქვეყნის ჯარის ურიადნიკები აწესებდენ კანონსა და სამართალს.

ეს არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი შემოძახილი არც იმავე ფონ-კრესისაგან და არც იმ ჯარების მეთაურებისაგან, რომლებიც ეწვიენ საქართველოს გერმანელების დამარცხების შემდეგ—ალბად, ისევ მენშევიკური მთავრობის თხოვნისა და მუდარის გამო.

ყველა ამბების ჩამოთვლა საჭირო არ არის, ამას ბევრი დრო უნდა და ეს არც იმდენად საინტერესოა. სურათი ყოველთვის ერთგვარია ერთი მხრით მენშევიკური „დამოუკიდებელი“ საქართველოს მთავრობა წელში ოთხათ მოკეცილი ტუჩებს უმიზნებს სტუმრათ შემოპატიჟებული წესრიგის დამცველების ჩექმის წვერს, მეორე მხრით ბრიყვი და ამაყი უცხოელი ოფიცრები, რომელსაც არც იმდენათ ეხალისება ამ დაგლახავებული ნაცარქექიების ყურება.

ასეთი იყო საქართველოს „დამოუკიდებლობა“—სამ წელიწადს გაგრძელდა ის და, ვინ იცის, რამდენჯერ ამოკრეს ცხვირში მენშევიკების მთავრობას ამ „კანონიერებისა და წესრიგის დასამყარებლად“ მოსულმა სტუმრებმა, რომლების საქართველოს საქმეებში ჩარევას „ქართველი ხალხი“ ასე „ადვილად“ უნდა შერიგებოდა.

მენშევიკების „ქების ფურცელში“ სხვათა შორის მენშევიკური მთავრობა მოხსენებულია, როგორც „სოციალისტური“ მთავრობა. ვნახოთ, მართლაც ეცხოთ რამე მენშევიკებს და მათ მართვა-გამგეობის წესებს სოციალიზმის?

აქაც აშკარათა და გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიულ (და თუნდა „საუცხოო სოციალ-დემოკრატიულ“, კაუცკის თუ დაუჯერებთ) რესპუბლიკას თავი არ შეუწუხებია სოციალისტური წესების დასამყარებლად.

ჩვენ შეიძლება მიდგომაში ვინმემ ჩამოგვართვას, სჯობს რომ აქაც ისევ მენშევიკები ვალაპარაკოთ და ამ შემთხვევაში თვით ნოე ჟორდანია დავიმოწმოთ.

„საზოგადოთ ასეა, ან არსებობს კაპიტალი და მაშინ კაპიტალი აღარ არსებობს, მრეწცილებელია, ან და მუშათა კლასი ბატონობს და მაშინ კაპიტალი აღარ არსებობობს. მრეწველობის*)—და მუშათა კლასის ინტერესების შეთანხმება კი აშკარაა, ძნელი საქმეა“.

ეს ერთი, ეხლა სხვა კიდევ უფრო გარკვეული და უფრო აშკარა ნათქვამი იმავე საგანზე.

„უეჭველია, რომ ყოველივე სახელმწიფო, რომელიც ბურჟუაზიულ ჩარჩოებშია მოქცეული, ასე თუ ისე ბურჟუაზიის ინტერესებს უნდა ემსახუროს. ამ გარემოებისაგან საქართველოს სახელმწიფო ვერას გზით თავს ვერ დაიხსნის“.

ამაზე უფრო გაბედულად და გარკვეულად ამ აზრის თქმა შეუძლებელია. საქართველო ბურჟუაზიული სახელმწიფოა, ამიტომ ჩვენ ბურჟუაზიას უნდა ვემსახუროთო.—ამბობს ჟორდანია.

ღალა მემამულეებს! მუშების ექსპლოატაცია ბურჟუაზიას!!

აი ის წესრიგი, რომლის დამყარება თავის ძალ-ღონით ვერ შეძლის მენშევიკებმა და წესრიგის დასამყარებლად ეპატიჟებოდნენ ისინი ხან გერმანელებისა და ხან ინგლისელების ჯარებს.

აი ის „სოციალისტური რესპუბლიკა“, რომლის მეთაურები ყველას უმტკიცებდენ—ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება სუფევს და ჩვენ მას უნდა მოვეხმაროთ მუშების გასაფუცქნელათო.

„მშრომელი ხალხის მდგომარეობა აუტანელია!“.

ყურუთ ისმის მენშევიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანოში (იხ. „ბორბა“ 20 ნოემბერი 1920 წელი).

„არამც თუ მოზრდილები, ყმაწვილები და ბავშვებიც ისეთ მდგომარეობაშია, რომ მათ გადაგვარება და გადაშენება მოელის სიმშილისა და სიცივისაგან“.

ვკითხულობთ მენშიკების გაზეთში.

„რესპუბლიკა მძიმე კრიზისს განიცდის და ამ კრიზისის სიმძიმე მუშათა კლასს აწევება ზურგზე“.

ესეც იმავე გაზეთის ფურცლებზე სწერია.

„სულია შეწუხებული სიცივისა და სიმშილისაგან, აღარავის გაგვაჩნია საცვლები“.

მაგრამ საცვლებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, როდესაც მუშებს სიმშილისაგან სული ძვრებოდათ. აი, რას სწერს ამის თაობაზე ერთი ძველი მუშა-მენშევიკი (იხ. „ახალი სხივი“ 9 ნოემბერი 1920 წ.).

„არის ერთი წყება ბობოლა მოხელეები—იმათთვის ყველაფერია, მუშებისათვის კი არაფერი არ ემატებათ. შეუძლებელია მეტის მოთმენა“.

კიდევ ერთი ამონაწერი იმავე გაზეთიდან.

„უბრალო მოსამსახურეებს და მუშას სიმშილი აწუხებს, მაგრამ იმავე დროს ჩვენში ბლომათაა ისეთი ხალხი, რომელიც დროს ატარებენ ნებივრობაში, ფულს ისინი ორივეს ხელებით ფანტავენ. ჩვენ რომ თავშესაფარებელსაც ვერ ვშოულობთ, მათ ხოთ-ხუთი და ექვს-ექვსი ოთახები უჭირავთ. მათ ბინაზე ელექტრონი არ ქრება არც დღე და არც ღამე, ჩვენ კი პრაქიც არ გვაქვს, რომ ღამე გავინათოთ“.

ამას ვინ სწერს და სად? ბოლშევიკები თავიანთ გამოცემებში?! არა!! ეს ყოველიიი იმავე მენშევიკი-მუშების დაწერილია მენშევიკების გაზეთებში.

ასეთი იყო მენშევიკური მთავრობის „სოციალისტობა“!

მაგრამ ეხლა სხვა რამ ვნახოთ. საქართველო „ნეიტრალური“ ქვეყანააო, ამბობდენ მენშევიკების ეშხით დამთვრალი ვანდერველდე და ძმანი მისნი.

არც აქ დაგვჭირდება ჩვენ სხვა გარეშე საბუთების ძებნა, ისევ ნოე ჟორდანია მოვიყვანოთ მოწმეთ.

„მე არასოდის არ წარმომიდგენია ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა, როგორც სავსებით ნეიტრალური, ვინაიდან, რაც იყო და, რაც მოხდა, ის სწორედ წინააღმდეგს ამტკიცებს“.

ეს ჟორდანიას მოკითხვის წერილში კი არავისათვის მიუწერია, არა—ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული ნოტა საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიის მისიისათვის მიწერილი. რატომ უნდა დავემდუროთ ჟორდანიას სიმართლის თქმისათვის—მართალს ამბობს, თუმცა ამის თქმა სრულებით არ უდგება იმას, რასაც ლაპარაკობდენ და დღესაც ლაპარაკობენ მენშევიკების მეგობრები მეორე ინტერნაციონალიდან.

ეს, რაც ჟორდანიას ნოტაში სწერია სიტყვა-სიტყვით უდგება იმას, რაც მენშევიკების მთავრობის მეორე წარმომადგენელმა განაცხადა სხვა დროს და სხვა ალაგას.

ერთ დროს მენშევიკების მთავრობასა და რუსეთის შავრაზმელ ღენერლებს შორის შავმა კატამ გაირბინა. მენშევიკები სოჭის შემომატებას აპირობდენ, ალექსეევი და დენიკინი სოჭას მენშევიკებს არ ანებებდენ. აი ამ დროს მთავრობამ გააგზავნა უკმაყოფილების მოსაშუშებლად ორი მოციქული ევგენი გეგეჭკორი და ღენერალი მაზნიაშვილი.

ყური დაუგდეთ მენშევიკების მოციქულებს, რა საუბარი ჰქონდათ მათ რუსეთის მუშებისა და გლეხების ჯალათებთან.

მენშევიკმა გეგეჭკორმა იწყინა ალექსეევისაგან გაგონილი საყვედური, გაიხსენა მენშევიკური მთავრობის დამსახურება შავრაზმელების წინაშე და გულისწყრომით ასეთი სიტყვებით მიმართა ღენერალს ალექსეევს, რომელსაც „იცნობს მთელი რუსეთი, ვიტყვი მეტსაც მთელი ქვეყანა და რომელსაც ჩვენ ყველა პატივსა ვცემთ“*).

„როდესაც რუსეთის ყველა კუთხეებში სდევნიდენ ოფიცრებს, სად, თუ არა საქართველოში აფარებდენ ისინი თავს? ჩვენ ვიღებდით მათ და, თუმცა ჩვენ თვითონ გაჭირვებული ვიყავით, ჯამაგირებს ვაძლევდით, ვკვებავდით და ვცდილობდით რითაც კი შეგვეძლო დავხმარებოდით“.

რასაკვირველია, აქ იმ ოფიცრების შესახებაა ლაპარაკი, რომლებიც რუსეთში იმავე მენშევიკებისა და ესერების ხელისმოწყობითა და მეთაურობით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სასიკვდილოთ მახვილს ლესავდენ.

მოგეხსენებათ უკუდო ხარის ამბავი, რომელსაც ძლიერ უყვარს სხვებისათვის ბუზების მოგერება. მენშევიკებს თვითონაც არაფერი დალხინებული ცხოვრება ჰქონდათ, მათ ხან ერთ კუთხეში აუჯანყდებოდენ ხოლმე გლეხები, ხან მეორეში, მაგრამ თავიანთ ჭირში მყოფ მოძმეებს—რუსეთის შავრაზმელ ოფიცრებს მაინც ხელს უწყობდენ.

ეს ხდებოდა იმ „ნეიტრალურ“ სახელმწიფოში, რომელსაც ასეთი ლამაზი სახელებით ამშვენებდენ მენშევიკების სტუმართმოყვარეობის ეშხით დამთვრალი ვანდერველდე, მაკდონალდი და სხვები!

ნეიტრალური სახელმწიფოა ის, რომელიც ბრძოლისა და იმის გარეშე სდგას, არც ერთ მებრძოლ მხარეს არც ეხმაურება და არც ხელს უშლის.

იყო კი ასეთი მენშევიკური საქართველო?

რასაკვირველია არა! ის კარს უღებს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, ჰკვებს და ჯამაგირს აძლევს შავრაზმელ ოფიცრებს და ერთი სიტყვით ეხმარება რითაც კი შეუძლია!

სინდისი ისეთი საქონელია, რომ მენშევიკებს (და მათ მთავრობას) ის არაფრათ უნდა დაჭირვებოდა, ამიტომაც იყო, რომ ისინი ხშირად წალმა რომ მოხნავდენ, უკუღმა გადაატარებდენ ხნულზე ფარცხს.

— ჩვენ ნეიტრალობას ვიცავთო, ამბობდენ ისინი ზოგიერთების გასაგონათ, მაგრამ ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ყურში უჩურჩულებდენ—ხომ ხედავთ ჩვენ თქვენსკენა ვართ სულითა და გულითო.

ღენერალი მაზნიაშვილი, რომელიც გეგეჭკორმა გაიყოლია მხლებლათ ამ მოლაპარაკების დროს, კვერს ურტყამს თავის ბატონის ნათქვამს და ცდილობს დაარწმუნოს როგორც ღენერალი ალექსეევი, „რომელსაც მთელი ქვეყანა იცნობს და რომელსაც ჩვენ ყველა პატივსა ვცემთ“, ისე მისი ამალა, რომ საქართველოს მთავრობა სულითა და გულით მოწადინებულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევას. აი რას ამბობს ის.

„იმჟამად კულუხორის უღელტეხილით გადმოვიდენ ბოლშევიკების მიერ დევნილი კაზაკები. მათი მზრუნველობა ჩემი მთავრობის ნებართვით ვიკისრე მე. ტანზე და ფეხზე ჩავაცვი, დავხურე გამოვკვებე, და **შევაიარაღე**“.

ამის შემდეგ მაზნიაშვილი არწმუნებს ალექსეევს, რომ თქვენი ჯარის არსებობის ამბავი არ ვიცოდი, თორემ მეტს დახმარებას გაგიწევდითო და ამის დასამტკიცებლად ასეთი მაგალითს მოუთხრობს დამსწრე შავრაზმელებს.

„ამ ხანებში სოხუმიდან მოვიდა 87 რუსი ოფიცერი პოლკოვნიკ მოროზოვის უფროსობით, რომელიც მე დავნიშნე საბრძოლველი რაიონის უფროსათ. ამასთან ერთად დაღესტანის სადგურიდან ღენერელმა გეიმანმა მთხოვა მიმეცა მისთვის სამხედრო იარაღი. ეს თხოვნაც შევასრულე: მივეცი 600 თოფი 2 ტყვიისმფრქვეველი და ვაზნები“.

ტანისამოსი, ჯამაგირი და იარაღი საბჭოთა ხელისუფლების მტრებს—აი მენშევიკების ნეიტრალობა!

ან კი, როგორ უნდა მოქცეულიყო ის ხალხი, რომელიც ნოე ჟორდანიას პირით ლალადებდა „**აღმოსავლეთის** ფანატიკოსებს, დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნიაო“ სხარტათ არის ეს აზრი გამოთქმული, მაგრამ აქ ცოტაოდენი დამატების შეტანაცაა საჭირო. მართალია მენშევიკებს ძალიან სძულდათ „ფანატიკოსი“ ბოლშევიკები, მაგრამ მართალია ისიც, რომ მათ ძალიან უყვარდათ ყველა, ვინც ბოლშევიკების განადგურებას ისახავდა მიზნათ; ამ შემთხვევაში, მათთვის სულ ერთი იყო, ვინც არ უნდა ყოფილიყვენ ისინი „დასავლეთის იმპერიალისტები“, თუ იგივე და იმავე **აღმოსავლეთის** შავრაზმელები.

„ჩვენ თქვენთან ერთად ერთსა და იმავე წერტილს ვუმიზნებთ“ კაკანობს გეგეჭკორი რუსეთის შავრაზმელების გულის მოსაგებათ“.

„ბოლშევიკებთან ურთიერთობის საკითხში შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს საზღვრებში ბრძოლა ბოლშევიკებთან ულმობელია. ჩვენ ყველა საშუალებით, რაც ხელთა გვაქვს, ვსპობთ ბოლშევიზმს“.

მართალს ბრძანებდა ბატონი გეგეჭკორი; ისინი ყველა საშუალებით ებრძოდენ და სპობდენ ბოლშევიკებს, სანამ ბოლშევიკებმა მთლათ არ მოსპო და უფსკრულისაკენ არ გადაისროლა, როგორც ღენერალი ალექსეევი, რომელსაც ყველა მენშევიკები პატივსა სცემდენ, ისე თვით მენშევიკები და მათ მიერ დაწყებული ბინძური საქმე.

„საქართველო ჰყვაოდა მენშევიკების დროსო!“—გვეუბნებიან ჩვენ. რატომაც არ უნდა თქვან—ენას ხომ ძვალი არა აქვს, თქმას რა ჭკუა აქვს—იმდროინდელ სინამდვილეში ჩავიხედოთ!

„აყვავებულ“ საქართველოს მუშებსა და გლეხებს რა დღე ადგათ ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. იქნებ მენშევიკების ქებისთვის მოცლილ ხალხს თვალი ატყუებდათ ან გონება ღალატობდათ, თორემ აყვავებულ საქართველოს ისინი ვერ დაინახავდენ. ვინაიდან, რაც არ არსებობს, იმის დანახვა ადამიანს არ ძალუძს.

მაგრამ ერთ რამეში ისინი მაინც მართალი არიან.

საქართველოში იმ დროს მართლაც ჰყვაოდა სპეკულიაცია, ხაზინის ფულების „შეტყაპუნება“, ჰყვაოდა და ნებივრობდა საქართველოში სპეკულიანტები და ძველი დროიდან შემორჩენილი მუქთახორები, მაგრამ თვით საქართველო, საქართველოს მოსახლეობა—მუშები, გლეხები გადაგვარებისა და განადგურების პირას იდგა.

ამას ხომ თვით მენშევიკებიც ვერ მალავდენ. ზემოთმოყვანილ ამონაწერებში ხომ პირდაპირაა ეს ნათქვამი.

ასეთი იყო მენშევიკური საქართველო.

თავისუფალი—რომელსაც თავზე ადგა სულთამხუთავივით „წესრიგის აღსადგენათ“ მოწვეული უცხო ქვეყნის ჯარების ურიადნიკები.

სოციალისტური, რომელიც კალთას აფარებდა თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიას, ხოლო მუშებს და გლეხებს იმითი ანუგეშებდა —რა უყოთ, ბურჟუაზიული სახელმწიფო გვაქვს, მეტი საშველი არაა უნდა მოითმინოთო!

ნეიტრალური, რომელიც რითაც კი შეეძლო ხელს უწყობდა რევოლიუციის წინააღმდეგ ამხედრებულ ყველა ქვეყნის შავრაზმელებს.

აყვავებული, სადაც ჰყვაოდა ქურდობა, სპეკულიაცია, მუშების ექსპლოატაცია და გლეხების გამათრახება და აწიოკება.

ასეთი იყო მენშევიკური საქართველო, ვისაც ეს სურათი არ მოსწონს, მას მეტი არაფერი დარჩენია, თუ არა ის, რომ სთხზას ზღაპრები და ამ ზღაპრების სინამდვილეთ გასაღებას ეცადოს.

ეხლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდა მენშევიკები მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. რაც არ უნდა იყოს მენშევიკების საპარადო სახელწოდებაში ხომ მაინც ეწერა სიტყვა „მუშათა პარტია“.

მუშებს მენშევიკებმა „დეზერტირის“ ერთი მომქმედი პირის არ იყოს, ასე უთხრეს: „გიჭირსთ და გაგიჭირდებათ, მაგრამ, რა უყოთ, უნდა მოითმინოთო“.

„მოთმინების ფიალა აივსო“ (იხ. ზემოთ) სწერდენ და ამბობდენ მუშები და, როცა ისინი სიტყვას საქმეს მიაყოლებდენ, ვთქვათ გაფიცვას მაინც გამოაცხადებდენ, მენშევიკების მარჯვე ბიჭები უკვე პრაქტიკულათ იძლეოდენ იმის გაკვეთილებს, თუ როგორ ესმოდა „მუშათა პარტიის“ ბელადებს, რომლებიც მთავრობის სათავეში იყვენ წამოსკუპებული, ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა.

მე არ ვიცი, რამდენს მოხვდა მაშინ მათრახი, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ მენშევიკებს ჰყავდათ ისეთი ხელ-ტორიანი ბიჭები, რომლებსაც ძალიან ემარჯვებოდათ გვერდების შეზელვა და კბილების დალეწა.

ეს მუშები. ეხლა გლეხების ამბავი ვთქვათ.

გლეხებმა მენშევიკების დროს ვერ მიიღეს მიწა. მენშევიკური კანონი სწორეთ ისე და იმისათვის იყო დაწერილი, რომ მემამულეების „დედულ-მამულისათვის“ ხელი არავის მიეკარებია.

გამწარებულმა გლეხობამ თავის გულისწყრომა არ დამალა. წარა-მარა, ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა ხოლმე გლეხების აჯანყება. გლეხები მოითხოვდენ მიწას.

მენშევიკებს ძალიან უნდოდათ გლეხების უკმაყოფილება მთლათ და ხელი ეთპირათ ბოლშევიკებისათვის გადაებრალებიათ—ბოლშევიკები აგულიანებენ, თორემ ასაჯანყებელი, რა უჭირთო. ბოლშევიკების შესახებ კი მაშინ ისეთ ხმებსა და ჭორებს ავრცელებდენ, რომ მარტო ეს იყო საკმარისი, რომ ამ მოძრაობისათვის სახელი გაეტეხათ.

ვერ გავიდენ ასეთი ხრიკებით მენშევიკები ფონს. მათმა ქადაგებამ სულ სხვა ნაყოფი გამოიღო. მენშევიკებისაგან აძულიებული და ათვალისწუნებული ბოლშევიკები გლეხებისათვის სანატრელი და სასურველი ხალხი შეიქნა. ბოლშევიკებმა მოიპოვეს გლეხების გულში ნდობა და სიყვარული. მათგან მოელოდენ გლეხები იმის მიღებას, რაც მათ რევოლიუციის კანონით ერგებოდათ. ამიტომ მიწის მოთხოვნას გლეხებმა ჩქარა ზედ დააყოლეს ახალი ლოზუნგი „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებასო“! ასეთი წარწერა იყო ყველგან აჯანყებული გლეხების დროშაზე.

ეხლა მენშევიკებმა ხაზი შეცვალეს და მარქსი მოიშველიეს ქართველი თავადიშვილების და მემამულეების გადასარჩენათ.

— გლეხობა მუდამ რეაქციონური ძალა იყო, გლეხობა კონტრ-რევოლიუციონური იყო ყველა რევოლიუციების დროს, ასეა ეხლაც. ასე სწერდა მარქსი და ჩვენაც დროა დავუბრუნდეთ მარქსს, გავიხსენოთ მისი სიტყვები და მტკიცეთ დავიცვათ რევოლიუცია გლეხების რეაქციიდანო.

ასეთი იყო მენშევიკების მსჯელობა.

გლეხობა რევოლიუციის მტერია, ჰკა მაგას, დაიცავი რევოლიუცია და მემამულეებიო. რუსულათ ასეთ თინს ასე ჰქვია, „**и невинность соблюсти и капитал приобрести**“, მაგრამ ვერაფერი თანხა შეჰკრეს მენშევიკებმა გლეხების ხოცვა-ჟლეტით, თუმცა, სიმართლის თქმა სჯობს, ისინი თავგამოდებით ანადგურებდენ აჯანყებულ გლეხების სოფლებს.

— მუშებისა და გლეხებისაკენ ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ!—ასეთი იყო გზა რევოლიუციის, მენშევიკებმა ამ გზაზე გავლა არ მოისურვეს.

— ბურჟუაზიასა და მემამულეებთან მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ!—აი ამ რიგათ მოუნდომეს ისტორიის ბორბალს შემოტრიალება მენშევიკებმა.

ბევრი შრომა და ოფლი შემოეხარჯათ, თავის ძალებით რომ ვერ გასწვდენ ამ სავალალო საქმის მორევას, სხვებიც მოიშველიეს, მაგრამ „ბუნებამ მაინც თავისი ჰქნა“.

„აღსრულდა“!! ჩამოჰკრა ამ ექვსი წლის წინათ ქართველი მუშისა და გლეხის მარჯვენამ ისტორიულ ზარზე და მენშევიკების ბატონობა უფსკრულისაკენ გადაისროლა.

ექვსი წელიწადია აშენებენ ქართველი მუშები და გლეხები თავიანთ შრომის სახელმწიფოს.

ექვსი წელიწადია სულდაუთქმელათ „მუშაობენ“ საქართველოდან გადარეკილი ნაცარქექიები საზღვარ-გარეთ—იქ კაპიტალისტურ მგლების ბანაკში და ხცდილობენ ისევ ძველი დროის შემობრუნებას.

ვნახოთ, მათი საქმიანობაც, მათი კაი კაცობაც, გავეცნოთ რას უმზადებენ ისინი საქართველოს ამაზე შემდეგ.

პ. მ. საყვარელიძე.

---

*) ალბათ „კაპიტალისტური მრეწველობის“ უნდა ეთქვა. მრეწველობა, ხომ სოციალისტურიც არსებობს. 3. ს—ძე.

*) ეს წინასწარ წამძღვარებული ქათინაურები—გეგეჭკორის ენაწყლიანობას ეკუთვნის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამერიკელი სტუმრები

მოსკოვი, 30 მარტი. მკერვალთა კავშირის ცეკამ მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა მკერვალების მომავალ ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება 28 აპრილს, ჩამოვლენ ამერიკელი მკერავების კავშირის წარმომადგენელნი. (ადს))

ნორვეგიის მუშათა მიწვევა

მოსკოვი, 30 მარტი. ალმშენებელთა კავშირის ცეკამ მიიღო მიწვევა ნორვეგიელ ალმშენებელთა კონგრესზე, რომელიც გაიხსნება 14 აპრილს და ფინელ ალმშენებელთა კონგრესზე, რომელიც დაიწყება 3 მაისს.

ალმშენებელთა ცეკა მიიღებს მონაწილეობას ორთავე კონგრესზე. (ადს)

ავსტრიელი მრეწველები ამხ. სერებროვსკისთან

მოსკოვი, 30 მარტი. 30 მარტს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სერებროვსკიმ მიიღო მოსკოვში მყოფი ავსტრიელი მრეწველების დელეგაცია, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. (ადს))

ტუბერკულიოზის სანატორიუმი

ივანოვო-ვოზნესენსკი, 30 მარტი. ვოლგაზე პლესში გაიხსნა პოვოლჟიეში თავისი სიდიდით მეორე ტუბერკულიოზის სანატორიუმი, რომელიც საზღვარ-გარეთის საუკეთესო სანატორიუმების მიხედვით არის აგებული. (ადს)

საჰაერო ხაზი ლენინგრად-ბერლინი

ლენინგრადი, 30 მარტი. ჩამოვიდა გერმანიის საჰაერო საზოგადოება „დერულიუფტის" დირექტორი, რომელსაც დავალება აქვს აწარმოოს მოლაპარაკება ახალი საჰაერო ხაზის მოწყობის შესახებ ლენინგრად-ბერლინს შორის რეველსა და რიგაზე. (ადს))

ხანძარი კინოში

ლენინგრადი, 30 მარტი. საბჭოთა კინოს ერთ-ერთი განყოფილების ეზოში ცეცხლი გაუჩნდა ავტომობილს, რომელსაც მიჰქონდა კინო-სურათების მასალები. ხანძარის ჩაქრობას დიდი შრომა დასჭირდა. დაიწვა რამოდენიმე მზა სურათი. (ადს))

1926—27 წლის სავაჭრო კონიუნქტურა

მოსკოვი, 30 მარტი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, რომელიც დამუშავებულია საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოს მიერ, 1925-26 წელი იყო უაღრესად მაღალი სავაჭრო კონიუნქტურის წელიწადი, რომელიც რამოდენიმეთ შესუსტდა წლის მეორე ნახევარში. სავაჭრო კონიუნქტურის გადიდება გამოწვეული იყო სამრეწველო წარმოების და სასოფლო მეურნეობის საქონლიანობის სწრაფი განვითარებით. წინანდელ წელთან შედარებით, საბჭოთა კავშირის სავაჭრო და სამრეწველო წარმოებათა საქონლის ბრუნვა გაიზარდა 52 პროცენტით. ყველაზე უფრო გაიზარდა კოოპერატიული ვაჭრობა, შემდეგ სახელმწიფო ვაჭრობა და ყველაზე ნაკლებათ კერძო ვაჭრობა. კოოპერაციის საქონლის ბრუნვა საცალო ვაჭრობაში გაიზარდა 9 პროცენტით, მაშინ, როცა კერძო კაპიტალის წილი შემცირდა 40-დან 38 პროცენტამდი. (ადს).

სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს მადლობა

ლენინგრადის გარნიზონისადმი

მოსკოვი, 30 მარტი საკავშირო სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი, მადლობა გამოეცხადა ხმელეთის ჯარის, საზღვაო ფლოტის, სამხედრო-საჰაერო ძალების და ლენინგრადის გარნიზონის სამხედრო სასწავლებლების ნაწილებს. „ამ ნაწილების პირადი შემადგენლობის უმრავლესობა, ნათქვამია ბრძანებაში, არიან ახალგაზრდა წითელარმიელები და წითელ ფლოტელები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ ზამთრის პერიოდის სწავლა. მიუხედავად იმისა, ეს ნაწილები მტკიცედ დარაზმული ჯარის შთაბეჭდილებას სტოვებენ. (ადს).

კრონშტადტელებისადმი

მოსკოვი, 30 მარტი. საკავშირო სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი, მადლობა გამოეცხადა კრონშტადტის ციხის გარნიზონს და ბალტიის ფლოტის პირად შემადგენლობას. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია::

„დამაკმაყოფილებელმა სამწყობრო მომზადებამ, ნაწილების სამარშო დისციპლინამ, წითელ ფლოტელთა მხნე გამომეტყველებამ მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა: კრონშტადტი—საბჭოთა კავშირის დარაჯია ბალტიის ზღვაზე. ბალტიის წითელი ფლოტი ყოველთვის უნდა იყოს მზად მოიგერიოს თავდასხმა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომაზე. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ წითელ ფლოტელს". (ადს))

ახ. ლ. კ. კ. სრულიად საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 30 მარტი. კომკავშირის სრულიად საკავშირო კონფერენციის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება კომკავშირის მონაწილეობის შესახებ სასოფლო-მეურნეობის აღორძინებაში და გლეხობის კოოპერატიულათ დარაზმვაში. მომხსენებელმა აღნიშნა რა კომკავშირის მიღწევები გლეხური ახალგაზრდობის სკოლების და სასოფლო-სამეურნეო წრეების ორგანიზაციის საქმეში, მიუთითა იმაზე, რომ კომკავშირის უჯრედების მუშაობა სოფლად წარმოუდგენელია სპეციალისტ აგრონომებთან, ბეითლებთან და მიწის მზომელებთან მჭიდრო კავშირის დამყარების გარეშე.

კონფერენციის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება კომკავშირის მასიურ კულტურულ მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ კომკავშირის წინაშე სდგას ამოცანა — რაც შეიძლება გაფართოებულ იქნეს კულტურული მუშაობა, რაც დააკმაყოფილებს ახალგაზრდობის გადიდებულ მოთხოვნილებებს. (ადს).

მოსკოვი, 30 მარტი. ახ. ლ. კ. კ. სრულიად საკავშირო კონფერენციის 30 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენების გარშემო კომკავშირის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. კამათში გამოვიდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო.

„ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მუშა-ახალგაზრდობის შემოწმებამ,—სთქვა ამხ. სემაშკომ,—დაამტკიცა, რომ რაც უფრო აქტიურია ახალგაზრდობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უფრო გაუარესებულია მისი ჯანმრთელობა. ამიტომ საჭიროა სასტიკად იქნას დაცული მათი დატვირთვის ნორმა საპასუხისმგებლო და საწარმოო მუშაობით. განსაკუთრებით ეს საჭიროა კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციების აქტივის მიმართ. მეორე საკითხი—ეს არის თვითმოქმედების გაძლიერება ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ფიზკულტურა ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ ის გახდეს ახალგაზრდობის ჯანმრთელობის და არა სიმახინჯის გამტარებელი. ამის ლოზუნგად უნდა გახდეს: „ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვა—ეს თვით ახალგაზრდობის საქმეა".

მოხსენება ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ წარმოებით ცხოვრებაში გააკეთა ზავიალოვმა.

„კომკავშირმა თავის ამოცანად უნდა დაისახოს,—სთქვა მომხსენებელმა,—არა მარტო მუშა-ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-ეკონომიური ინტერესების დაცვა, არამედ მისი აქტიური მონაწილეობის ორგანიზაციაც მთელი საწარმოო ცხოვრებაში.

ეს ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ არის წამოჭრილი დღეს, ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციის პერიოდში. ჩვენს მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-ახალგაზრდობის საერთო რიცხვი უდრის 135.000 კაცს, წინააღმდეგ 1923 წლის 87.000 კაცისა. მოზარდთა სამუშაო ხელფასი 1925—26 წელში შეადგენს ომის წინადროინდელ 9,3 მანეთს, წინააღმდეგ 7,7 მანეთისა 1923—24 წელში. მაგრამ, მოზარდთა სამუშაო ხელფასი ჩამორჩება მოზრდილ მუშების სამუშაო ხელფასს, რაც აიხსნება ძველი სატარიფო ცხრილით".

დასასრულ ამხ. ზავიალოვმა აღნიშნა, რომ კომკავშირი უნდა შეეცადოს, რათა კომკავშირის და უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის ფართე მასებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოო და ეკონომიურ კომისიებში. (ადს))

ამხ. რიკოვის მოხსენება*)

მოსკოვი, 30 მარტი. მოსკოვის საგუბერნიო საბჭოთა ყრილობაზე ამხ. რიკოვმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

— არსებული მომენტის თავისებურობა— განაცხადა ამხ. რიკოვმა — მდგომარეობს იმაში, რომ მშრომელთა ფართე მასების ყურადღება უფრო მეტად, ვინემ ეს იყო წარსულ 2 წლის განმავლობაში, გაყოფილია ორათ — კავშირის საშინაო სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებსა და საგარეო პოლიტიკას შორის. ეს აიხსნება მით, რომ თვითეული მუშა და გლეხი უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობიანობის ბედით, რომელსაც საფრთხე მოელის.

არსებობს თუ არა მართლაც ასეთი საფრთხე? —კითხულობს რიკოვი — და მიუთითებს რა ნანკინის ამბებზე, ამბობს:

— როცა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ფრონტზე მოქმედებას იწყებენ ყუმბარები, აშკარაა, რომ მშვიდობიანობა საფრთხეშია. რა მიზნებს ისახავდენ იმპერიალისტები ნანკინის ხოცვა - ჟლეტის დროს? ამერიკელი კორესპონდენტების ცნობით, როგორც სჩანს, ყუმბარებს უშენდენ არა იმ რაიოს, რომელთა განთავისუფლება საჭირო იყო სამხრეთის არმიის რაზმებისაგან უცხოელთა ევაკუაციისათვის, არამედ მეორე ნაპირს და სწორედ იმ რაიონს, რომლის განთავისუფლება აუცილებელი იყო იმისთვის, რომ თავისუფალი გასასვლელი მისცემოდა ნანკინში მომწყვდეულ და გარშემორტყმულ ჩრდილოეთის არმიას. თუ ამერიკელ კორესპონდენტების ეს ცნობა მართალია, აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იმპერიალისტებმა ჩინეთში მრავალი ათასი მშვიდობიანი მცხოვრებლები ამოხწყვიტეს იმისათვის, რომ გაენთავისუფლებიათ ჩრდილოელი მილიტარისტები, საერთაშორისო მდგომარეობის ეხლანდელ გართულებულ მომენტში ადვილად შესაძლებელია ასეთმა ჩარევამ ჩინეთის საქმეებში ჩინეთის ტერიტორიაზე გამოიწვიოს დიდი ომი, რომელიც ცხადია გართულებებს შექმნის არა მარტო აზიის მატერიკზე, არამედ მთელს მსოფლიოში.

ჩვენი კავშირის ურთიერთობაში სხვა ქვეყნებთან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩემბერლენის ნოტა და ჩვენი პასუხი ამ ნოტაზე. თუ ყურადღებით ჩაუკვირდებით ამბების განვითარებას უნდა განვაცხადოთ, რომ კონსერვატიული მთავრობის ნოტასა და ნანკინის ამბებს შორის არის ზოგიერთი რამ საერთო.

საქმე იმაშია, რომ მთავარი მიზეზები. რომელთაც აიძულეს ინგლისის მთავრობა გამოეგზავნა ჩვენთვის ეს, მეტად უცნაური ნოტა, არის, პირველ ყოვლისა, რევოლიუციონურ ამბების განვითარება ჩინეთში, განთავისუფლების გზაზე დამდგარ ჩინეთის ხალხის თანაგრძნობა ჩვენდამი და ჩვენი სიმპატიები ჩინეთის რევოლიუციის მიმართ, მეორე, ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვა და მასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დახმარება გაფიცულ მემაღაროების დამშეულ ოჯახებისადმი. თუმცა ინგლისის მთავრობის წარმომადგენლები თავის ოფიციალურ განცხადებებში ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათ პირადათ არავითარი ზომები არ მიუღიათ და არავითარი საქმიანი მოლაპარაკება არ უწარმოებიათ ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზაციისათვის და რომ ამიტომ საბჭოთა მთავრობის წევრები ცილს სწამებენ ინგლისის მინისტრებს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საეჭვოა, რომ ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს მათ მუშაობაში ანტისაბჭოთა ბლოკის შესაქმნელად. ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ცდას უარყოს თავისი აქტიური მონაწილეობა ანტისაბჭოთა ტენდენციების მობილიზაციის და ორგანიზაციის საქმეში და მის პოლიტიკას ჩინეთში აქვს რაღაც საერთო. ნანკინის ამბები საერთაშორისო იმპერიალისტების მოღვაწეობის ერთ - ერთი ტიპიური მეთოდია. ეხლა, ნანკინის ხოცვა - ჟლეტის შემდეგ, ყველასათვის აშკარა ხდება რომ ინგლისის იმპერიალისტების „მშვიდობიანობის მოყვარული" განცხადებები ჩინეთში იყო მხოლოდ საფარი ყველა იმ ნამდვილ ზრახვებისა და მოქმედების მეთოდებისათვის, რომელსაც ინგლისის კონსერვატორები სინამდვილეში ატარებენ. ეს ხშირი წინააღმდეგობა იმპერიალისტების საქმესა და სიტყვებს შორის აიძულებს ჩვენი კავშირის მუშათა და გლეხთა ფართე მასებს გაძლიერებულის ინტერესით და დიდი სიფრთხილით ადევნონ თვალყური საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებას.

ამჟამად, თითქმის გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ავანტიურები საბჭოთა კავშირის მიმართ, ინტერვენცია ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე მახლობელ პერიოდის — ერთი ორი წლის და, შეიძლება, მეტი ხნის განმავლობაშიაც — ნაკლებ მოსალოდნელია, თუ, რასაკვირველია; შენარჩუნებულ იქნება ის ძალთა ურთიერთობა, რომელიც ამჟამად არსებობს.

ისევე, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენს შინაურ მდგომარეობაშიაც. ნაწილობრივ შეიცვალა და გაფართოვდა ჩვენი კავშირის ეკონომიურ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ განვითარების ამოცანები.

უმთავრესი განსხვავება იმ მდგომარეობისაგან, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით ორი წლის წინად, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი კავშირი უკვე შეუდგა ახალი ფართე აღმშენებლობის პროგრამის განხორციელებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. მრეწველობის სასოფლო -მეურნეობის და ტრანსპორტის დარგში ჩვენს წინაშე წამოიჭრა ახალი სპეციალური ამოცანები. ეს ამოცანები თავისი სიძნელით და სირთულით და თავისი რევოლიუციონური შინაარსით გაცილებით აღემატებიან ყველაფერ იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ სახალხო მეურნეობის სფეროში. მათი გადაჭრით ჩვენ ნამდვილათ, არა სიტყვით, არამედ საქმით, გადავჭრით უშუალო სოციალისტური აღმშენებლობის საკითხს. ახალი ამოცანების გადაჭრას ჩვენ ვიწყებთ ისეთ პირობებში, როცა დავიკავეთ უფრო მტკიცე პოზიციები, ვინემ გვეკავა ამ 3—4 წლის წინად.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენ მიერ მიღწეული ეკონომიური ბაზა იძლევა კლასიურ ძალთა ისეთ შეფარდებას, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას და მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის გაძლიერებას, უზრუნველყოფს სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებით განვითარებას.

ჩვენი კავშირის მუშათა კლასის აქტივობის ზრდა მოწმობს, რომ იზრდება ის ცოცხალი საზოგადოებრივი ძალები, რომლებსაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ და უნდა დავეყრდნოთ კიდეც ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობაში. ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების მუშაობის ყოველმხრივი შეთანხმება.

ამხანაგებო, განაცხადა დასასრულ ა. ი. რიკოვმა. აქ შეკრებილია დიდი ქალაქის საბჭოს შემადგენლობა. მოსკოვმა და მოსკოვის რაიონებმა თავისი მუშაობით სხვა რაიონებს უნდა მისცეს იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იმუშაონ საბჭოებმა და რა უნდა გააკეთონ მათ. ნება მომეცით გამოვსთქვა მტკიცე რწმენა, რომ მუშათა და გლეხთა მასებთან ერთად, ყველა მშრომელთა აქტიურ მონაწილეობით და მათი უშუალო ჩაბმით საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში ჩვენ უზრუნველვყოთ სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში".

(მხურვალე ხანგრძლივი ტაში).

ამხ. რიკოვის მოხსენების შემდეგ ყრილობამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმება პარტიის მოსკოვის კომიტეტს, საკავშირო ცაკს და საბჭოთა რუსეთის ცაკს, საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს და საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭოს და ამხ. ვოროშილოვს.

წითელი არმიის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. ბაზილევიჩი.

---

*) ამხ. რიკოვის სიტყვა მოკლედ მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში; ვათავსებთ უფრო ვრცლად.

აფხაზეთის ცაკის რეორგანიზაცია

სოხუმი, 30 მარტი. აფხაზეთის ცაკის კანცელიარია იმუშავებს 1 მაისამდე და შემდეგ ყველა მისი ფუნქციები გადაეცემა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა სამმართველოს. ცაკის თავმჯდომარესთან წინანდელი კანცელარიის ნაცვლად შეიქმნება პირადი მდივანის თანამდებობა. სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი გაუქმდება, მისი ფუნქციები გადაეცემა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს. გაუქმდება აგრეთვე მთავარ პოლიტგანის მოუკიდებელი კანცელიარია, რომელიც შეუერთდება განათლების სახ. კომისარიატის საქმის წარმოებას. შემცირებულ იქნება მთავარ პოლიტგანის საინსტრუქტორო აპარატი. მთავარ პოლიტგანის ფუნქციები დაეკისრება განათლების სახ. კომისრის მოადგილეს. (ადს)

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტ. (ბ) ცეკას პლენუმის რეზოლიუცია

საცალო ფასების დაკლების შესახებ

საქართველოს კომპარტიის (ბ) პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება საქართველოში საცალო ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ დირექტივის სრული განხორციელება არის ყველა პარტიულ ორგანიზაციების გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ცეკას პლენუმი ფიქრობს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და შრომის და თავდაცვის საბჭოს 1926 წ. 2 ივლისის გადაწყვეტილებები ძალიან სუსტად იყო გატარებული ცხოვრებაში და აღნიშნავს უმნიშვნელო შედეგებს კამპანიის ჩატარებიდან საცალო ფასების დაკლების მხრივ არა საკმაო სამრეწველო საქონელზე (საფეიქრო, ტყავის-ფეხსაცმელის, საალმშენებლო მასალებსა და ლითონის ნაწარმოებებზე).

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მასალების მიხედვით, საქართველოში ჩატარებული კამპანიის შედეგებმა ა.-წ. 1-ლ იანვრისათვის მოგვცა ფასების დაკლება სულ ნახ.—2 პროცენტამდე (თბილისში 2 პროც.) წარსული წლის 1 მაისს არსებულ დონესთან შედარებით.

ცეკას პლენუმი, იღებს რა მხედველობაში საკავშირო მრეწველობის საგასაცემო ფასების დაკლებისათვის ამხანად წარმოებულ მუშაობას საშუალოდ არა ნაკლებ 6 პროცენტით და უკვე ნაწილობრივ გატარებულ ფასების დაკლებას საქართველოს მრეწველობაში, წინადადებას აძლევს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე სამეურნეო წელში მიაღწიოს პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას, როგორც რესპუბლიკანურ, ისე ადგილობრივ მრეწველობაში. ამასთანავე აღიარებულია რა 1-ლ მაისისათვის საგასაცემო ფასების დაკლების საჭიროება არა ნაკლებ 5 პროცენტით, აკრძალულ იქნას საგასაცემო ფასების გადიდება ფართე მოხმარების საქონელზე და არ იქნას დაშვებული პროდუქციის ღირსების გაუარესება.

ხოლო საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკასი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თებერვლის პლენუმის ა.-წ. 16 თებერვლის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ჩვენმა კოოპერაციამ, ცეკავშირისა და თბილისის მუშკოოპის მეთაურობით, და, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობამ, მომწესრიგებელ ორგანოების ხელმძღვანელობით, თავის დროზე დაიწყეს ამ კამპანიის ჩატარება და ზედნადები ფასების შემცირების წყალობით, პირველ რიგში საფეიქრო ნაწარმოებზე, ხოლო შემდეგ სამრეწველო საქონლის სხვა ჯგუფებზედაც, ა.-წ. 20 მარტამდე მიაღწიეს შემდეგ შედეგებს: ქალაქ თბილისში კოოპერატიულმა ქსელმა ფასები დაუკლო 6 პროცენტამდე, დანარჩენ ქალაქებისა და ზოგიერთ სასოფლო ერთიან მომხმარებელთა საზოგადოებებმა დაუკლეს 8 პროცენტამდე და სახელმწიფო ვაჭრობამ თბილისში არა ნაკლებ 4 პროცენტისა მათ განკარგულებაში არსებულ საბრუნავ სამრეწველო საქონელზე.

სთვლის რა აღნიშნულ მიღწევებს პირველ ნაბიჯად ფასების დაკლების საქმეში, საქართველოს კომ. პარ (ბ) ცეკას პლენუმი საჭიროდ სცნობს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციების და, აგრეთვე, მშრომელთა ფართე მასების უდიდესი სერიოზული ყურადღების მიქცევას ამ კამპანიაზე და, აგრეთვე, საჭიროდ მიაჩნია შემდეგ ღონისძიებათა გატარება საცალო ფასების მომავალ დაკლების დარგში:

1) გაძლიერებულ ტემპით გაგრძელდეს საცალო ფასების დაკლება და მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე არა ნაკლებ 10 პროცენტით დაკლებულ იქნას საცალო ფასები ყველა სამრეწველო საქონელზე ა.-წ. 1-ლ იანვარს არსებულ ფასების დონესთან შედარებით.

2) წინადადება მიეცეთ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს 1927 წლის 1-ლ ივლისისათვის არა ნაკლებ 15 პროცენტით 1925—26 წელთან შედარებით შეამცირონ სავაჭრო აპარატის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები ამ ეკონომიის გავრცელებით კოოპერაციის მმართველ ორგანოებზედაც.

3) დაევალოს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობისათვის განსაზღვრის მოგების პროცენტი, მისი მინიმუმამდე დაყვანით, კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის, როგორც შუამავალ, ისე უმაღლეს საფეხურებისათვის.

4) დაუშვებლად ჩაითვალოს საიჯარო განაკვეთების გადიდება სავაჭრო სადგომებზე და, აგრეთვე, გადათვალიერებულ იქნას საბანკო კრედიტების პროცენტები, მათი შემცირების მიზნით.

5) რეგულიარულად წარმოებულ იქნას კონტროლი დირექტივების შესრულებაზე საქონლის გამტარებელ დაბალი ქსელის მიერ ფასების დაკლების მხრივ სოფლად. ამ მიზნით გამოკვლეულ იქნას რამდენიმე სავაჭრო პუნქტი საქართველოს მაზრებში.

6) იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებსაც ატარებს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა ფასების დაკლების დარგში, დაევალოს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში მოახდინოს კერძო ვაჭრებთან შეთანხმების ცდა ფასებისა და ზედნადებ ფასების ცემცირების მხრივ, მთელ რიგ საქონელზე კონვენციის პრაქტიკის გამოყენებით.

7) აღიარებულ იქნას, რომ ფასების დაკლების მნიშვნელობა მოითხოვს ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოების უდიდეს აქტიურ მონაწილეობას ამ საქმეში, მუშებისა და გლეხების ფართე მასების ჩაბმით.

მთელ მუშაობას მასების ჩაბმისათვის მიეცეს კონკრეტიული ხასიათი, ხოლო მაქსიმალურ მიღწევების მოსაპოებლად ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის გაფართოვდეს ეს მუშაობა კოოპერატიული აქტივის ფარგლებს გარეშეც, მისი გადატანით წარმოება-დაწესებულებებში.

8) კოოპერატიული საზოგადოებრიობის ხაზით, ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის გაცხოველებულ იქნას სადუქნო კომისიების, სავაჭრო და საკონტროლო-სარევიზიო სექციების, რწმუნებულთა კრებების და სხ. მუშაობა.

9) წარმოება-დაწესებულებებში საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებთან მოეწყოს კოოპერატიული სექციები, ხოლო, სადაც ასეთები არსებობენ, გამოცოცხლებულ იქნას მათი მუშაობა.

10) საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა პროფკავშირის გამგეობის სექციებმა უდიდესი სერიოზული ყურადღება მიაქციონ სავაჭრო ორგანიზაციებში მომუშავე კავშირის წევრთა ჩაბმას მუშაობაში მათი ორგანიზაციების ხარჯების შემცირებაზე და გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას კავშირის იმ წევრებთან, რომლებიც აფერხებენ ფასების, შემცირებისათვის წარმოებულ მუშაობას.

კავშირის მუშაობა უნდა წავიდეს შემდეგი მიმართულებით:

ა) ეკონომიურ კომისიების ხაზით, მათი საქმიანობის საერთო გაუმჯობესება, არაწარმოებითი ხარჯების გამორკვევა კოოპერატივისა და სახელმწიფო ვაჭრობის აპარატსა და მაღაზიებში, ფასების დამრღვევთა მხილება და გადამჭრელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ცუდი ღირსების საქონლის გამორკვევა და საჩივრების გამოტანა სამრეწველო საქონლის ღირსებასა და ასორტიმენტზე, ბრძოლა ნოქართა უხეში და უყურადღებო მოპყრობის წინააღმდეგ მომხმარებლებთან.

ბ) მჭიდრო კავშირის დამყარება კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ეკონომიურ კომისიებსა და ფაბრიკებისა და ქარხნების სარევიზიო და საწარმოო კომისიებს შორის ასორტიმენტისა და ღირსების საკითხების გარშემო.

11) ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის აპარატი გაძლიერდეს პარტიულ მუშაკებით.

12) საკონტროლო კომისიებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა თვალყური ადევნონ ფასების დაკლების დირექტივის შესრულებას ყველა, როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ ორგანოების მიერ, დირექტივის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემით.

13) წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროკურორს მიუთითონ ადგილებს, რათა უკანასკნელებმა სასწრაფო წესით (არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის აღძვრის შემდეგ) გაარჩიონ საქმეები, რომლებიც შეეხებიან ფასების შესახებ დადგენილების დარღვევას.

14) ამ დადგენილების განსახორციელებლად, დაევალოს პარტიის სამაზრო კომიტეტებს, კოოპერაციისა და სამაზრო პროფბიუროს ფრაქციებს შეიმუშაონ კონკრეტიული ზომები მასების ჩასაბმელად ფასების დაკლებისათვის და სოფლად კოოპერატიული სავაჭრო აპარატის გაუმჯობესებისათვის.

15) საგასაცემო ფასების დაკლება, როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივ მრეწველობაში, ყველგან თავის დროზე უნდა იქნას გატარებული მომხმარებლამდე.

16) საბიუჯეტო შენაკრების ღირებულებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დანიორმვის განმტკიცებისათვის, საჭიროდ ჩაითვალოს ამ პროდუქტების დროზე დამზადება სასოფლო-სამეურნეო და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ ადგილებზე. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—თავის დროზე დაამუშაოს საკითხი სამრეწველო ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ და აგრეთვე საკითხი ამ პროდუქტების ფასების შესახებ, დაინტერესებულ კოოპერატიულ და სხვა ორგანოებთან ერთად.

17) მომწესრიგებელ ორგანოებს დაევალოთ თვალყურის დევნა იმაზე, რომ ფასების დაკლებას ერთ საქონელზე არ სდევდეს ფასების გადიდება მეორე საქონელზე.

18) თბილისში ადგილობრივ კოოპერატიულ წარმომადგენლობათა გაუქმების გამო, დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს შეიმუშაონ ამ კოოპერატივების მომარაგების წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს საქონლის შეუფერხებელ გატარებას ადგილებზე.

19) საბჭოთა პარტიულ პრესაში, რაც შეიძლება ვრცლად გაშუქებულ იქნას ინფორმაცია ფასების დაკლების შესახებ დირექტივების, როგორც მიღწევებისა, ისე გადამახინჯებისა და დარღვევის ცალკე მომენტების გაშუქებით.

20) ფასების დაკლების და ბაზრის მოწესრიგების მუშაობაში საბჭოების წევრთა აქტიური მონაწილეობის მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს კოოპერატიულ სავაჭრო სექციების დაარსება საბჭოებთან.

პარტიის ცეკა პარტაღწერის შესახებ

მოსკოვი, 30 მარტი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ გამოიტანა დადგენილება პარტიული აღწერის მსვლელობის შესახებ.

„წინასწარი მასალები პარტიული აღწერის მსვლელობის შესახებ,—ნათქვამია დადგენილებაში,—ააშკარავებენ, რომ დიდია პარტაღწერაში გაუტარებელთა პროცენტი მთელ რიგ პარტორგანიზაციებში, კერძოთ ზოგიერთ საფეიქრო და სამთო-სამრეწველო რაიონის წარმოებებში. ცეკა სთვლის, რომ პარტაღწერის წინასწარი შედეგები ამ ორგანიზაციებში ხასიათდება შინაპარტიული მუშაობის სისუსტით, არა საკმაო შერჩევით პარტიაში მიღების დროს, კერძოთ, კანდიდატებთან მუშაობის სისუსტით და, აგრეთვე, ორგანიზაციის შემადგენლობის თვისობრივი აღრიცხვის სისუსტით. რადგან წელსაც ჰქონდა ადგილი მასიურ მიღებას პარტიაში და, აგრეთვე, იმის გამო, რომ ცალკე ორგანიზაციებმა წამოაყენეს წინადადება პარტიაში ფართე მიღებაზე პარტაღწერის დასრულების შემდეგ, ცეკა საჭიროდ სთვლის აღნიშნოს კამპანიის წესით დღევანდელ პირობებში პარტიაში მიღების მიზანშეუწონლობა, და წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ზომები სისტემატიური მუშაობის გასაძლიერებლად პარტიაში ახალ წევრთა, პირველ რიგში მუშების მისაღებად, მასიური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების გზით.

აღნიშნავს რა პარტაღწერისადმი ფორმალურ მიდგომას ზოგიერთ პარტორგანიზაციების მხრივ, ცეკა წინადადებას იძლევა, რომ იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც თუმცა შეტანილი ყოფილან სიაში, მაგრამ ვერ გატარდენ საპატიო მიზეზებით, მოეწყოს დამატებითი გატარება პარტკომიტეტებში; პარტკომიტეტებს მიეცეთ წინადადება, რათა მათ აცნობონ თავის წევრებს, რომლებიც არ იქნენ დაშვებულნი პარტაღწერებზე, რომ მათ 15 მაისამდე შეუძლიათ აღძრან საკითხი აღწერაში გატარების შესახებ და დაევალოს პარტკომებს, რომ მათ სასწრაფოდ განიხილონ ეს განცხადებები პარტაღწერაში მათ გატარების შესაძლებლობის გამოსარკვევად. დაევალოს პარტორგანიზაციებს, რომ მათ მთელი მუშაობა პარტაღწერაზე დაასრულონ 1-ლ ივნისამდე და აღნიშნონ ის ცალკე ორგანიზაციები, სადაც დიდია პარტაღწერაში გაუტარებელთა პროცენტი, რათა ამ ორგანიზაციებში გაგზავნილ იქნან ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წარმომადგენლები გაუტარებლობის მიზეზების გამოსარკვევად". (ადს).

ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის და საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაერთიანებული პლენუმი ამხ. ვ. დარახველიძის თავმჯდომარეობით.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. კომკავშირის ქალაქის რაიკომის მოხსენება და თანამოხსენება, 2. აგურის ქარხნების სამმართველოს მოხსენება და თანამოხსენება.

პირველ საკითხის ირგვლივ მოხსენებით გამოდის ამხ. ჩინჭვეტაძე, რომელიც უპირველესად ეხება ეკონომიური მუშაობის საკითხებს და დასძენს: წარმოებებში გაერთიანებულ მუშა-ახალგაზრდობის კვალიფიკაცია გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოწესრიგებულია ჯავშნის საქმეც, მაგრამ ამ მხრივ მომავალში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. შემდეგისათვის უფრო უნდა მოგვარდეს ადმინისტრაციისა და მუშა-ახალგაზრდობის შორის ურთიერთდამოკიდებულება. ასევე უნდა ითქვას საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მეცადინეობის შესახებაც.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ორგანიზაციულ საკითხებზე და აღნიშნავს: ორგანიზაციაში წინეთ მუშათა რიცხვი მეტი იყო, ვინემ ეს დღეს არის. ამ ჟამად ეს რიცხვი დაკლებულია 10 პროცენტით. ქალიშვილთა რაოდენობა კი ბოლო დროს გაიზარდა. შედარებით დამაკმაყოფილებლად გადაჭრილია პარტბირთვის საკითხიც კომკავშირში. ასე მაგალითად: თუ პარტბირთვი მაშინ ორგანიზაციაში უდრიდა 10.8 პროცენტს, ეხლა იგი უდრის 14.6 პროცენტს. რას აკეთებს ეს პარტბირთვი? სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ხსენებული პარტბირთვი არ გრძნობს ერთგვარ პასუხისმგებლობას.

დასასრულ, მომხსენებელი ვრცლად ჩერდება უჯრედების შინა-მუშაობაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაზე და დასძენს, რომ თუ შარშან საბჭოებში გაყვანილი იყო მხოლოდ 6 კომკავშირელი, ეხლა 36 კომკავშირელია.

თანამოხსენებით გამოდის ამხ. იაგნიტსკი, რომელიც ამბობს: ჩატარებულმა გამოკვლევამ ნათელი გახადა ის, რომ კომკავშირლები დაინტერესებული არიან წარმოების გაჯანსაღებით და ამასთანავე ისინი მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ საერთო კამპანიებშიც. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლულოვანებანიც, რომელთა შორის მთავარია შემდეგი: 1. ხშირად კომკავშირის მიერ წარმოებული მუშაობა არ შეეფერება არსებულ მოთხოვნილებებს და 2. მოისუსტებს აღმზრდელობითი მუშაობა.

თანამოხსენების დასასრულს გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილე ამხანაგები ხაზს უსვამდენ კომკავშირელთა დისციპლინის, ყოფა ცხოვრების, საკლუბო მუშაობის, ხელმძღვანელობის და სხვა საკითხებს. დაბოლოს მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ჩამოთვლილია მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებებისა კომკავშირის საქმიანობის უფრო გასაცხოველებლად.

მეორე საკითხის ირგვლივ მოხსენებით გამოდის ამხ. სტურუა, რომელიც ეხება აგურის ქარხნების საერთო მდგომარეობას, მუშების ხელფასს სამუშაოთა სხვადასხვა დარგში, აგურის გაიაფებას, წარმოების ფინანსიურ პირობებს, მუშების ყოფა-ცხოვრებას და მათში კულტურულ მუშაობის წარმოებას.

თანამოხსენებით გამოდის ამხ. ფისიუკ, რომელიც ამბობს: ამას წინად გამოყოფილ სპეციალურ კომისიის გამოკვლევიდან ცხადი შეიქნა ის, რომ უკანასკნელ ხანამდე აგურის ქარხნის სამმართველოს და მუშებს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება არასათანადოთ აგებული იყო. თვით წარმოებაში მუშაობა პრიმიტიული წესით მიმდინარეობს. ყველაფერი ეს არის რიგზე ადმინისტრაციისა და მუშების ურთიერთდამოკიდებულებაშიც.

მოისუსტებს აგრეთვე როგორც კულტურული მუშაობა მუშებს შორის, ისე ადგილობრივი უჯრედის და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის საქმიანობა. საწარმოო თათბირების მუშაობაში კი ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთი სრულიად არ არსებობს. ძალზე გაბერილია სამმართველოს აპარატიც.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც ამხანაგები მიუთითებდენ მასზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება აგურის თვისობრივად გაუმჯობესებისათვის, საჭიროა მნიშვნელოვნად შემცირდეს ზედნადები ხარჯები, შემოკლდეს შტატებიც და სხვა. დასასრულ. მიღებული იქნა რეზოლიუცია და ამით დამთავრდა პლენუმიც.

საბჭოთა აღმშენებლობა აფხაზეთში*)

(სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გამო)

მრეწველობა

ჩვენი მთავარი და ძირითადი დასაყრდენი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში — ეს არის მრეწველობა. ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა ასეთია. მეფის მთავრობას და მენშევიკებს თითქმის არავითარი მემკვიდრეობა არ დაუტოვებიათ ჩვენთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ხე-ტყის სახერხ ქარხანას და ორიოდე სხვა სახის წარმოებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი ნედლეულის ბაზის შეწყობით მოვაწყვეთ შემდეგი წარმოებები: თამბაქოს სახელმწიფო ფაბრიკა, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, გაგრის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ცელევარის და პიცუნდის ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ტიპო - ლიტოგრაფია, ავტოგარაჟი და მექანიკური სახელოსნო და გუდაუთის არყის სახდელი ქარხანა. უნდა მუშაობდეს ეხლა აგრეთვე კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხანაც, რომელიც კერძო პირების ხელში იყო და ეხლა სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელში გადავიდა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით, პროდუქციის საქარხნო თვითღირებულება 1924—25 წელს უდრიდა — 437.000 მანეთს, ხოლო 25 — 26 წელს — 924.200 მანეთს. ერთი წლის განმავლობაში ამ წარმოებათა პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა— 487.000 მანეთით.

ამ ციფრებით მე მინდა ვსთქვა შემდეგი. ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დიდი ქარხნები და ფაბრიკები მოვაწყვეთ, მაგრამ ის, რაც ჩვენ მოვაწყვეთ, ვითარდება ნორმალური, გეგმიანი წესით, რამდენად ამის საშუალებას გვაძლევს ჩვენი თანხები, ჩვენი ნედლეული და რამდენადაც ჩვენ შევსძელით გასაღებელი ბაზრის შოვნა.

1924 — 25 წ. გაყიდულია 386.000 მანეთის პროდუქცია, 25 — 26 წ. 822.000 მანეთის, ე. ი. 436.000 მანეთით მეტი.

ამ წარმოებებში მომუშავე მუშების საშუალო რაოდენობა უდრის 224 კაცს. პროლეტარიატის დიქტატურის მტკიცე ბაზის შექმნა აფხაზეთში, ჩვენს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ყოველთვის და ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ არ ვიშურებთ არაფერს, რამდენადაც ტექნიკური და ეკონომიური საშუალებები ამას გვანებებს.

ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საერთო - საკავშირო პერსპექტივებთან.

ტყვარჩელის ქვანახშირის საქმეში ჩვენ თითქმის პრაქტიკულად ფეხი მოვიკიდეთ და ეს საკითხი, რომელიც მიძინებული იყო 25 წლის განმავლობაში, დავსძარით მკვდარი წერტილიდან. ჯერ კიდევ შარშან სწარმოებდა გამოკვლევითი მუშაობა და წელსაც ამ მიმართულებით განვავითარებთ მას. საჭირო თანხები გადებულია, ხოლო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსებულია ტყვარჩელის ქვანახშირის კომიტეტი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ტყვარჩელის ქვანახშირთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

მახლობელ წლებში ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციის საკითხი დაისმება პრაქტიკულად, ვინაიდან ამ საქმით დაინტერესებული არიან ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის „იუგოსტალი" და სხვა.

აფხაზეთის ტყეების, აფხაზეთის ამ დიდი სიმდიდრის ექსპლოატაციის საქმეც შედარებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ბზიპისთვის ბიუჯეტით გადადებულია თანხა იქ გაგრიდან ყოფილ ბალაშევის ქარხნის გადასატანად. ეს ქარხანა ჯერ არ არის გადატანილი იმიტომ, რომ საბოლოოდ არ გამორკვეულა. თუ სად უნდა მოეწყოს ის. ქარხნის გადაკეთების და გადახალისების პროექტი მუშავდება. ჩვენ მოვახერხეთ ნებართვის მიღება ხე-ტყის საზღვარ - გარეთ გაზიდვაზე, თუ შეუთანხმდით პირობების შესახებ უცხოეთის რომელიმე ფირმას.

ჩვენ ვფიქრობდით ბზიპზე ქაღალდის ფაბრიკის მოწყობას; ერთ დროს ვფიქრობდით, რომ ბზიპის რაიონს ბადალი არ ჰყავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ენგური უფრო გამოსადეგია ამ ფაბრიკისათვის. საქმე იმაში კი არ არის, რომ ბზიპი ქარხნის ყველა მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს; საქმე იმაშია, რომ ენგურიც სავსებით გამოსადეგია ფაბრიკის მოსაწყობად. მე ვფიქრობ, რომ ეს არ შეიძლება ჩვენ საწყენად დაგვრჩეს, ვინაიდან ენგური აფხაზეთის საზღვარია და თითქოს ფორმალურად აფხაზეთს ჰყოფს საქართველოდან. ბზიპის საქმე კი ამა თუ იმ სახით ალბად მაინც განხორციელებული იქნება. ბზიპი, როგორც უდიდესი სატყეო კომბინატი თავისას გააკეთებს, ეს ყველასათვის ეჭვს გარეშეა.

სახელმწიფო ბიუჯეტი

ეხლა შევეხოთ სახელმწიფო ბიუჯეტს. ჩვენი ბიუჯეტის მდგომარეობა ასეთია: შემოსავალი რესპუბლიკანურ ფედერატიულ და საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატებში დოტაციასთან ერთად 1925-26 წელს უდრის 1.694.591 მან.

გარდა აღნიშნულ შემოსავლისა, ჩვენ გვაქვს ისეთი სახის შემოსავალი, რომელიც ფინსახკომის უწყებაში არ შედის; ეს არის ფოსტა-ტელეგრაფის, ნავთსადგურების და გზატკეცილების შემოსავალი, სულ დაახლოვებით 297.000 მან.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით ხარჯების რაოდენობა ასეთია: 1925-26 წლის განმავლობაში ხარჯები რესპუბლიკანურ-ფედერატიულ და საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატებზე უდრიდა 1.703.248 მან. თუ ამ თანხას მივუმატებთ ფოსტა-ტელეგრაფის, აფხაზეთის წყალთა მეურნეობის, ნავთსადგურის, გზატკეცილების სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხარჯებს, გასავალის საერთო რაოდენობა 2 მილიონ მანეთზე მეტს უდრის.

გაუერთიანებელ სახალხო კომისარიატების საგასავლო ბიუჯეტი, თუ ერთმანეთს შევადარებთ 1925-26 წლის და 1926-27 წლის ბიუჯეტს, წარმოგვიდგება შემდეგნაირად: ცაკის, სახალხო კომისართა საბჭოს, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის გასავალი სულ უდრის 1925-26 წ. 227.449 მანეთს, ხოლო 1926-27 წელს—231.462 მან. ხარჯები სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებებზე: განათლების სახალხო კომისარიატის, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის და სხვ.—1925-26 წელს უდრიდა 487.187 მან., ხოლო 1926-27 წელს—613.070 მან.

გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების შესანახი ხარჯები 1925-26 წელს უდრიდა 714.636 მან., 1926-27 წელს — 844.532 მანეთს. ეს ციფრები მოწმობენ შემდეგს: 1925-26 წელს ხარჯები სამმართველო აპარატზე შეადგენდენ 31,8 პროც., ხოლო 1926-27 წ.—27,4 პროც. ხარჯები სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებებზე 1925-26 წ. შეადგენდენ 68,2 პროც., ხოლო 1926-27 წელს—72,6 პროც., გასულ წელთან შედარებით სამმართველო აპარატის და ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირების მიხედვით გაიზარდა ხარჯები რესპუბლიკის სოციალურ - კულტურულ მოთხოვნილებებზე. სამმართველო აპარატის ღირებულება 1926-27 წელს უდრიდა 20,7 პროც., ხოლო 1926-27 წელს—17,69 პროც., სოციალურ-კულტურულ ხარჯების ღირებულება 1925-26 წელს უდრიდა 79,93 პროც., 1926-27 წელს—82,31 პროც., ეს კი ჩვენს ბიუჯეტში დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტს, მისი მდგომარეობა წელს ასეთია: სულ ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით წელს ხარჯები გათვალისწინებულია 2.206.000 მანეთის რაოდენობით. ეს ქალ. სოხუმში და მის მაზრებში. ამ თანხიდან მთავრობის დოტაცია უდრის 542.000 მანეთს, ხოლო წმინდა შემოსავალი ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაახლოვებით მილიონ ნახევარი მანეთის რაოდენობით. თუ ავიღებთ ჩვენ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტს ერთად, ამვიღებთ დაახლოვებით 3.050.000 მან. თუ ამ თანხას გავყოფთ 200.000 მცხოვრებზე თითეულ სულზე დაახლოვებით მოდის 15 მანეთი.

ბიუჯეტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, რამდენათაც ის წარმოადგენს სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს. ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მდგომარეობა შარშანდელთან შედარებით. შარშან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსაზღვრა ხდებოდა იმ მიწის სივრცის მიხედვით, რომელიც ამა თუ იმ საგლეხო მეურნეობის განკარგულებაში იმყოფებოდა, რომლის დროს საქმე გვქონდა პარიტეტთან, ე. ი. ავიღებდით სახნავ მიწის ერთეულს და უფარდებდით მას დანარჩენ კულტურათა დესიატინების განსაზღვრულ რაოდენობას. მაგალითად, ერთ დესეტინა თამბაქოს უთანასწორებდენ სამ დესეტ. სახნავ მიწას. წელს კი ეს გამოანგარიშება არ არის სწორად ცნობილი, რადგან ის ბევრ შეცდომებს უშვებს.

მაგალითად; შარშან სახნავი მიწის განსაზღვრული სივრცე იბეგრებოდა ერთი და იმავე თანხით, მიუხედავად მისი შემოსავლიანობისა; აგრეთვე თანაბარი გადასახადი იყო დაწესებული თვითეულ ძროხაზე, თუმცა ზოგიერთი ძროხა გამხმარია და რძეს სრულებით არ იძლევა; ზოგიერთი კი მაგ.-უბანის ჯიშის, ძალიან ბევრ რძეს იძლევა. მიუხედავად ამისა, გადასახადი თანაბრად იყო გაწერილი მათზე.

წელს, გადასახადის გამოანგარიშება ხდება მეურნეობის შემოსავლიანობის მიხედვით. რასაკვირველია, აქაც აქვს ადგილი დიდ შეცდომებს, მაგრამ ეს სისტემა შარშანდელთან შედარებით უფრო სრულყოფილია. წელს, გადასახადის გამოანგარიშება ხდება ამა თუ იმ მეურნეობის შემოსავლიანობის პირდაპირი პროპორციის მიხედვით, რომლის დროს შემოსავლიანობა აღებულია არა მუდმივი უცვლელი რაოდენობით, არამედ ის ცვალებადობას განიცდის. მაგალითად: სიმინდის მოსავალი 1 დესეტინაზე ივლება 34-51 მანეთამდე, თამბაქოს კულტურის შემოსავლიანობა 170-იდან 205 მანეთამდე, ხეხილის ბაღების შემოსავლიანობა 128-დან 145 მანეთამდე, კამეჩისა და ხარის შემოსავლიანობა 7-დან 14 მანეთამდე. ერთი სიტყვით, რამდენად მეტია შემოსავალი, იმდენად მეტია გადასახადი, რამდენად ნაკლებია შემოსავალი, იმდენად ნაკლებია გადასახადი.

ყველაზე ღარიბი მეურნეობანი, რომელთაც არავითარი შემოსავალი არა აქვთ, ან აქვთ უმნიშვნელო შემოსავალი, სავსებით თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

მთელი გადასახადი წელს უდრის 198.000 მ., ჩვენ თავის დროზე მოვითხოვდით, რომ გადასახადის აკრეფის ვადა შეფარდებული ყოფილიყო იმ მომენტთან, როცა ფული შემოსდით, ე. ი. როცა ისინი ასაღებენ თავის პროდუქციას. დღემდე აკრეფილია გადასახადი დაახლოვებით 90 პროცენტი.

წელს, გადასახადის მთელი სიმძიმე უმთავრესად აწევება თამბაქოს პლანტაციებს. ჩვენ ერთ დროს ვშიშობდით, რომ პლანტატორები ვერ აიტანდენ ამ გადასახადს, მაგრამ ეხლა გამოირკვა, რომ საერთოთ პლანტატორებმა დასძლიეს გადასახადი; დაბრკოლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ფულისათვის აკითხავდენ მაშინ, როცა თამბაქო გაუსაღებელი ჰქონდათ და ფულები არ გააჩნდათ. თვით გადასახადის რაოდენობას პლანტატორი თითქოს იტანდა.

ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ მომავალ წელშიაც ჩვენ ამ შეხედულების ვიქნებით; ამ საკითხს ჩვენ ერთხელ კიდევ განვიხილავთ, გამოვარკვევთ რა გავლენა იქონია გადასახადმა თამბაქოს პლანტაციების განვითარებაზე, და თუ დავინახავთ, რომ პლანტატორმა ვერ გაუძლო ამ გადასახადს, რომ ამით მეთამბაქოეებს რაიმე ზიანი მოსდის, მაშინ მოვითხოვთ ამა თუ იმ შესწორების შეტანას გადასახადში.

კოოპერაცია

სოფლის მეურნეობის ზრდა, სოფლის მეურნეობის მხრივ სამრეწველო საქონელზე მოთხოვნილების ზრდა ჩვენს წინაშე აყენებს კითხვას ამ მეურნეობისათვის აუცილებელ საქონლის მიწოდების შესახებ. სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის სწორად გასაღების და სოფლის მეურნეობისათვის ყველა საჭირო საქონლის წესიერად მიწოდების საკითხებზე უნდა იზრუნონ ჩვენმა კოოპერატიულმა ორგანოებმა. აფხაზეთში კოოპერაციის მდგომარეობა ასეთია: არსებობს თამბაქოს კოოპერაცია, რომელიც სპეციალურად თამბაქოს კულტურას ემსახურება და რომელსაც ეწოდება „მეთამბაქოეთა კავშირი".

შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირმა გაამართლა თავისი თავი, როგორც სალმა კოოპერატიულმა ორგანიზაციამ, როგორც თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით, ისე თავისი ფინანსიური მდგომარეობით, აგრეთვე კოოპერაციის იდეების, პლანტატორების გაერთიანების იდეის სწორად გაგებით. აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირმა გაამართლა თავისი თავი, როგორც პლანტატორების, ისე თამბაქოს მრეწველობის თვალში. თამბაქოს მთავარ ნაწილს ეს კოოპერაცია იღებს თავის პირველი საფეხური აპარატიდან, პერიფერიიდან— მეთამბაქოეთა რაიონულ კოოპერატივებიდან.

იქ, სადაც კოოპერაცია სავსებით კიდევ ვერ უმკლავდება თავის ამოცანებს, ჩვენი თანხმობით გამოდის „აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობა" („აბგოსტორგ"). უკანასკნელი ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც თავისი იდეით მოწოდებულია ებრძოლოს კერძო ვაჭრებს და მხარი დაუჭიროს კოოპერაციას; უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, თამბაქოს მრეწველობა აკისრებს მას, მაგალითად, 400 ათასი ფუთ თამბაქოს დამზადებას. თავისი ორგანიზაციულ და ტექნიკურ საშუალებებით, ვსთქვათ, აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირს არ ძალუძს 300 ათას ფუთზე მეტის დამზადება განსაზღვრულ ვადაში. დანარჩენი 100 ათასი ფუთი ვინმემ ხომ უნდა დაამზადოს, ან თვით „ნედლი თამბაქოს" კანტორამ, ან რომელიმე სხვა ორგანიზაციამ. როცა ასე ისმება საკითხი, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ჩვენს სახელმწიფო ორგანიზაციას— „აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობას", რომელსაც შეუძლია უფრო ადვილად გაუმკლავდეს ამ ამოცანას და რომელზედაც საჭირო შემთხვევაში შეგვიძლია ზეგავლენა მოვახდინოთ. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო ვაჭრობის, ისე კოოპერაციის ურთიერთ ინტერესებს. აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მუშაობის მოწესრიგება უფრო ადვილად შეუძლიათ ჩვენს საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს. ამ მოსაზრებით იმ შემთხვევაში, როცა აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირს ესაჭიროება დახმარება დამზადების საქმეში, ამ დახმარებას უწევს აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

თავის თავად ცხადია, რომ როცა თამბაქოს კოოპერაცია საკმაოდ განმტკიცდება „აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის" დახმარება შესაძლოა არც კი დარჩეს საჭირო.

კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა შეიძლება საკმაოდ განმტკიცებულად ჩაითვალოს, იმდენად განმტკიცებულად, რომ აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირი ზოგჯერ ზედმეტ ხელგაშლილობასაც იჩენს, გარდა ასეთი რამეებისა, დიდი დეფექტები აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის მუშაობაში არ არის და საერთოდ მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირთან შედარებით სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა რამდენიმედ უფრო ცუდია. აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირი, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი, — მოიკოჭლებს საკმაო საკუთარ საშუალებების, საკმაო ძირითადი კაპიტალის უქონლობის გამო. ეს აიხსნება მით, რომ აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირს თავის მუშაობის დასაწყისში არ მიუღია მთავრობიდან ცოტად თუ ბევრად საგრძნობი დახმარება, თუ არ ვიანგარიშებთ 5.000 ფუთამდე თამბაქოს, რომელიც ჩვენ მას ვაჩუქეთ 22 წელს. იმ დროს ჩვენ საერთოდ გვიყვარდა თამბაქოს გაჩუქება.

ფასები თამბაქოზე მაშინ მაღალი არ იყო და მგონი აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირმა გადაიტანა ამ თამბაქოს ღირებულება ოქროზე, რამაც შეადგინა დაახლოვებით 50.000 მანეთი. ეს ფული მან გაატარა, როგორც ვალი სახალხო კომისართა საბჭოსადმი. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ნება მივეცით აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირს ეს თანხა ჩაეთვალა არა ვალად, ამან რამოდენიმედ თავის ძირითად კაპიტალში. ამან რამოდენიმედ გამოასწორა აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირის ბალანსი, მაგრამ არავითარი არსებითი ცვლილება საქმეში არ შეუტანია, ვინაიდან ეს ფული რეალურად არ არსებობდა, ოდესღაც ის ფული იყო და სადღაც დაიხარჯა.

აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირი უმეტესად მუშაობს ნასესხები ფულით, ხოლო სესხის აღება ყოველთვის როდია სასიამოვნო, საჭიროა მისი უკანვე დაბრუნება თავის დროზე. აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირის მდგომარეობა უკანასკნელ დროს რამდენიმედ მაინც უნდა გაუმჯობესდეს. ამის ნიშნები არის.

ამჟამად ჩვენი დადგენილებით მას ჩამოსცილდა სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია და ის მხოლოდ სამომხმარებლო ფუნქციებს ასრულებს; მას ჩამოვაშორებთ აგრეთვე ყოველივე იმას, რაც მას წინად მძიმე ტვირთად აწვა, როგორც, მაგალითად, აბრეშუმის პარკის საშრობი ფაბრიკები, კონსერვების ფაბრიკა და სხვ.

პირველი საფეხურის კოოპერატივებს, რომლებიც თავის თავს ამართლებენ, ვსტოვებთ, ხოლო ისეთებს, რომელთა არსებობა ზედმეტია, სავსებით ვსპობთ.

ჩვენ ვაწყობთ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას, რომელსაც ეწოდება „აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო კავშირი"; ის ამჟამად ორგანიზაციულ პერიოდშია. მუშაობს აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიული კავშირის ორგანიზაციული ბიურო, რომელიც დიდ დადებით მუშაობას ეწევა, სდებს ხელშეკრულებებს მოსახლეობისათვის სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის მისაწოდებლად, აწარმოებს მოლაპარაკებას სათანადო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დასადებად აბრეშუმის პარკის მიწოდება, ღვინის, თხილის და სხვ. მასალების შესახებ.

სახალხო განათლება

ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ ყურადღება არ მივაქციეთ მოსახლეობის კულტურულ განვითარებას. ჩვენ უნდა გვყავდეს კულტურული ძალები, უნდა გვყავდეს ჩვენი ინჟინერები, მასწავლებლები, ტექნიკოსები, ექიმები, ტექნიკური მუშაკები და სხვ.

სახალხო განათლების მდგომარეობა ჩვენში ასეთია. იმის თქმა, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს ამ დარგში, არ შეიძლება, მაგრამ არც იმის დამალვა შეიძლება, რომ მენშევიკების ბატონობის და ომის წინანდელ დროსთან შედარებით ჩვენ საგრძნობლად წინ წავედით. რესპუბლიკის საერთო ბიუჯეტში 1926—27 წელს ხარჯები სახალხო განათლებაზე, თუ შევადარებთ ყველა წყაროებს, ე. ი. სახელმწიფო ბიუჯეტს, დოტაციას, ადგილობრივ ბიუჯეტს,—უდრის 825.962 მანეთს, რაც რესპუბლიკის საერთო ხარჯების 27 პროცენტს შეადგენს.

1925—26 წელს ეს ხარჯები შეადგენდენ საერთო ხარჯების 26 პროცენტს, ხოლო 1924—25 წელს კი მხოლოდ 23 პროცენტს.

აქედან სჩანს, რომ ჩვენ სახალხო განათლებას ვაქცევთ სერიოზულ ყურადღებას და ყოველ წლობით ვაძლიერებთ ხარჯებს რესპუბლიკის სხვა ხარჯებთან შედარებით.

ხარჯები განათლების მუშაკთა სამუშაო ხელფასზე შეადგენენ 62 პროცენტს და მათ პირველი ადგილი უჭირავთ სახალხო განათლებისათვის საჭირო ყველა სხვა ხარჯებს შორის. სამუშაო ხელფასის საშუალო რაოდენობა 25—26 წელს უდრიდა 30 მანეთს, წელს კი 36 მანეთს უდრის. განსხვავება, მართალია უმნიშვნელოა და უნდა ითქვას, რომ სახალხო მასწავლებლის სოფლად კულტურის ამ მთავარი გამავრცელებლის მდგომარეობა კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

მაგრამ წინანდელ წლებთან შედარებით, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ეს გარემოება ჩვენ დადებითად მიგვაჩნია. ყველა მაზრებში მასწავლებელთა რიცხვი 728 კაცს უდრის, აქედან 70 პროცენტს 1 საფეხურის სკოლების მასწავლებლები შეადგენენ.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი სკოლების ერთ სისუსტეს ეს სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ სკოლებს არ ჰყავთ საკმაოდ მომზადებული მასწავლებლები. ქართულ სკოლებში ადგილი აქვს ასეთ მოვლენას: მასწავლებლების მთავარ ნაწილს შეადგენენ ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო და დაბალი სასწავლებლები. მაგრამ ვერ დგანან პროფესიონალური მომზადების სიმაღლეზე და ყოველთვის თავს ვერ ართმევენ იმ სკოლის პროგრამას, სადაც ისინი მასწავლებლებად არიან.

ბერძნულ სკოლებში მასწავლებელთა უმრავლესობას შეადგენენ ისეთი პირები, რომელთაც ორი თუ სამი კლასი აქვთ დამთავრებული ტრაპიზონის გიმნაზიაში და მათი მომზადება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

აფხაზურ სკოლებში კიდევ უარესი მდგომარეობაა. აფხაზი მასწავლებლის რიცხვი ძალიან ცოტაა, ხოლო თუ სადმე მოიპოვებიან, მათ დიდი სახელმწიფო მუშაკობა უნდათ და ჩვენც ვაქეზებთ ამისაკენ. ჩვენ უნდა გამოვასწოროთ აპარატის ნაციონალური შემადგენლობა და მასწავლებლების ხარჯზე ზოგიერთი ნაკლულოვანებები ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დანარჩენ დარგებში ჩვენ ვასწორებთ. აფხაზურ სკოლაზე ამას უსათუოდ უარყოფითი გავლენა აქვს.

სომხურ სკოლებში მასწავლებლები კარგად არიან მომზადებული, მაგრამ ვინაიდან ამ მასწავლებელთა მეტ ნაწილს თბილისიდან და ერევნიდან ჩამოსული პირები შეადგენენ; ისინი დროებით მუშაკებად სთვლიან თავს, მუშაობენ ერთი - ორი წლით და მიემგზავრებიან უკანვე, ამით კი სკოლებს ზიანი მოსდის. ასეთი მდგომარეობის როგორმე გამოსასწორებლად, განათლების სახალხო კომისარიატი აწყობს მოკლევადიან კურსებს მასწავლებლებისათვის, გზავნის ადგილობრივ სომხებს და ბერძნებს ერევანში და ანაპაში და ამრიგად ერთგვარ შედეგების მიღწევას ახერხებს, მაგრამ მაინც მასწავლებელთა კადრი კიდევ არ არის საკმაო და მასწავლებლების მომზადება ყოველთვის ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ეხლა შევეხოთ სკოლების რიცხვს: რამდენი იყო წინად და რამდენია ეხლა. 14 წელს იყო 148 სკოლა, 21 წელს — 146, 26 წ. — 278 და 27 წ. — 292 სკოლა. მოწაფეები: 1914 წ.— 7.885 კაცი, 1921 წელს — 10.468 კაცი, 1926 წ.—19.179 კ., 1927 წ. — 22.855 კაცი. მასწავლებლები: 1914 წ. 264, 1921 წ. 248, 1926 წ. 679, 1927 წ. 728 კაცი. ეროვნების მიხედვით: 1925—26 წელს აფხაზური სკოლა 43, ქართული 72, რუსული 17, ბერძნული 48, სომხური 67, შერეული 25. მოწაფეები ეროვნების მიხედვით: აფხაზები 3.583, ქართველები 7.081, რუსები 1.451, ბერძნები 2.849, სომხები 3.768, დანარჩენები 368.

მოყვანილი ციფრები თვალსაჩინოდ მოწმობენ, რომ სასკოლო ქსელი გაიზარდა და კვლავ იზრდება. მოწაფეების რიცხვიც იზრდება.

მოსახლეობა დიდ მოთხოვნილებას აყენებს სწავლის შეძენაზე, სოფლები მოითხოვენ მასწავლებლებს, სკოლების გახსნას. ერთის მხრივ ეს მოთხოვნილებები მოწმობენ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ ზრდას. ჩვენ თანდათანობით, ნელის ნაბიჯით სახალხო განათლების დარგში დიდ დადებით მუშაობას ვეწევით.

საკითხი ადგილობრივ ენებზე წიგნების და სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ კიდევ ვერ არის სათანადოთ მოწესრიგებული. ამ მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან აფხაზები, ვინაიდან სომხებს, ბერძნებს, ქართველებს და რუსებს შეუძლიათ მიიღონ ეს წიგნები სხვა კულტურულ ცენტრებიდანაც—თბილისიდან, მოსკოვიდან, ერევნიდან და სხვ., ხოლო აფხაზები იძულებული არიან თვითონვე შეადგინონ და გამოსცენ ეს სახელმძღვანელოები და წიგნები, ამას კი დიდძალი დაბრკოლებები ელობება. აქ კულტურულ და ტექნიკურ მუშაკებთან ერთად საჭიროა ფულიც.

მიუხედავად ამისა ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ცოტაოდენი რამ მაინც კეთდება. არსებობს აფხაზური ენის და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება, რომელიც იმუშავებს ტერმინოლოგიას, ადგენს სახელმძღვანელოებს, სიტყვარებს და სხვ აფხაზეთის ინტელიგენციას ამ საქმეში მთავრობა დახმარებას უწევს ფინანსიურად. ამაზე უფრო შორს წასვლა ჯერ ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ისიც, რაც კეთდება, დადებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამ წერილში მე ვრცლად არ შევეხები პოლიტგანათლების სამმართველოს მუშაობას, როგორ აწყობს ის ქოხ - სამკითხველოებს, როგორ სპობს ის წერა - კითხვის უცოდინარობას. უნდა აღვნიშნოთ ერთი, რომ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს და განათლების სახალხო კომისარიატს კიდევ დიდი სამუშევარი აქვს ამ მხრივ.

საკურორტო საქმე

ჩვენს სინამდვილეში უმნიშვნელოვანეს საქმედ მიგვაჩნია საკურორტო საქმე. უკვე წელიწადნახევარია, რაც ჩვენ განვაგებთ ამ კურორტებს, მაგრამ დღემდე საკმაო ასიგნობების უქონლობის გამო, ვერ შევსძელით ამ საქმის სათანადოთ დაყენება. ამ საქმეს დიდძალი თანხები ესაჭიროება, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. საჭირო იყო კურორტებზე შენობების შეკეთება და აღდგენა. წელს ამისათვის უკვე გადადებულია 250.000 მანეთი. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთესად დავაყენოთ საკურორტო საქმე. კერძოდ გაგრაში ჩვენ დიდი მუშაობა გავსწიეთ იმ მიზნით, რომ თავიდან აგვეცილებია საბინაო კრიზისი, რომელსაც შარშან ჰქონდა ადგილი, თავიდან აგვეცილებია შარშანდელი დეფექტები ჩამოსულების დაბინავების საქმეში.

ორიოდე სიტყვა ეგრეთწოდებულ სახალხო კურორტებზე. ეს ისეთი ადგილებია, სადაც გლეხები მოდიან, მათ შორის არის ტყვარჩელის კოგირდიანი წყარო და აგრეთვე კურორტები გალის მაზრაში, რომლის სახელები ძნელი დასამახსოვრებელია. ამ საკურორტო რაიონებში ჩვენ უნდა გავსწიოთ მუშაობა, ყოველ შემთხვევაში დახმარება უნდა აღმოუჩინოთ მოსახლეობას ამ კურორტების კეთილმოწყობის საქმეში.

დასკვნა

დასასრულ მოკლედ შევეხები იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან.

პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი ყურადღება მივაქციოთ ისეთ სპეციალურ სამრეწველო კულტურების განვითარებას, როგორიც არის, ჩაი, სამკურნალო მცენარეები და სხვ. კულტურები, რომლებიც ჩვენი სპეციალისტების ცდების მიხედვით სასარგებლოდ შემოსავლიანად იქნებიან ცნობილი.

მეორე ამოცანა, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიმდინარე საზოგადოებრივ და სახელმწიფო მუშაობაში, ეს არის სასოფლო გზების გაყვანა და ხიდების აგება. არავითარ კულტურაზე, არავითარ სამეურნეო მიღწევებზე არ შეიძლება ლაპარაკი, სანამ ჩვენ მჭიდროთ არ ვიქნებით დაკავშირებული სოფელთან, სადაც უმეტეს შემთხვევაში გზები ისეთ მდგომარეობაშია, რომ გავლა შეუძლებელია. როგორ უნდა იაროს ექიმმა და აგრონომმა, როცა არსებულ გზებზე ეტლით გავლა არ შეიძლება, ხოლო ფეხით სიარული ძალიან ძნელია.

გზების მოწყობა—ეს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა, ეს არის საარსებო ელემენტი ჩვენს სახალხო მეურნეობაში. აი ამ მხრივ მომავალმა ყრილობამ უნდა სთქვას, რომ საჭიროა გლეხობამ გამოიჩინოს მაქსიმუმი ენერგია და ინიციატივა. ამ შემთხვევაში მთავრობამაც თავის მხრივ აღმოუჩინოს მოსახლეობას დახმარება.

ზოგიერთი რამ უკვე გაკეთებულია ყველა მაზრებში, მაგრამ საჭიროა მეტი საზოგადოებრივი ინიციატივა, მეტი საზოგადოებრივი თვით მოქმედება, ვინემ დღემდე იყო.

მესამე დასკვნა, მესამე ამოცანა, შეეხება სახალხო განათლებას. სკოლების საქმე ძალიან ცუდათ არის ჩვენ არ გვყავს მასწავლებლები, არ გვქვს საჭირო სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან აფხაზური სკოლები აქაც უნდა გავსწიოთ დიდი მუშაობა და არ უნდა დავკმაყოფილდეთ იმაზე მითითებით, რომ შარშან ესა და ეს გავაკეთეთ. იგივე ითქმის სახალხო ჯანმრთელობის დაცვაზე.

მეოთხე დასკვნა. აფხაზეთი პოტენციალურად მდიდარი ქვეყანაა (დაუზრეტელი წყალთა ენერგია, ქვა-ნახშირის და სხვა მადნების მარაგი, ხე-ტყე, კურორტები, სამრეწველო კულტურები). ეს გვავალებს ჩვენ ყოველივე ზომების მიღებას ქვეყნის მრეწველობის განვითარებისათვის.

უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა შეეხება იმას, თუ რას წარმოვადგენთ ჩვენ აფხაზეთში. ჩვენ მრავალი ეროვნებით დასახლებულ ქვეყანას წარმოვადგენთ და ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ერთმანეთს არ წავეკიდოთ, უნდა განვახორციელოთ ჩვენს ტერიტორიაზე ხალხთა ძმობა, უნდა განვახორციელოთ ერთმანეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, მშვიდობიანი მშენებლობის პრინციპი.

დეე თვითეული სომეხი, ბერძენი, აფხაზი და ქართველი უყურებდეს აფხაზეთს, როგორც თავის საკუთარ ქვეყანას და დეე თვითეული მათგანი თავის თავს სთვლიდეს მის ბატონ-პატრონად.

ჩვენ გვაქვს ზოგიერთი წარმოებები, ზოგიერთი მიღწევები ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგებში. ვისურვებდი, რომ მომავალ წელს, როცა შევიკრიბებით საქართველოს ყრილობაზე, აღგვენიშნოს კიდევ უფრო მეტი მიღწევები აფხაზეთის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებაში.

ნესტორ ლაკობა.

აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.



აფხაზეთის რუკა

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 68.

საბჭოთა საქართველო

ხევის ავ-კარგი

მეტი წილი ხევის გლეხობა ზამთრობით რჩება უსაქმოდ. ვისაც ჰყავს ურემი და ცხენი ის მიდის კავკავში ან თბილისში სამუშევრად. ვისაც ცხენი და ური არ ჰყავს მთელი ზამთრობით ზის სახლში და დღიურ მუშად მიდის კავკავში. [illegible] და ცდოსთან არის ანტეზიტის ქვა რომლის დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირის ქარხნებში. 1926 წელს ჩრდილოეთ ოსის ორგანიზაციამ „გორპიტორგმა" აიღო ამების ექსპლოატაცია 6 წლით.

აქაური გლეხები ამბავს სიხარულით შეხვდნენ, რადგანაც მათ ეგონათ იმ სამუშაოზე ეშოვნათ ლუკმა პური და არ მსხდარიყვნენ 8 თვის განმავლობაში უქმოდ. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ, მოიჯარადრეებმა არ მოიწვია ადგილობრივი ოსები სამუშაოზე.

მოხევეების და საზოგადოდ მთაში მცხოვრებელი ქალები ჯერ ვერ არიან მთის ზნე-ჩვეულების კლანჭებიდან განთავისუფლებულნი. მხოლოდ ახალ მოზარდობას ეტყობა გამოცოცხლება და ძველი ჩვევების უკუ-გდება. ქალები ძალიან იშვიათ ესწრებიან კრებებს და წარმოდგენებს თეატრ. ხევის რაიონში მოისუსტებს ქალთა განყოფილების გამგის მუშაობა. დრო არის ქალმა კულტურულ მუშაობაში და საბჭოთა აღმშენებლობაში გამოიჩინონ მეტი აქტივობა.

ამ ოცი წლის წინედ ყაზბეგში იყო გახსნილი საფეიქრო სასწავლებელი, სადაც სწავლობდენ მოხევის ქალები ნოხის, ფარდაგის და ჩოხების ქსოვას. ეხლაც ბევრი ქალი მოიპოვება ხევში იმ სკოლაში კურს-დამთავრებული. სასწავლებელი აღარ არსებობს და არც მოწყობილობა არის. საქსოვი მასალა მატყლი, ფასანაურის, კობის და ხევის რაიონში ბლომად არის, მცხოვრებნი ტანზე იცვამენ თავიანთ ნაქსოვ შალისგან ტანისამოსს, მაგრამ ქსოვენ მამა-პაპურად, საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება საქართველოს სარეწაო კოოპერატივის ცენტრმა. მან უნდა დაარსოს აქ ნადები და მოუწყოს თვალსაჩინო საფეიქრო ქარხნები აქაურ გლეხებს.

ყაზბეგის თემის აღმასკომმა უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება მას, რომ სოფელ ყაზბეგში არ არის წყალი. წყლისათვის მოხევის ქალებს უხდებათ გასვლა თერგის ხიდის გაღმიდან, თერგის ნაპირთან. აქ ავსებენ თითბერ თუნგებს წყლით და თოვლ-ტყაპში წვალებით ეზიდებიან სახლში. ესეთი მოშორებით წყლის ზიდვა არც ისე ადვილია, ქალები ცივდებიან და ავადმყოფდებიან. წყლის გამოყვანის ირგვლივ იყო კრებები და არის დადგენილებები, მაგრამ ეს დადგენილებები უნდა გაატაროს ცხოვრებაში აღმასკომმა.

ვალიკო.

„ძირს კუბო, გაუმარჯოს სიცოცხლეს"

ყოველ საქმეს თავისი დრო და ლაზათი აქვს. ზოგიერთისთვის ქეიფიც საქმეა და მერე როგორი საქმე. ყველას ხომ აქვს ქეიფისა და მხიარულების მარიფათი. ამისათვის საჭიროა გვარიშვილობა და ერთიც სტაჟი. თუ ეს არა, იმდენი განვითარება მაინც უნდა გქონდეს, რომ ქეიფისა და ლოთობის შნო ადვილად შეითვისო.

ზესტაფონის ექიმებს გამცემლიძეს და ბლაიძეს ამ მხრივ თავი ჩენად არ ჰქონია. ქეიფის სტაჟიც დიდი აქვთ ყმაწვილებს და უმაღლესი განათლებაც, რასაკვირველია, ხელს უწყობს. ისეთ ნომრებს ჭრიან ღვინის სმაში, რომ თვით ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროინდელ „ლუბერცკი თავადებსაც" შეშურდებოდათ მათი ლოთი-ფოთის ოინბაზობა.

ზესტაფონში ღვინო ისე ბამოილევა, როგორც ყვირილაში წყალი. ჩვ ძმათ ნაფიცნი ექიმებიც, როგორც უკვე ვსთქვით, სწორეთ აქ მოღვაწეობენ. სიფხიზლეზე რომ ჰკითხოთ ამ გმირებს, ღვინის წვეთს არ სვამენ. ბამბითაც რომ ჩააწვეთო პირში არ გაანძრევენ, რომ ნუნუას წვენს [illegible]. სხვასაც ჰკუას ასწავლიან, ლექციაც უკითხავენ ღვინის მავნებლობაზე.

საქმით კი... საქმით ნუღარ ახავთ. „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა"..;

პატივცემული ძმად-ნაფიცნიმები, თუ კი სადმე ღვინოს წააწყდენ, ჩაფი იწურავენ ნუნუას პირში. ერთ-ერთ ასეთრიგ ქეიფის დროს, ექიმებმა სუფრიდან ქუჩაში გადმოინაცვლეს, ლუქნებს აყარ-ჩაყარეს ჩერდენ კუბოების მაღაზიასთან და ღრმა ფიქრებში გაერთვენ. „რა არის ჩვენი ცხოვრ?", დაიწყო ლუღლუღი მთვრალმა გამცემლიძემ, სვამ, ქეიფობ, მტერი და მოყვარე გყავს ექიმი ხარ, კაცს თავი კაცად მოგაქვს, მოკვდები და ამ „იაშიკში" გიკრავენ თავს? ნუ თუ კუბოა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოველდღიური წვისა და დაგვის მიზანი? არა, ეს წარმოუდგენელია, ჩვენ ამას ვერ დაუშვებთ; კუბოებში ცოცხლადვე ნერვებს უშლიან ადამიანს? ძირს კუბო, გაუმარჯოს სიცოცხლეს". ასე დაამთავრა ექიმ გამცემლიძემ თავისი „რეჩი" და მყისვე ლოზუნგიდან მისი ამხანაგითურთ საქმეზე გადავიდა. დაივლეს ხელები კუბოებს, დაითრიეს ყვირილისაკენ და წყალში გადაუშვეს...

აქედან ექიმები „გაუმარჯოს სიცოცხლეს" ძახილით სადგურისაკენ გაემართნენ. მისვლისთანავე ეცნენ ზარას და დაიწყეს გულშემზარავი რეკა, თანვე გაჰყვიროდნენ: „გამოდით მგზავრებო, ჩხარიდან სკორი—პირდაპირი გამოვიდა"-ო. ჩხარი შორაპნის მაზრის მივარდნილი კუთხეა, რომელსაც ორთქლმავლის კვამლიც არ მოლანდებია ჯერ. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ექიმური ოხუნჯობა. თან, რომ ლოთიფოთური ოხუნჯობის სცენა უნაკლო არ დარჩენილიყო, ძმათ ნაფიც ექიმებმა შარდით მორწყეს სალოთური, ესეც ანტისანიტარული დეზინფექციაო.

მაგრამ ადმინისტრაცია არ დაიბნა. მან არ მოირიდა ხულიგანი ექიმები მათი ექიმობით და ზესტაფონს ამ მხიარულ ყმაწვილებიდამ დეზინფექცია უყო. ეხლა ექიმი გამცემლიძე სამი თვის ვადით რკინის მოაჯირთან ფანჯარას უზის და ნაღვლიანი ხმით ღიღინებს: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია, ზესტაფონი ექიმების მეფერია"—

ნარულითი.

ამოწყვეტილი სოფლები

(რაჭა)

სოფელი ხორხითი და სოფ. ნაძეები მეწყერის საშინელების საფრთხეში იმყოფებიან. მარტის შუა რიცხვებში დაიძრა აქ მეწყერი და ისეთი სისწრაფით მოძრაობს, რომ სოფლებს სრული განადგურება ემუქრება. თავზარდაცემული გლეხკაცობა გარბის თავის სარჩო-საბადებლით.

სოფელ სორხითში მაგალ. მეწყერმა გზა გადაკეტა და შენობების ტანის საშუალებაც წაართვა გლეხკაცობას. საჭიროა ამ სოფლებს ორგანიზაციული დახმარება გაეწიოს. თავიანთ თავის ამარა მიტოვებული სოფლები ვერას გააწყობენ ბუნების ამ საშინელ სტიქიასთან ბრძოლაში. დაზარალებული გლეხები ელიან დახმარებას და იმედი აქვთ მაზრაღმასკომი არ დააყოვნებს მათ მიშველებას.

ა. გოგიჯიშვილი.

საკრედ. ამხანაგობის დახმარება

(გურჯაანი, სიღნ. მ.).

სამი წლის წინ დაარსებული სოფ.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა [illegible] ნაბიჯით წაიიდა წინ და ამ ცოტა ხნის მანძილზე დიდი ნდობა მოიპოვა ღარიბ გლეხთა შორის.

ამხანაგობას დაახლოებით 50.000 მანეთამდე აქვს სესხად გაცემული ღარიბ ხალხზე, უმეტეს ნაწილს თამასუქებისას ვადა გასული, დანარჩენ ნაწილს კი ამ უახლოეს ხანში დაუდგება. ცხადია, ამხ-ბა ცაბს და ეცდება მომავალშიც თამასუქი [illegible] იყვეს, მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ყველამ იცის და ეს პრესაშიაც იყო თავის დროზე შენიშნული, რომ გურჯაანი და მისი რაიონი რსულ ზაფხულს რამდენჯერმე დაისეტყვა მეტად საგრძნობლადაც, მეურნეობის თით 80 პროც. იქმნა განადგურებული. გლეხი მეტად უნუგეშო პირობებში ჩავარდა, მაშინ მას დაეხმარა საკრედიტო ამხანაგობა სესხით.

ამავე დროს თამასუქის ვადა მოდის ღარიბ გლეხს არა აქვს შეძლება ვალის გადახდის; თუ ამხ-ბა რეპრესიებს მიმართავს, ღარიბ გლეხს ისღა დარჩენია, კულაკს ჩაუვარდეს ბრჭყალებში.

ალბათ, სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა ამხ-ბის გამგეობამ, როცა ამ ცოტა ხნის წინ დაადგინა, გადაიდოს ღარიბ გლეხთა თამასუქების ვადა შემოდგომამდისო.

მაგრამ, საქმეს ეს დადგენილება ნახევრად შველის; ახლა თვით ამხ-ბა ჩავარდება ჩიხში, დაუდგება რა დრო სხვადასხვა დაწესებულებების თამასუქების განაღდებისა.

ამიტომ, რათა ერთის მხრივ ღარიბები გლეხი ვიხსნათ კულაკების ქანჩისგან და მეორეს მხრით ამხ-ბაც არ ჩავაგდოთ თამასუქების პროტესტის შიშში, საჭიროა სათანადო ცენტრალურმა ორგანომ სასწრაფოდ მიაქციოს ყურადღება აღნიშნულ გარემოებას, სანქცია უყოს გურჯაანის ამხ-ბის დადგენილებას და დაეხმაროს მშრომელ გლეხობას უმტკივნეულოდ გადაიტანოს წლევანდელი კრიზისი მომავალ შემოდგომის მოსვლამდის.

გურჯაანელი.

იმედები არ გაგვიმართლდა

(არტნის თ., თბილ. მ.).

არტნის თემში არის დაბ. თიანეთის" კოოპერატივის განყოფილება 106 წ. შემადგენლობით. დიდი ხანი არ არის, ეს კოოპერატივი გაიხსნა, მხოლოდ მას თუ არა კერძო მოვაჭრეებმა უკვე თავიანთი ვაჭრობა და მიიმალენ. გლეხები სიხარულით გაიძახოდნენ: ვაი, კოოპერატივის გახსნა კერძო ვაჭრობის მოსპობასო.

მაგრამ ეხლა აგერ 6 თვე სრულდება ამ ჩვენ კოოპერატივში არ გვინახავს ერთი საწვრილმანო საოჯახო ნივთები, არც არის ნავთი, მარილი და სხვა. ეხლა ხალხის სურვილია თავი დაანებონ კოოპერატივს და მიმართონ კერძო ვაჭრობას. საჭიროა თიანეთის „ეპომ" ცოტა დაფიქრდეს მოაწოდოს გლეხკაცობას მათთვის საჭირო საოჯახო ნივთები.

ხუ.

საეკლესიო სახელები უნდა შეიცვალოს

(საგარეჯო, თბილ. მ.)

საგარეჯოს თემში არის სამი სოფელი, რომელთაც დღესაც შენარჩუნებული აქვს ძველი რელიგიური სახელები. დღეს ჩვენ მეშვიდე წელში ვართ გადასული, როდესაც მთელი ძალა უფლება მშრომელთა ხელთ არის და ნუ თუ ისე ძნელია ამ სოფლებისათვის სახელების შეცვლა. ასეთი სოფლები არიან: გიორგიწმინდა, ნინოწმინდა და მარიამჯვარი.— ამას უნდა მიექცეს ყურადღება, უნდა შეეცვალოთ სახელები.

გ. გარსიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი კედლის გაზეთები

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთს, კედლის გაზეთი ააშკარავებს ჩვენი დაწესებულების უარყოფით და დადებით მხარეებს, ამზადებს და რაზმავს მუშა კალმოსანთა ახალ ძალებს. მასთან კედლის გაზეთი ემსახურება წარმოების დაწესებულებების მუშა - მოსამსახურეთა კულტურულად ამაღლების საქმეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენმა კედლის გაზეთებმა თვალსაჩინო შედეგს მიაღწიეს.

მაგრამ მიღწევებთან ერთად თან ახლავს ნაკლიც. ეს ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი კედლის გაზეთი სცილდება თავის ფარგლებს და ეპოტინება ისეთ საკითხებს, რომელთა გარკვევის ძალა არ შესწევს. ისინი ათავსებენ გძელ წერილებს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ეკონომიურ საკითხებზე და სხვა.

ეს იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ყოფა-ცხოვრება უყურადღებოდ რჩება მათგან. ეს შეცდომაა. მუშებს ეს გძელი და უცხო სიტყვებით აჭრელებული წერილები არ აინტერესებს და გაზეთი მათთვის გაუგებელი რჩება. ამის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი კედლის გაზეთების ხელმძღვანელებმა. გაზეთი როგორც იტყვიან არ უნდა „გადავარდეს". საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხში არამედ მთავარი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივ საკითხებს, წარმოების ავკარგიანობას, მის ნაკლსა და მიღწევებს და მით შექმნას მუშათა საზოგადოებრივი აზრი.

აქ ხაზი უნდა გაუსვათ მეორე გარემოებასაც. კედკორთა წრეები, ყველა კედლის გაზეთებთან არ არიან ჩამოყალიბებული. აგრეთვე სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის არ არის დანაწილებული მუშაობა, ისე, როგორც ამას მოითხოვს წესი. შექმნილია ისეთი პირობები, რომ მთელ სარედაქციო კოლეგიის მუშაობას აწარმოებს ერთი ამხანაგი.

კედლის გაზეთებმა, რომ თავისი დანიშნულება შეასრულოს, ამისათვის მას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კავშირი მასსებთან. კედლის გაზეთი უნდა იყოს მასიური ორგანო, მათში უნდა თანამშრომლობდეს უმთავრესად მუშები და გლეხები.

აი, ამ პირობების დაცვით შესძლებენ ჩვენი კედლის გაზეთები, თავის დანიშნულების შესრულებას.

ჩვენ წარმოებაში და დაწესებულებაში საკმაოდ გვყავს ახალგაზრდა თანამშრომლები, რომელთაც ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა.

წარმოებაში ჩაბმული ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც მომავალი თაობა, ვალდებულია კედლის გაზეთის სისტემატიურ გამოშვებაში მიიღოს მხურვალე მონაწილეობა, არა მარტო მშრალი მუსაიფით და ლაპარაკით, არამედ საქმიანი მუშაობითაც.

აი, ყველა ის სუსტი მხარეები; რომელთა გამოსწორებაც საჭიროა ჩვენი კედლის გაზეთების ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად.

ჩვენი უახლოესი ყურადღებაც აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული.

ან. გოგიბერიძე.

როდის გველირსება კინო

(სენაკელ მუშკორისაგან)

ჩვენ ელსადგურს რომ ბედი არ სწყალობს, ეს კი ცხადია, მაგრამ რომ მთელი ზამთარი სენაკელ მუშა-მოსამსახურეებს კინო-სურათი არ გვინახავს—ესეც ცხადია.

რაშია საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სენაკში ელსადგური ასე თუ ისე მაინც მუშაობს, სინათლეს მუშათა კლუბს კინო-სურათის გასაშვებად არ აძლევს. მიუხედავათ სამპროფბიუროს და მუშათა კლუბის გამგეობის თხოვნისა მიეცათ სინათლე კლუბისათვის კინოს ასამუშავებლად—ასეთს მაინც არ აძლევენ. მოტივად მოჰყავთ ის, რომ სინათლე ქალაქს არ ყოფნისო. ამ გარემოების გამო წელს სენაკს კინოსურათი არ უნახავს.

სამპროფბიუროს და მუშათა კლუბის გამგეობის თხოვნას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და ამ გაზაფხულზე მაინც მოგვეცეს სინათლე, რომ მუშა-მოსამსახურეებს კინო-სურათი სრულებით არ გადაგვავიწყდეს.

მუშკორი ზანი.

ბამბის ქარხანაში

ბამბის დასამზადებელი ქარხნის მუშაობა ჩინებულად მიმდინარეობს. ქარხანა სრულიად დაკმაყოფილებულია ნედლი მასალით. გასულ წლის წარჩინებულმა მუშაობამ გადააჭარბა ნორმაზე და დამუშავებული იქნა ზედმეტი პროდუქცია. ასეთმა მუშაობამ საშუალება მისცა წარმოებას სამი ცვლის შექმნისა.

28—29 წლისათვის ბამბის ქარხანა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ადგილობრივი ბამბის მოსავლით. ქარხნის ადმინისტრაციას მიწერ მოწერა აქვს სამხრეთ კავკასიის კოოპერატივებთან ნედლი მასალის მიწოდების მიზნით. ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა სახ. სამეურნეო ბანკში, რათა მისცენ სუბსიდია მასალის შესაძენად.

ვ სალუქვაძე.

ორმაგი მუშაობა

თბილისის საბუღის მოლარეებს უხდებათ თითქმის ყოველ დღე 13—15 საათი მუშაობა, რადგანაც სანამ ფულის მიმღებლებს არ გაისტუმრებენ იმათ ფეხის გადადგმა არ შეუძლიათ. ამავე დროს ხსენებულ მოლარეებს გარდა ჩვეული ჯამაგირისა მეტს არ აძლევენ ზედმეტ მუშაობისათვის.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და იქნეს დაფასებულ მათი მუყაითი და კეთილ სინდისიერი შრომა.

მუშკორი—ძია-ლევან.

ფურნეში სისუფთავე დაიცავით

—„წვითა და დაგვით ნაშოვარ ფულს აძლევდა ისეთი პური ვერ მოგიტანია, რომ ადამიანმა სჭამოს"—ასე მისაყვედურებდენ ოჯახში, როდესაც ახლად მოტანილ პურისათვის დანა დაესვა და გაჭრილ პურს ზედ დასცქეროდა.

მე გაოცებით შევყურებდი. საქმის ვითარება ამ ბოლო დროს ძალიან ცუდი პური მოგვაქვს, და თან რაღაცეები ამოძვრინა პურის ნაჭრებიდან.

— აი, ეს თაგვის...

მეორე დღეს სხვა ფურნიდან მოვიტანე პური. პურს დანა გაუსვეს თუ არა, უშველებელი შავი ჭია შუაზე გაიჭრა.

მაშინ კი არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ.

საჭიროა სასტიკად აიკრძალოს მეფურნეებს ფქვილის გაუცრელად პურის დამზადება რომ სუფთა პური ცხვებოდეს.

ვეძელი.

მუშკორის შენიშვნა სინამდვილეა

2 თებერვალს. გაზ. „კომუნისტ"-ში დაბეჭდილი იყო მუშკორი ალი-ოღლის წერილი შემდეგი სათაურით: „ნათლიმამობა". იმავე შინაარსის წერილი იყო დაბეჭდილი გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ში. ეს წერილი გამოგზავნეს თბილისის საყდრის ადგილკომში გამოსარკვევად. დაინიშნა კომისია, რომელიც შეუდგა საქმის გამოძიებას. მთელი რიგი დაკითხვები ადასტურებენ მისი უცოდინარობას და მის ნათლიმამობით სამსახურში მიღებას, მხოლოდ არ ამბობს ვინაა მისი ნათლიმამა. ადგილკომის შერეული კომისიამ დაადასტურა წერილში აღნიშნულ ფაქტების სინამდვილე. ამიტომ საჭიროა მოეთხოვოს პასუხი: პირველი, ვინაა მისი ნათლიმამა, — მეორე, გადაახდევინონ ზედმეტი ხარჯები რონოდის ტყვილად გაჩერებისათვის მისივე ნათლიმამას; მესამე, მიეცეს პასუხისგებაში, როგორც მისი ნათლიმამა, აგრეთვე ის პირნიც, რომლებიც ამ ორი თვის წინად ტეხნიკურ სხდომაზე იცავდა მოქ. სირბილაძეს. სირბილაძე ისევ ადგილზეა და მისი ნათლიმამა იღიმება. ჯერი ამხ. ივანოვზეა.

მუშკორი—შავსოფლელი.

ტყავტრესტის მუშათა კლუბში

კვირას, 20 მარტს ორთაჭალის ტყავ - ტრესტის მუშათა კლუბში გაიმართა აღმოსავლეთ მემუსიკეთა (მეზურნეების) საკონცერტო საღამო.

აზიური ზურნისაგან და დოლისაგან შემდგარი კვარტეტი აქამდე ჩვენ არ გვქონია. ამიტომაც საინტერესოა ზემოხსენებული მეზურნეების დასის გამოჩენა.

ფარდა იხდება. უკრავენ „ინტერნაციონალს", ყვირალა ზურნას ბანს აძლევს ტკბილი სალამური და კლარნეტი. დასი შესდგება 12 კაცისაგან. საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან. საღამო საინტერესო იყო აგრეთვე იმითი, რომ დასის შემოქმედება არ იზღუდებოდა მხოლოდ მუსიკით; მასთან ერთად არის ცეკვა და სიმღერაც, რომელიც საღამოს აძლევს ნამდვილ აღმოსავლურ ხასიათს.

კარგი იქნება დასმა თავის რეპერტუარი უფრო განაახლოს თანამედროვე რევოლუციონურ სიმღერებით.

ტყავ - ტრესტის მუშათა კლუბის დიდი დარბაზი სავსე იყო აყარებელ საზოგადოებით, რომელმაც დასი დააჯილდოვა ხანგრძლივი ტაშით.

იგივე საღამო წარსულ ხუთშაბათს ჩატარდა აგრეთვე ავლაბრის მუშათა კლუბში, სადაც ისეთივე გამარჯვებას შეხვდა როგორც ტყავტრესტის კლუბში.

ხურენ გოგლაშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **სუსტად მუშაობს.** თბ. სადგურის ადგილკომმა კულტკომისიის მუშაობა სუსტად სცნო.

— **10 პროც. მომგებიანი სესხი.** თბილისის საყდრის ადგილკომის სადელეგატო კრებამ დაადგინა ხელი შეუწყოს ათპროცენტიან მომგებიან სესხის ობლიგაციების გავრცელებას.

— **განწესის მოგვარება.** ქ. თბილისის მუშამოსამსახურეთა საერთო კრებამ სთხოვა ადმინისტრაციას მოაგვაროს კონდუქტორთა ბრიგადის დროზე განწესის საკითხი.

— **კურსები.** საგზაო კომიტეტმა დაადგინა გახსნას მუშების დასაწინაურებლად კურსები 32 კაცისათვის.

— **საგზაო კომიტეტმა** კავშირის წესდების ადგილობრივ ენებზე გამოსაცემად გაიღო 900 მან.

— **სამკრო ბიუროები.** რკინისგზებზე უკვე დაარსდა სამკრო ბიუროები

— **სტუდენტთა სასარგებლოდ.** კვირას, ორჯონიკიძის სახ. კლუბში პროლეტარ სტუდენტების სასარგებლოდ გაიმართება საღამო.

— **სესხი „არაზინდო"- სათვის.** სანატორიუმ „არაზინდო"-ს სააღმშენებლო საჭიროებისათვის, თბილისის კომუნალურ ბანკმა გაიღო სესხის სახით 25.000 მან.

— **ორკესტრები.** საქპროფსაბჭომ დაავალა ყველა კავშირებს, რათა მიიღონ ზომები მიცვალებულთა დაკრძალვის დროს მუშათა ორგანიზაციების ორკესტრები არ იღებდენ მონაწილეობას ფასიან გამოსვლებში.

— **უმუშევართათვის.** უმუშევართათვის დახმარების მიცემის გამანაწილებელ კომისიაში ფეიქართა კავშირის ც. გ. გამოჰყო ამხ. მაგნიძე და ნარინიანი.

— **საექიმო პუნქტი.** საქპროფსაბჭოს სატარიფო განყ. სთხოვა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რათა უკანასკნელმა გახსნას ნავთლუღში საექიმო პუნქტი.

— **რადიო — ტყიბულში.** საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილება ახლო მომავალში მოაწყობს ტყიბულის მემაღაროებისათვის რადიომიმღებ აპარატს.

— **გამგის დანიშვნა.** ფოთის დამზღვევ სალაროს გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ბიქტორ ჰანტურია.

ფასების დაკლებისათვის

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეისწავლა საკითხი—პარალელიზმის შესახებ საცალო ფასების დაკლებაზე მასალების შეკრებისა და დამუშავების დარგში. ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგია ადასტურებს, რომ არსებულ პარალელიზმს მრავალი გაუგებრობა და წინააღმდეგობები შეაქვს საცალო ფასების რეალური მდგომარეობის გამორკვევაში, და ამიტომ მიზანშეწონილად სცნობს ერთ ორგანიზაციისათვის, სახელდობრ—ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსათვის, ფასების შეკრებისა და ინდექსების გამოანგარიშების საქმის დავალებას. ცნობების შეგროვება საცალო ფასების შესახებ კოოპერატიული ხაზით უნდა დაევალოს ა. კ. კოოპერატიულ კავშირს, რომელმაც თავისი მუშაობა უნდა შეუთანხმოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს და ა. კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ქსელს. ამ უკანასკნელმა, ბაზრის კონიუნქტურის გამორკვევისა და ფასების აღრიცხვის დამუშავების საქმის უკეთ დაყენების მიზნით, არანაკლებ წელიწადში ერთხელ უნდა გადაათვალიეროს თავისი პუნქტებისა და კორესპონდენტების ანკეტები, ამასთან პუნქტების არჩევა უნდა შეუთანხმოს დაინტერესებული ორგანიზაციებს, კერძოდ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი რწმუნებულებს. ამასთან ერთად ა. კ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უნდა გააფართოვოს ბაზრების დახასიათება, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას და დამზადებელთა ცალკე ჯგუფების მონაწილეობას; გაამარტივოს და შეამციროს ცნობების ფორმები საცალო ფასების შესახებ; გააუმჯობესოს კორესპონდენტთა პირადი შემადგენლობა; გააძლიეროს მათი ინსტრუქტაჟი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ საქონლის აღრიცხვას, რომლებზედაც ათი პროცენტით უნდა იქნას დაკლებული ფასები და სხვა.

ა. კ. ფინსახკომმა უნდა შესწყვიტოს საბითუმო და საცალო ფასების დამოუკიდებელი შეკრეფა და ინდექსების აღრიცხვა, გააუქმოს კორესპონდენტთა ქსელი პერიფერიებში და ცენტრში, და, ამასთან დაკავშირებით, შეამციროს საფინანსო-ეკონომიურ ბიუროს ხარჯები. ასევე მასსიური დამოუკიდებელი ცნობების შეკრეფა ფასების დაკლების შესახებ უნდა შესწყვიტოს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმაც (საოპერაციო მუშაობის გამოკვლევის გარდა).

დასასრულ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ სცნო ამ მუშაობაში ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოებთან არსებულ საკონიუნქტურო კომისიების წევრთა აქტიური მონაწილეობა და მათი შემადგენლობის გაფართოვება, ადგილობრივ ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლების მიღებით. კომისიების მუშაობას უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

წითელ ჯარში

სამხედრო წვევამდე მზადება

სახელმწიფო უნივერსიტეტის წერტი

გასულ წლებში სტუდენტები გადიოდნენ სამხედრო წვევამდე მზადებას თბილისის სხვადასხვა წერტებზე. წრეულს მათთვის დაარსებულ იქნა განსაკუთრებული წერტი სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რითაც მათ მიეცათ შეძლება უფრო ადვილად გაევლოთ მზადება.

წერტზე არსებობს ქართული და რუსული ჯგუფები, რომლებზედაც მიმაგრებულნი არიან მეცადინეობის საწარმოებლად მეთაურნი და პოლიტხელმძღვანელნი.

ამჟამად მზადებაზე მიწვეულნი არიან 1906 წელში დაბადებული სტუდენტები.

სტუდენტობა გულმოდგინეთ ეკიდება მეცადინეობას, ყველას აქვს სურვილი კარგად შეითვისოს სამხედრო საქმე და ამ დარგში არის კიდეც თვალსაჩინო მიღწევები. მათ უკვე კარგათ იციან სამხედრო წყობილება, თოფის ხმარება, შესწავლილი აქვს წესდებებიც სასროლო საქმეშიაც იჩენენ სიმარჯვეს.

პოლიტმეცადინეობაც წერტზე სდგას შესაფერ სიმაღლეზე. პოლიტსაათი ტარდება ყოველდღიურათ, მას დათმობილი აქვს 45 წუთი. პოლიტმეცადინეობის პროგრამა განვლილია მთლიანად. სტუდენტები იღებენ მხურვალე მონაწილეობას ამა თუ იმ თემის დამუშავებაში. თავისუფალ დროს იმართება საუბრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

წერტზე მოწყობილია სამხედრო კუთხე, სადაც არის სამხედრო მასალა და წიგნები. აქ ხშირად იყრიან თავს სტუდენტები, ეცნობიან სამხედრო წიგნებს, კითხულობენ სამხედრო ჟურნალებს და გაზეთებს.

გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთიც, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ რუსული და ქართული ჯგუფები.

ქ. ქვემო ჭალის წერტი

1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდობასთან მეცადინეობა დაიწყო 28 თებერვალს. წვევამდელნი გამოცხადდნენ უკლებლივ და დიდის ხალისით უდგენ მეცადინეობას.

შედარებით გასულ წლებთან მიმდინარე მზადება გაცილებით ნაყოფიერია და შედეგებიც კარგი იქნება.

ქვემო-ჭალის წერტი მისცემს ყაზარმას კარგათ მომზადებულ და შეგნებულ წითელ არმიელებს.

მეცადინეობასთან ერთად წვევამდელი ახალგაზრდები ეწევიან გლეხობისათვის სასარგებლო მუშაობას. სოფლის ახლო ჩამოდის მდინარე ლეხურა, რომელიც გაზაფხულობით დიდდება და აფუჭებს კასპის შარა გზას.

წვევამდელებმა კრებაზე გადასწყვიტეს მდინარის ნაპირის გამაგრება. ერთ დღეს ყველანი გამოცხადნენ სამუშაოდ და შეამაგრეს ნაპირი, რითაც დაიმსახურეს გლეხობის მადლობა.

ასე მუშაობენ და მეცადინეობენ მომავალი წითელი არმიელები.

ი—ა.

წყალდიდობასთან ბრძოლა

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

გასულ ზამთარში ყველა მთის მწვერვალებზე და ბევრ დაბლობებში დახდა ძალიან დიდი თოვლი. დაკვირვებებიდან ვიცით, რომ საქართველოში გაზაფხულზე ამინდმა იცის ჩქარი ცვლა, რაც იწვევს თოვლის სწრაფ დნობას და მდინარეების მოულოდნელ ადიდებას. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ვარაუდით წრევანდელი წყალდიდობა უფრო მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 1923 წლის წყალდიდობის დროს.

ამ მოსაზრებით გამომუშავებულია გეგმა ზოგიერთ მდინარეებისა და ხევების ნაპირების დროებით გასამაგრებლათ, ვინაიდან მათ საბოლოოთ გასამაგრებლათ საჭირო თანხები ამჟამად არ მოიპოვება. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია, რომელშიაც შედიან სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელნი.

კომისიას ჰქონდა რამოდენიმე თათბირი; ერთ ერთ თათბირზე გამომუშავებულ იქნა წყალდიდობასთან ბრძოლის ხარჯთ-აღრიცხვა. ეს ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ-ჯერობით ნავარაუდევია 150.000 მანეთის რაოდენობით. ამასთანავე მიღებულია დადგენილება, რომ ყველა დაინტერესებულმა უწყებებმა (ა.-კ. რკ. გზ. სამმართველო, შინ. საქ. კომისარიატი, წყალთა სამმართვ. და სხვ.) ცალ-ცალკე გამოიმუშაონ წყალდიდობასთან ბრძოლის გეგმები, რომლებიც შემდეგ უნდა წარადგინონ აღნიშნულ კომისიაში.

წყალდიდობა თელავის მაზრაში

თელავის მაზრიდან წყალთა მეურნეობის სამმართველოს ატყობინებენ, რომ მთელ რიგ მდინარეებში და ხევებში უკვე მოიმატა წყლის დონემ. განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს მდ. დურუჯი, კისისხევი, ხოდაშენის ხევი, მდ. თურდო, ორვილის ხევი და სხ.

წყალდიდობისაგან ზიანი მოელით სოფ. ყარაღაჯას, ახმეტას, ხორხილს, ხოდაშენს და სხ. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა საჩქაროთ შეუდგეს მდინარეებისა და ხევების ნაპირების გამაგრებას. ამ მიზნით ახლომახლო სოფლების მოსახლეობა გამოყვანილ იქნება სავალდებულო ბეგარის ძალით.

წყალთა მეურნეობის სამმართველომ აღუთქვა სამაზრო აღმასკომს ტეხნიკური ძალებით დახმარება.

სამაზრო აღმასკომმა შეატყობინა რკ. გზის სამმართველოს, რომ საფრთხე ელის თელავის ახლო მდებარე რკ. გზის ლიანდაგს, რის გამო საჭიროა საჩქარო ზომების მიღება.

წყალდიდობა გორში

გორი, 30 მარტი. 28 მარტს გორში ადიდდა მდინარე ფშანი, რომელმაც გადმოლახა ნაპირები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა განაპირა მცხოვრებლებს. ზოგიერთ ადგილებში წყალმა წალეკა საცხოვრებელი ბინები და ბოსტნები. დარღვეულია ჯებირი. მდ. ლიახვის ადიდების მოლოდინში სამაზრო აღმასკომმა მიიღო სათანადო ზომები. (ადს).

827.000 დესეტინის მორწყვა

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეიმუშავა ამიერ - კავკასიაში ჩასატარებელ საირიგაციო სამუშაოთა ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა. რომლითაც გათვალისწინებულია 42 საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა შესრულება.

ხუთი წლის შემდეგ, ანუ 1931 წლის ბოლოსთვის, ყველა განზრახულ სამუშაოთა დასრულებისას მიღებულ იქნება 827 ათასი დესეტინა სახნავათ გამოსადეგი მიწა.

ყველა განზრახულ სამუშაოებიდან საქართველოზე მოდის 17 სამუშაო. საქართველოში მორწყული იქნება 228.500 დეს. აზერბეიჯანში შესრულდება 14 სამუშაო — 483 ათასი დესეტინის მორწყვით და სომხეთში — 11 სამუშაო — 115.000 დესეტინის მორწყვით.

ამასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდება ბამბის სათესი სივრცის გადიდება ყველა რესპუბლიკებში დაახლოებით 108.200 დესეტინამდე. აქედან საქართველოში ბამბის სათესი სივრცე გაიზრდება 18.200 დესეტინით, აზერბეიჯანში — 78.500 დესეტინით და სომხეთში —15.500 დესეტინით.

საქონლის შემოზიდვა

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის სტატ.-ეკონომიურ სამმართველოს ცნობებით, თებერვლის განმავლობაში ამიერკავკასიაში საქონლის შემოზიდვის გეგმა შემდეგნაირად იქნა შესრულებული: შემოზიდულ იქნა მანუფაქტურა 101,6 პროც. (გეგმასთან შედარებით), შალეულობა—98,5 პროც., შაქარი—250 პროც., სამეტალურგიო ნაწარმოები—106 პროც., სილიკატები—251 პროც., ფეხსაცმელები—968.000 წყვილი, ე. ი. 461 პროც. მთლიანად ვერ იქნა შესრულებული ასანთის, ქაღალდის, ტყავის, მარილის და სხვა საქონლის შემოზიდვის გეგმა.

საქონლის შემოზიდვის გეგმა თებერვალში სრული 100 პროცენტით ვერ იქნა შესრულებული საქართველოში და სომხეთში, ხოლო აზერბეიჯანში საქონლის შემოზიდვამ დასახულ გეგმას გადააჭარბა. მაგ.: შაქარი შემოზიდულ იქნა 462,6 პროც. მეტი გეგმასთან შედარებით, სამეტალურგიო ნაწარმოები—192 პროცენტით, ხოლო ფეხსაცმელები—1062,5 პროცენტით. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და სომხეთის ბაზრებზე საქონლის ნაკლებობას არ ჰქონია ადგილი წინა თვეში დაგროვილ მარაგის გამო.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ფინსახკომს ელექტროფიკაციისათვის გადადებულ თანხის ანგარიშში აჭარის წყლის ელსადგურისათვის დამატებით გადასდოს 100.000 მანეთი, ხოლო აბაშის ელსადგურისათვის—20.000 მ.

ამხ. ა. ბანოვიჩის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარის მოადგილედ და სოცდაზღვევის სამმართველოს გამგედ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამხ. ალექსანდრე ბანოვიჩი.

საბინაო მშენებლობა

საბინაო მშენებლობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რათა ცენტრ. კომ. ბანკმა საბინაო მშენებლობისათვის კრედიტების გაცემის საქმე სავსებით გადასცეს რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკებს და მათ განყოფილებებს ადგილებზე.

სახკომსაბჭოში

ღონისძიებანი წყალდიდობის წინააღმდეგ

სახკომსაბჭომ დაამტკიცა პროექტი დადგენილებისა—გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სოფლის მოსახლეობის შრომის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

ნაფარეულის თემის საბჭოს შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა ნაფარეულის თემის საბჭოს შუამდგომლობა სოფ. ნაფარეულის მცხოვრებთათვის გადაცემული 280 დეს. ტყის ნაცვლად ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ნაკვეთის „მოსორნა"-ს მიცემის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების და აფთიაქის გახსნა ს. ნაფარეულში

სახკომსაბჭომ დაადგინა ეცნობოს ნაფარეულის თემაღმასკომს, რომ ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო თანახმაა გახსნას თემაღმასკომთან პირველი ხარისხის საფოსტო სააგენტო.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალა პირველ შესაძლებლობისთანავე გახსნას აფთიაქი სოფ. ნაფარეულში.

სავეტერინარო ზედამხედველობის დაწესება შესყიდულ ოთხფეხ საქონელზე

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ამიერ-კავკასიის ხორცით მოვაჭრე სააქციო საზოგადოების მიერ შესყიდულ ოთხფეხ საქონელზე დაწესებულ იქნეს სავეტერინარო ზედამხედველობა.

სამხედრო ფონდში ჩარიცხული ბინების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა ბინით უზრუნველსაყოფად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სამხედრო უწყებისათვის იმ შენობის გადაცემა, რაც ამ ჟამად ფაქტიურად მის განკარგულებაშია.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს პროექტი სათანადო დადგენილებისა.

სამხედრო ფონდში ჩარიცხული ბინებიდან კერძო მოქალაქეთა გამოსახლების საქმეში სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული სათანადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო წესი.

გეოდეზიური კომიტეტის დაარსება

საგეგმო კომისიის მოხსენების თანახმად, სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან დაარსებულ იქნეს გეოდეზიური კომიტეტი.

ბრძოლა სტიქიურ მოვლენებთან

რადგან საქართველოს მოსახლეობის სტიქიურ მოვლენათაგან დაზარალება ხშირია და ზარალის რაოდენობაც მნიშვნელოვანი, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად სპეციალურ ფონდის დაარსება მომავალ 1927—28 წლიდან.

ამ საკითხთან დაკავშირებით წინადადება მიეცა საქართველოს საგეგმო კომისიას შეისწავლოს ფონდის დასაარსებლად საჭირო ღონისძიებათა გამონახვისა და მისი რაოდენობის საკითხი.

საკურორტო ტყეების შემოსავლის განაწილება

საკურორტო ტყეების ექსპლოატაციისაგან შემოსული თანხის ის ნაწილი, რაც ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებს ეძლევა ყოველწლიურად, მიმდინარე 1926—27 წ. განისაზღვრება ამ შემოსავლის 30 პროცენტით.

დაევალა კომისიას ამხ. გ. მგალობლიშვილის (თავმჯდომარე), ვარძიელისა და გ. მამალაძის შემადგენლობით დაამუშაოს საკითხი მომავალ 1927—28 წლიდან საკურორტო ტყეების ექსპლოატაციისაგან შემოსულ თანხის დახარჯვის წესის შესახებ.

საუბარი ექ. გ. ელიავასთან

პარიზიდან ახლად დაბრუნებულმა ექ. გ. ელიავამ, თავის სამეცნიერო მუშაობის შესახებ პარიზში, ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი: პარიზში მე [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დავალებული მქონდა მუშაობა ჰიგიენის დარგში.

უმთავრესი მიზანი კი ჩემი პარიზში გამგზავრებისა იყო პასტერის ინსტიტუტში ბაქტერიოლოგიის დარგში მუშაობა. მუშაობის საგანს შეადგენდა—ფილტრში გამტარ სეილ ვირუსების (ულტრა-მიკროსკოპიული ბაქტერიები) შესწავლა.

ამ ვირუსებიდან ყველაზე უფრო საინტერესოა ბაქტერიოფაგი (ე. ი. ბაქტერიების მჭამელი), რაც აღმოაჩინა ფრანგმა მეცნიერმა ფელიქს დერელმა. ამ ვირუსს უსათუოდ ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან უკვე გამორკვეულია, რომ ბაცილიარული დიზენტერია იკურნება ბაქტერიოფაგის შეშხაპუნებით ავადმყოფის სხეულში.

ამასთანავე მე სპეციალურად ვმუშაობდი პროფ. ლუუარდენ-ბომეცთან შავი ჭირის საწინააღმდეგო ბაქტერიის შესწავლაზე და იმედი მაქვს, რომ ამ მუშაობას დავამთავრებ საქართველოში.

საფრანგეთში ყოფნის დროს მე დავსწერე ფრანგულ ენაზე სპეციალური თავი ბაქტერიოფაგების შესახებ, რაც შეტანილ იქნა ბაქტერიოლოგიის სახელმძღვანელოში. ამასთანავე საფრანგეთის ბიოლოგიურ საზოგადოებაში გავაკეთე ორი მოხსენება ბაქტერიოფაგის და ულტრა-ფილტრაციის შესახებ.

შავი ქვის მრეწველობის

სამმართველოს ლიკვიდაცია

გუშინ თბილისში დაბრუნდა სამთო მრეწველობის ტრესტის მმართველი ამხ. ბორკონი, რომელიც გამგზავრებული იყო დასავლეთ საქართველოში (ჭიათურა-შორაპანი-ფოთი) ყოფ. შავი ქვის სამმართველოს სალიკვიდაციო საქმეების მისაღებად. ამხ. ბორკონმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ პირველი ზომები შავი ქვის სამმართველოს სალიკვიდაციოთ გამოიხატა შემდეგში:

სამმართველოს არსებული შტატი, როგორც ჭიათურაში, აგრეთვე შორაპანში და ფოთშიც 23 კაციდან შემცირებულ იქნა 14 კაცამდე. მთელი საქმეების ლიკვიდაცია მოხდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გასაღებულ იქნება ამოღებული შავი ქვის მთელი მარაგი, რომელიც ნაწილობრივათ ჭიათურაშია, ხოლო ნაწილი შორაპანში და ფოთში.

შავი ქვის რეალიზაცია უნდა მოხდეს კონცესიონერის საშუალებით, ხოლო რა პირობებში იკისრებენ ამერიკელები ამ მარაგის ბაზარზე გატანას—ეს ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, სამთომრეწველობის ტრესტის გამოანგარიშებით ყოფ. სამმართველოს ის შტატი, რომელიც ამჟამად არის არ დააწვება მძიმე ტვირთად სახელმწიფოს, ვინაიდან აპარატზე გაწეული ხარჯები თითო ფუთ მადანზე მოდის მხოლოდ 0,325 კაპეიკის რაოდენობით.

ყველა საქმეების მიღება ყოფ. სამმართველოდან დასრულდება პირველი აპრილისათვის.

საგეგმო კომისიაში

ოთხფეხი საქონლის დაზღვევის შესახებ

საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნა—ოთხფეხი საქონლის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის განაკვეთების გადასინჯვის შესახებ მოწონებულ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ და წარედგინა ცაკ-ს დასამტკიცებლად.

ვენახების მავნებლებთან

ბრძოლა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობის განყოფილებამ ქალ. დარმშტატიდან (გერმანია) მიიღო ვენახების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველათ სხვადასხვა ახალი ქიმიური პრეპარატები. პრეპარატები გამოწერილი იყო მერკის ფირმისაგან და მიწათმოქ. კომისარიატში მიღებული ცნობებით ეს ქიმიური წამლები წარმოადგენენ უებარ საშუალებას ვაზის მავნებლების მოსასპობათ.

მევენახეობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს ამ წამლების გამოცდა და მათი დოზების შემოწმება საქართველოს პირობებთან შეფარდებით. თუ გამოცდამ კარგი შედეგები გამოიღო, მომავალი წლიდან შეუდგებიან მავნებლებთან ბრძოლის ფართო კამპანიის ჩატარებას ამ ქიმიურ პრეპარატების საშუალებით.

კერძო საბავშვო ბაღები და საბავშვო ჯგუფები

განათლების სახალხო კომისარიატმა კერძო საბავშვო ბაღებისა და ჯგუფების შესახებ დაადგინა: 1) დაიხუროს თბილისში არსებული კერძო საბავშვო ბაღები და ჯგუფები, რომლებიც სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელში არ შედიან და კომისარიატის ნებადაურთველათაა გახსნილი; 2) დაევალოს თბილისის განათლების განყოფილების გამგეს აიყვანოს აღრიცხვაზე მუშებისა და პროფკავშირების წევრთა შვილები, რომლებიც სწავლობენ აღნიშნულ ბაღებსა და ჯგუფებში და მოაწყოს ისინი სათანადო სასწავლებლებში; 3) სახელმძღვანელო პრინციპად იქნას მიჩნეული, რომ სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში სწავლა აუცილებლად სწარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს სასკოლო ჰასაკის ბავშვები. აკრძალულ იქნას ბავშვებისათვის გაუგებარ ენაზე სწავლება ხსენებულ დაწესებულებებში; 4) განათლების განყოფილებას მიეცეს უფლება ნება დართოს პროფესიონალურ კავშირებს და ორგანიზაციებს, თუ კი ეს უკანასკნელი მოისურვებენ, გახსნას კერძო საბავშვო ბაღები და ჯგუფები კოოპერატიულ ნიადაგზე, იმ აუცილებელი პირობით, რომ ხსენებული ბავშვები და ჯგუფები შეტანილ იქნას განათლების განყოფილების დაწესებულებათა საერთო ქსელში და სწავლა მათში სწარმოებდეს კომისარიატის კონტროლით და ხელმძღვანელობით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ისააკ ნიუტონი

(გარდაცვალებიდან წ. შესრულების გამო)

1927 წლის 31 მარტს სრულდებ წელიწადი გენიალური მათემატი და ბუნებისმეტყველის—ისააკ ნი ნის გარდაცვალების შემდეგ. ხა ლივი ვადა, რომელიც ამ დიადი მე რის მოღვაწეობის ეპოქიდან გავიდ შუალებას გვაძლევს მისი შემოქმედ ნაყოფი სრული ობიექტივობით შე სოთ.

ნიუტონი დაიბადა 5 იანვარს წელს სოფელ ვულსტორპში, ქა გრენტჰემთან ახლოს (ინგლისში). მა სი პატარა ფერმის პატრონი, გარდაი ლა თავის შვილის დაბადებამდე რა დენიმე თვით ადრე. დედა მისის ო ბით, ნიუტონი მომავალში მათ პატ მამულში ფერმერად უნდა გამხდარი

ნიუტონი დადიოდა ქ. გრენტჰე სკოლაში და პირველ ხანაში არ იჩენ არც უნარს, არც ინტერესს სასკოლ მეცადინეობისადმი. სამაგიეროდ ის ტაცებული იყო სხვა და სხვა მექანიკუ ხელსაწყოების დამზადებით, როგორ არის წისქვილები, მზის და წყლის საათ ბი, წისქვილის ბორბლები და ა. შ. არ ამხანაგებთან თამაში უყვარდა მას. ერ თხელ, ნიუტონის ერთმა ამხანაგმა, რო მელიც მასზე უკეთ სწავლობდა, გვარი ნად გალახა იგი ჩხუბის დროს. შური ძიების სახით, ნიუტონმა გადასწყვიტ აჯობოს ამ ამხანაგს სწავლაში, რადგა ფიზიკური სისუსტის გამო, ჩხუბში გა მარჯვება არ შეეძლო. მიუხედავად იმი სა, რომ აქამდე ნიუტონი ძალიან ჩამო რჩენილი იყო სწავლაში, მან ძალია სწრაფად მიაღწია ერთხელ დასახულ მი ზანს.

14 წელიწადი, რომ შეუსრულდა ნიუტონს, მან მოჰკიდა ხელი დედა მისის მამულის მეურნეობას. მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა, რომ მას არ ქონდა არავითარი პრაქტიკული უნარი, რომელიც საჭიროა ამგვარი საქმისათვის. მისი ბიძის რჩევით, რომელმაც აგრეთვე შესაფერისი მატერიალური დახმარება გაუწია მას, ნიუტონი ხელ-ახლა დაბრუნდა გრენტჰემის სკოლაში.

17 წლის ის შევიდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც გატაცებით სწავლობდა მათემატიკას თანამედროვე და ძველი ავტორების საშუალებით. უკვე იქ გამოიჩინა მან გენიოსისათვის დამახასიათებელი აზრთა ორიგინალობა და დამოუკიდებლობა. სტუდენტობის დროსვე აღმოაჩინა მან დებულება, რომელსაც ეხლა „ნიუტონის ბინომი" ეწოდება. სტუდენტობის ამავე ხანაში ნიუტონი საყოველთაო მიმზიდველობის საკითხზედაც ფიქრობდა.



რიჯის უნივერსიტეტში მათემა ისააკ ბაროუ ასწავლიდა, რო მაც დიდი გავლენა იქონია ნიუტო ეცადინეობაზე და მის მსოფლ ველობის ჩამოყალიბებაზე. 1669 წ. ონმა მიიღო მათემატიკის კათედ რომელიც მას ბაროუმ დაუთმო. წ. ის იყო არჩეული კემბრიჯის რსიტეტის წარმომადგენლად კონ ი, მაგრამ არავითარ მონაწილეო ღებდა კამათში არც მაშინ, არც გში, როდესაც ის პარლამენტის ი იყო; ეს არის ნიუტონის ხასია თ-ერთი ძირითადი თვისების შე რომელსაც ქვემოდ კვლავ შევე

წლამდე ნიუტონი კმაყოფილ საპროფესორო მცირე ჯამაგი რომელიც ძლივს ყოფნიდა მას. მისი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დაინიშნა ზარაფხანის ზედამხედველად და შემდეგში (1699 წ.) ამავე დაწესებულების გამგედ.

ამ დროიდან დაწყებული ნიუტონი დაკარგულია მეცნიერებისათვის. თუმცა 1701 წლამდე ის მაინც ითვლებოდა კემბრიჯის უნივერსიტეტში პროფესორად, მაგრამ არაფერს აღარ ასწავლიდა და აგრეთვე არც ერთი არსებითი გამოკვლევა არ მოუხდენია; 1696 წლის შემდეგ ეს გარემოება ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ სახელმწიფო სამსახური მას ბევრ დროს ართმევდა, ნაწილობრივ კი იმით, რომ დაახლოვებით იმავე ხანაში ნიუტონმა გადაიტანა მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც მასში დროებითი ფსიქიური შერყევაც გამოიწვია; ეს ავადმყოფობა დაკავშირებული იყო უბედურ შემთხვევასთან, როდესაც დაიწვა მისი ძვირფასი ნაწერების ნაწილი.

1703 წელს ნიუტონი არჩეული იყო ლონდონის „სამეფო საზოგადოების" თავმჯდომარედ, და ამის შემდეგ ეს არჩევა მის სიკვდილამდე ყოველ წელს მეორდებოდა. ნიუტონი გარდაიცვალა 31 მარტს 1727 წელს, და დამარხულია ვესტმინსტერის სააბატოში, სადაც დამარხულია ინგლისის ყველა დიდი მოღვაწენი. ნიუტონის ძეგლზე ჩამოთვლილია მისი უმთავრესი მიღწევები.

ნიუტონის ხასიათის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო თავისი აზრის საჯაროთ გამოთქმის სიძულვილი. ეს თანაბრად ვრცელდებოდა, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე მეცნიერულ აზრებზე. აი, ერთი ძალიან დამახასიათებელი მაგალითი, რომელსაც არაგო მოგვითხრობს. 1714 წელს ნიუტონი მოწვეული იყო პარლამენტის კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა აზრის გამოთქმა ბილის (კანონის) შესახებ, რომელიც ეხებოდა გრძედების განსაზღვრას ზღვაზე. ნიუტონმა თავისი აზრი წერილობით წარმოადგინა. კომისიის რამოდენიმე წევრმა შეკითხვებით მიმართეს ნიუტონს, მაგრამ იგი გაჩუმებული იჯდა. მაშინ უისტონმა, (კომისიის ერთ-ერთ წევრმა) რომელიც ნიუტონის უკან იჯდა, წამოიძახა: „ბატონ ნიუტონს ეჯავრება თავისი აზრის გაზიარება, მაგრამ შემიძლიან ვსთქვა, რომ ის ბილის აზრის არის". მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ ნიუტონმა ხმა ამოიღო და... გაიმეორა უისტონის მიერ ნათქვამი. ბილი მიღებულ იქნა.

ნიუტონის ხასიათის ხსენებულ თვისებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ის თავის მეცნიერულ გამოკვლევებს დიდი დაგვიანებით აქვეყნებდა და ხშირად, მხოლოდ მეგობრების დაჟინებითი თხოვნის გამო.

საზოგადოდ, ნიუტონი ძალიან მორიდებული ადამიანი იყო, მაგრამ მაინც თავისი თავის ფასი კარგად იცოდა. გავრცელებულია ამის წინააღმდეგი აზრი, რომლის დასამტკიცებლად ნიუტონის შემდეგი სიტყვები მოჰყავთ ხოლმე: „არ ვიცი, თუ როგორი ვარ სხვების აზრით; მე კი ჩემი თავი მიმაჩნია ბავშვად, რომელიც ზღვის პირად თამაშობს, და ხარობს, როდესაც მას მოუხდება გლუვი ქვის ან არაჩვეულებრივი სახის ლოკოკინის აღმოჩენა; ჭეშმარიტებათა უზომო ოკეანე კი ჩემს თვალწინ გამოუკვლეველი რჩება".

მაგრამ ეს სიტყვები, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ნიუტონი, როგორც ყოველი ნამდვილი მეცნიერი, კარგად გრძნობდა ადამიანის აზრის უძლურობას არ აღმოჩენილ ჭეშმარიტებათა ოკეანეს წინაშე.—ამ უძლურობას ყოველი მეცნიერი გრძნობს მით უფრო, რაც მეტ საკითხებს ეხება იგი თავის გამოკვლევების დროს...

აქ არ გვაქვს საშუალება ყველა ის განძები დავასახელოთ, რომელიც აჩუქა ნიუტონმა კაცობრიობას. ჩვენ შევეხებით მხოლოდ უმთავრესებს.

დავიწყოთ საყოველთაო მიმზიდველობის კანონის აღმოჩენიდან და მასთან დაკავშირებული თეორიულ მექანიკის შექმნიდან. უკვე დაახლოვებით 1666 წ. ნიუტონს ჰქონდა აზრი, რომ მთვარე, რომელიც დედა-მიწის გარშემო ბრუნავს, მოძრაობს იმავე კანონს ემორჩილება, როგორც ქვა, რომელიც დედა-მიწაზე ვარდება. მაგრამ გამოთვლებმა, რომლებიც მან თავის თეორიის დასამტკიცებლად მოახდინა, არ დააკმაყოფილა ის: ფაქტების და თეორიის შორის განსხვავება ნამეტნავად დიდი აღმოჩნდა. ამ გარემოების მიზეზი ის იყო, რომ მაშინ დედა-მიწის რადიუსის სიგრძე არ იყო ცნობილი საკმარისი სიზუსტით; ეს რადიუსი კი ნიუტონის ფორმულებში შედიოდა.

მხოლოდ 16 წლის შემდეგ, ე. ი. 1682 წელს, ნიუტონს მოუვიდა ცნობა, რომ ჟაკ პიკარის გამოკვლევების მიხედვით, დედა-მიწის რადიუსის სიგრძე არსებითად განსხვავდება იმ სიდიდისაგან, რომელიც მანამდე იყო მიღებული.

ნიუტონმა მაშინვე გაიმეორა თავისი გამოთვლები და სავსებით დარწმუნდა თავისი აზრის ჭეშმარიტებაში.

ამბობენ, რომ ნიუტონი ისე ღელავდა, რომ თავისი გამოთვლების დამთავრება ვერ შესძლო და იძულებული გახდა მეგობრისათვის ეთხოვა ამ სულ მარტივი გამოთვლების დამთავრება.

ამნაირად წარმოიშვა საყოველთაო მიმზიდველობის კანონი, რომელიც გვეუბნება, რომ ბუნების ყოველივე ორი სხეული იზიდავს ერთმანეთს ძალით, რომელიც მასების ნამრავლის ტოლფარდია და მანძილის კვადრატის უკუტოლფარდია.

ჩვენ ვხმარობთ აქ სიტყვებს „მასა", „ძალა", რომელნიც ეხლა სრულიად ჩვეულებრივი და გასაგები სიტყვებია, მაგრამ ნიუტონის დროს ეს ასე არ იყო. კერძოდ, მასის ცნება სწორედ ნიუტონის მიერ არის შემოღებული. აგრეთვე მხოლოდ ნიუტონმა მისცა ძალის ცნებას ის შინაარსი, რომლითაც იგი იხმარება თანამედროვე მექანიკაში. ნიუტონმა აღმოაჩინა აგრეთვე კანონი, რომლის მიხედვით მოძრაობს სხეული მოცემული ძალის ზეგავლენით. ერთი სიტყვით, ნიუტონმა, საყოველთაო მიმზიდველობის აღმოჩენასთან ერთად, შექმნა მეცნიერება, რომელიც მრავალ ფიზიკურ მეცნიერებას საფუძვლად უდევს—თეორიული მექანიკა. ეს არის ნიუტონის ერთ-ერთი უდიდესი ღვაწლთაგანი. სახე, რომელიც მისცა ნიუტონმა თეორიულ მექანიკას იმდენად სრულია, რომ ამ 260 წლის განმავლობაში ნიუტონის პრინციპები, ამა თუ იმ სახით საფუძვლად უდევს მექანიკის ყოველ კურსს. ინგლისურ ზოგიერთ თანამედროვე საუკეთესო სახელმძღვანელოში ნიუტონის პრინციპები იმავე სახით არის გადმოცემული, როგორც ეს თვით ნიუტონს ჰქონდა.

მექანიკის ძირითადი პრინციპების შექმნის შემდეგ დარჩა მხოლოდ მათი გამოყენება ფიზიკურ სხეულების მოძრაობის შესასწავლად; ეს უკვე წმინდა მათემატიკის საქმეა. თვითონ ნიუტონმა დაწვრილებით შეისწავლა ცდომილების (პლანეტების) და კომეტების მოძრაობანი. კერძოდ, მან დაამტკიცა, რომ პლანეტების მოძრაობის ის კანონები, რომლებიც კეპლერმა აღმოაჩინა, აუცილებელი შედეგია საყოველთაო მიმზიდველობის კანონისა და რომ კეპლერის კანონები ერთგვარ შესწორებას მოითხოვენ.

ამას გარდა, ნიუტონმა გამოიკვლია ზეციური მექანიკის სხვა მრავალი პრობლემები და ახსნა ბევრი, მანამდე აუხსნელი მოვლენები, როგორც არის წაზღვავება და მოზღვავება (მთვარის მიმზიდველობის გამო) პროცესი, მთვარის მოძრაობის თვისებანი.

ზემოხსენებული გამოკვლევები ნიუტონს არ გამოუქვეყნებია 1687 წლამდე; მხოლოდ მისი მეგობრის, ასტრონომის ჰალეის (რომლის სახელს ერთ-ერთი ცნობილი კომეტა ატარებს) დაჟინებით თხოვნის შემდეგ, ნიუტონმა გამოსცა თავისი უკვდავი წიგნი, „ბუნების ფილოსოფიის მათემატიკური საფუძვლები", სადაც სისტემატიურად გადმოცემულია მექანიკის პრინციპები და მათი ზემოხსენებული გამოყენებანი ზეციურ მექანიკისათვის.

ნიუტონის მექანიკა თანდათანობით განმკვიდრდა მთელ მეცნიერებაში. მექანიკის განვითარება მე-18 და მე-19 საუკუნეებში ამ პრინციპების სრულ ტრიუმფს წარმოადგენს. ამას მოჰყვა მექანიკის გამოყენება ფიზიკის სხვადასხვა დარგებისათვის, როგორც არის მაგალითად, დრეკადობის თეორიის გამოყენება სინათლის მოვლენების ასახსნელად (დრეკადი ეთერის თეორია, შექმნილი ფრენელის მიერ). ამ ტრიუმფით აიხსნება ის რწმენა, რომელიც წარსულ საუკუნის თითქმის ბოლომდე იყო გავრცელებული, ვითომ ნიუტონის მექანიკა ერთად-ერთი საფუძველია მთელი ბუნებისმეტყველებისათვის და, რომ ბუნების ყველა მოვლენების ახსნა ნიუტონის მექანიკის საშუალებით—უკანასკნელ იდეალს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს აზრი ნამეტნავად ცალმხრივია, და ამჟამად ძნელად მოიძებნება მეცნიერი, რომელიც ამ აზრს იზიარებდეს.

უნდა დაუმატოთ, რომ ამ უკანასკნელ დროს (1905 წლიდან) გამოირკვა, რომ ნიუტონის კანონები—მხოლოდ დაახლოვებითი კანონებია, რომ მექანიკური მოვლენები გაცილებით უფრო რთულ კანონებს ემორჩილება. მე მაქვს აზრად ეინშტეინის მიერ წარმოშობილი ფარდობითობის (რელატივობის) თეორია. ამ თეორიამ ღრმა გადატრიალება მოახდინა ჩვენს წარმოდგენებში ისეთ ძირითად ცნებების შესახებ, როგორც არის „დრო", „სივრცე", „მასა". ეინშტეინის თეორიამ ბევრი ისეთი მოვლენები ახსნა, რომლებსაც ნიუტონის მექანიკა ვერ ხსნიდა. აქამდე ახალი თეორიის ყველა შედეგები, რომლების ექსპერიმენტალური შემოწმება შესაძლოა, —ბრწყინვალეთ გამართლდა. ამ ბოლო დროს გავრცელებული ხმები, ვითომ დეიტონ-მილერის ცდებმა უარყვეს ეინშტეინის თეორია, როგორც ჩანს გაუგებრობაზეა აგებული.

მაგრამ, არ უნდა გვეგონოს, რომ ეინშტეინის თეორიამ გააბათილა ნიუტონის მექანიკის მნიშვნელობა, ან დაამცირა ნიუტონის ღვაწლის ღირებულება. ეს სრულიად შემცდარი შეხედულება იქნებოდა. ჯერ ერთი ის, რომ მხოლოდ ნიუტონის მექანიკის დამუშავების შემდეგ შესაძლო გახდა ისეთი რთული თეორიის შექმნა, როგორიც არის ეინშტეინის თეორია. პირველი რომ არ ყოფილიყო, მეორეც არასოდეს არ იქნებოდა. მეორე მხრივ, თუნდაც განსხვავება ეინშტეინის და ნიუტონის მექანიკის შორის პრინციპიალურად ძალიან დიდია მაინც პრაქტიკულად, ტეხნიკურ გამოყენებისათვის (და აგრეთვე ზეციურ მექანიკის უმეტეს საკითხებისათვის) ეს განსხვავება იმდენად მცირეა, რომ მისი ექსპერიმენტალური აღმოჩენაც თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც ნიუტონის მექანიკა მუდამ, ან ყოველ შემთხვევაში დიდხანს, დარჩება, როგორც ტეხნიკური მექანიკის საფუძველი, და აგრეთვე როგორც აუცილებელი გარდამავალი საფეხური უფრო ზუსტი მექანიკის შესწავლისათვის.

ნიუტონის მეორე დიდი ღვაწლი არის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვების შექმნა. მაგრამ, აქ ნიუტონთან ერთად, მეორე დიდი მათემატიკოსი (და ფილოსოფოსი) უნდა დავასახელოთ, სახელდობრ ლეიბნიცი, რომელმაც, ნიუტონისაგან დამოუკიდებლად, იმავე მიზანს მიაღწია.

იმას, რასაც ეხლა დიფერენციალურ აღრიცხვას ვუწოდებთ, ნიუტონი „ფლუქსიათა აღრიცხვას" უწოდებდა. ამ აღრიცხვის საფუძვლები ნიუტონმა აგრეთვე დახლოვებით 1666 წ. ჩაუყარა. ამ აღრიცხვის ძირითადი აზრი ის არის, რომ ყოველგვარ ცვალებად სიდიდეს („ფლუენტი") ნიუტონი იხილავს, როგორც დროის ფუნქციას. „ფლუენტის" ცვალებადობის სისწრაფეს ნიუტონი უწოდებს „ფლუქსიას". თანამედროვე ტერმინოლოგიით, ეს არის „ცვალებადის წარმოებული დროით".

აღსანიშნავია, რომ ნიუტონი, რომელმაც იმდენი რამ შექმნა თავისი „ფლუქსიათა აღრიცხვის" საშუალებით, თითქმის სრულიად არ იყენებს მას ზემოხსენებულ წიგნში („ბუნების ფილოსოფიის მათემატიკური საფუძვლები"). უეჭველია, რომ ნიუტონმა მოიხმარა ეს აღრიცხვა წიგნის შედგენის დროს, მაგრამ მერმე ყველა დამტკიცებებს ისეთი სახე მისცა, რომ „ფლუქსიების" კვალი აღარ ჩანს.

ნიუტონმა თავისი აღრიცხვა გამოაქვეყნა დიდი დაგვიანებით, თუნდაც მას დიდხანს შენახული ქონდა დასაბეჭდად უკვე დამზადებული წერილები ამის შესახებ. მხოლოდ ზემოხსენებულ წიგნში (1687) მოყვანილია ზოგიერთი დებულება, რომლებიც ამ აღრიცხვასთან არის დაკავშირებული. სიტყვა „ფლუქსია" მაინც არც კი არის მოხსენებული.

ამ დროის განმავლობაში ლეიბნიცმა, რომელმაც საკითხს სხვა თვალსაზრისით მიუდგა, გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევანი ამ დარგში. (სხვათა შორის, თანამედროვე აღნიშვნები დიფერენციალისა და ინტეგრალისა შემოღებულია ლეიბნიცის მიერ 1675 წელს).

1699 წლიდან გაიმართა სასტიკი, სიძულვილი სავსე, კამათი ლეიბნიცის და ნიუტონის მომხრეებს შორის ხსენებული აღრიცხვების აღმოჩენის პრიორიტეტის შესახებ. თვით ნიუტონი, უშუალოდ არ ღებულობდა მონაწილეობას ამ სამწუხარო კამათში. ეს კამათი დიდხანს გრძელდებოდა და გათავდა კომისიის არჩევით (ლონდონის სამეფო საზოგადოების შემადგენლობიდან), რომელსაც უნდა გამოერკვია ეს საკითხი. კომისიის დასკვნა ნიუტონის სასარგებლოდ იყო, ეს დასკვნა მიღებულ იყო მეცნიერთა დიდ უმრავლესობის მიერ, როგორც ჭეშმარიტება, და დიდხანს უდავოდ ითვლებოდა. მხოლოდ მე-19 საუკუნეში დამტკიცებული იყო ლეიბნიცის აღმოჩენის დამოუკიდებლობა ნიუტონისაგან. აღსანიშნავია, რომ კამათის სიმწვავის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ნიუტონი და ლეიბნიცი სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნოდნენ, რომელთა შორის მაშინ დიდი სიძულვილი არსებობდა.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ნიუტონის მხოლოდ ორი უდიდესი მიღწევა.

ამას გარდა ნიუტონმა დიდი გავლენა იქონია ფიზიკის სხვა დარგებზე, განსაკუთრებით ოპტიკაზე, მაგრამ ამას აქ აღარ შევეხებით.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი.

ქრონიკა

პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო

მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ პინკევიჩისაგან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო შემდეგი შინაარსის სამძიმრის დეპეშა.

„მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტი გიცხადებთ ღრმა მწუხარებას მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც ეწია თქვენს უნივერსიტეტს პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალების სახით“.

ამასთანავე მიღებულია სამძიმრის დეპეშები ლანჩხუთის ყოფილ სტუდენტებისა და დიდი-ჯიხაიშის განათლების მუშაკთა კავშირისაგან.

იურიდიული კვლევა - ძიების საზ-ბა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ - ეკონომიურ ფაკულტეტთან დაარსდა —იურიდიული კვლევა - ძიების საზოგადოება.

გამგეობაში არჩეული არიან დოცენტი—ლ. ანდრონიკაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე და ლექტორები: ზ. ნანეიშვილი, სურგულაძე და რცხილაძე.

სოცდაზღვევის კამპანია

სოცდაზღვევის კამპანია თბილისში უკვე დაიწყო. წარმოება-დაწესებულებებში იმართება მუშა-მოსამსახურეთა კრებები, რომელზედაც კეთდება საანგარიშო მოხსენებები დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილებისა და დაზღვევ სალაროს მუშაობის შესახებ. დღეს კამპანიის ჩასატარებლად შესდგება: სახალხო კვების კავშირის წევრთა კრება პროფკავშირთა დარბაზში—საღამოს 7 საათზე; „წითელ არმიელის“ სტამბაში—ამავე სტამბის მუშათა კრება ნაშუადღევის 4 საათზე და პლეხანოვის პროსპექტის მეეზოვეთა კრება დილის 10 საათზე, მეეზოვეთა კლუბში.

თბილისის ალმასკომში

◆ **სასადილო უმუშევართათვის.** თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა თბილისში ახლო ხანში გახსნას სასადილო უმუშევართათვის.

◆ **დანიშვნები.** ამხ. გავაშელი დაინიშნა ფასების მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარეთ და საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეთ საფინანსო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან განთავისუფლებით.

◆ **მანგლისის ელექტრო-სადგურის** ასაგებათ ალმასკომმა გადასდო 2.233 მანეთი.

◆ **მუშა-მოსამსახურენი,** უღარიბესი მოქალაქენი და სოცუზრუნველყოფის კომისარიატის აღრიცხვაზე მყოფი ინვალიდები განთავისუფლებული არიან შეფასებითი გადასახადისაგან 3-დან 5 მანეთის ფარგლებში.

◆ **ელბაქიძის აღმართის** გასაფართოებლად ალმასკომმა გადასდო 7.000 მ.

◆ **ავეჯეულობის ქარხანა** ალმასკომის დადგენილებით აგებული იქნება დიდუბეში, მაუდის ქარხნის უკან. ქარხნისათვის გამოყოფილი იქნა 55.000 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი.

◆ **თრიალეთის თემალმასკომის** თემის საჭიროებისათვის დამატებით მიეცა 260 მან.

◆ **დაგეგმვა.** ალმასკომმა გადასწყვიტა დაგეგმოს მუშტაიდის ბაღი, მისი კეთილმოწყობის მიზნით.

რემედასში

◆ **სამაზრო საქალაქო კონფერენცია.** შაბათს, 2 აპრილს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება რემედასის მე-3 სამაზრო-საქალაქო კონფერენცია.

◆ **წევრთა რაოდენობა.** რემედასის წევრთა რაოდენობა მარტო თბილისში და მის მაზრაში აღწევს 20.928-მდე.

◆ **შეფობა.** რემედასის თბილისის ორგანიზაციამ მიიღო შეფობა ალჟირის ციხეებში მყოფ პოლიტპატიმრებზე.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ქინაქინა.** აჭარისტანში გადაიგზავნა 100 კილო ქინაქინა.

◆ **გადამდებ სენებთან ბრძოლის** გასაძლიერებლად ჯანსახკომი აწყობს მოძრავ საექიმო რაზმებს.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **კაკლის ხის ექსპორტი.** ამიერ-კავკასიის სახალხო ვაჭრობის სამმართველომ უცხოეთში გასატანად დაამზადა 150 ტონა კაკლის ხე.

◆ **საქონელის მიღება.** ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის სამმართველომ უცხოეთიდან მიიღო 12.400 ფუთი სხვადასხვა საქონელი, უმთავრესად სას.-სამ. იარაღები.

◆ **სეპარატორები.** ამ დღეებში უცხოეთიდან მიღებული იქნება დიდძალი სეპარატორები (რძის ნაწარმოებთა დამამზადებელი მანქანები).

◆ **ხალიჩები.** ოსმალეთში გაიგზავნა 75 შეკვრა ხალიჩები.

კრებები და მოხსენებები

— **თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში** დღეს, საღამოს 8 საათზე სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში (ევანგულოვის ქ. № 12) შესდგება საზოგადოების საგანგებო კრება.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს, 31 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მომუშავეთა სექციიდან:** ნ. გიორგაძე, ქ. ბულაძე, ზ. ლამაძე და ა. იმედაშვილი.

რკინის გზელთა სექციიდან: ა. დემუროვი, ქ. ეპანჩიცევი, ლ. ამაშუკელი, ი. პორფირიონოვი, ა. ვაისტბანდი, პ. ნიკურაძე, ბ. ჩუბაროვი, გ. მაკაროვი, პ. კოტლომონოვი, რ. ბეგიევი, შ. გუდაძე, გ. ზავგოროდნი, ი. მატვეენკო, ვ. იმედაშვილი და ა. ხიდაშელი.

შემთხვევები

◆ **ცეცხლი.** 29 მარტს ფოთხიანის ქ. № 5 სიმანტია აივაზიშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ **შეპყრობა.** 29 მარტს ქურდობისათვის დააპატიმრეს ალექსანდრე ნალბანდიშვილი.

◆ **დაჭრა.** 29 მარტს მოქ. ივანე ბერლინმა დანით დასჭრა ემილ კუხმანი. დამნაშავე დაპატიმრებულია.

◆ **სოფელ იმერაში** ქურდობისათვის დააპატიმრეს აბრამ ზაცუკატოვი.

◆ **სოფ. თაზაკენტში** მოქ. სოინ ასან-ოღლის დაჭრისათვის შეიპყრეს ვალი სოინ-ოღლი.

◆ **სახაზინო ფულების** გაფლანგვისათვის შეიპყრეს საბჭოთა სავაჭრო ფლოტის კანტორის აგენტი ბერნაზედ ფელშტეინი.

◆ **ყარაიაზის ბამბის** საწმენდ ქარხნიდან სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ალექსი შამატლაევი.

◆ **სოფ. აგტაგლიაში** ცხვრების მოპარვისათვის დააპატიმრეს ბარამ დილიანჩი-ოღლი.

◆ **ქურდობა.** 29 მარტს რტიშჩევის ქ. № 9 გაქურდეს იულია მახოვსკის ბინა.

— ამავე დღეს შელკვნიკოვის ქ. № 6 გაქურდეს გაიანე კალრამანოვის ბინა.

ახალი სახელმწიფო სესხი

ხელისმოწერა 1927 წლის სახელმწიფო სესხზე თბილისის წარმოება-დაწესებულებებში წარმატებით მიმდინარეობს. კამპანიის პირველსავე დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 8.125 მანეთის ობლიგაციებზე, „კრასნი ვოინის“ სტამბაში—1.275 მან., კავკასიის წითელდროშოვან არმიის ლიტოგრაფიაში—500 მან., არმიის შტაბის სტამბაში—825 მან., ალმასკომის მეორე სტამბაში—425 მან., „ზაკოტპრომტორგ“-ში—1.105 მან., „ზაკავტომპრომტორგ“-ის გარაჟში—1.525 მან., „ხლებოპროდუქტ“-ში—460 მან., საკავშირო სოფლიქრო სინდიკატის ა. კ. განყოფილებაში—1.060 მან., „ზაკსოიუზ“-ში—700 მან.

ხელისმოწერის მიღება სომხეთში რამოდენიმეთ დაგვიანდა. ამჟამად ხელისმოწერა წარმატებით მიმდინარეობს; 25 მარტისათვის ხელისმოწერა ერევანში მიღებული იქნება 28.000 მანეთის ობლიგაციებზე. აქედან 65 პროც. მოდის კოლექტიურ ხელშეკრულებაზე.

რიონის ჰიდროელსადგური

რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარი საგამოკვლევო მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. წინასწარ სამუშაოთა დასრულება განზრახულია 10 აპრილისათვის, როდესაც მოსკოვიდან უნდა ჩამოვიდეს სპეციალური კომისია სადგურის ასაგები საბოლოო ვარიანტის არჩევის მიზნით.

კომისიის ჩამოსვლისათვის საბოლოოთ იქნება გამომუშავებული სადგურის [illegible] უბნის გეგმა, გაყვანილ იქნება მთავარი არხის მიმართულება და სხ.

კომისიაში შევლენ ცნობილი პროფესორები —ვასილიევი და გლუშკოვი.

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

1 აპრილს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყება ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს მთავარ მოლარის ბაქრაძის, ყოფილ ბუღალტერის ქავთარაძის, ბუღალტერის თანაშემწე გრიშაშვილის და მატერიალური ნაწილის გამგის მელიავას საქმის გარჩევა.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ სახაზინო ფულების გაფლანგვა.

კუციძის და ლორთქიფანიძის საქმე

19 აპრილს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა თამბაქოს ტრესტის მეორე მაღაზიის ყოფილი გამგის კონსტანტინე **კუციძის** და პირველი მაღაზიის ყოფილი გამგის დ. **ლორთქიფანიძის** საქმე.

კუციძეს და ლორთქიფანიძეს ბრალდებათ სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა.

რეციდივისტების გასამართლება

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, ამხ. გასიევის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: კესინოვის და ბიბინაშვილის მონაწილეობით გაირჩა ქურდ-რეციდივისტების: მიხეილ პანიუკინის, ოსმან ალიევის და ივანე კოპიოვის საქმე.

გასულ წელს ბრალდებულებმა ერთმანეთი გაიცნეს [illegible].

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ „მეგობრები“ შეხვდნენ ერთმანეთს და გადასწყვიტეს გამოენახათ ფულის საშოვნელი წყარო. ამ მიზნით გასული წლის თებერვალში გამოანგრიეს მუშკოოპის № 11-ე მაღაზიის კედელი, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. „მეგობრები“ დააპატიმრეს.

სასამართლომ პანიუკინს, ალიევს და კოპიოვს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს და 5 წლით უფლებების შეზღუდვა.

ხელოვნება

„Любовь Яровая“. დრამა 5 მოქ. კ. ტრენევისა. დადგმა ტატიშჩევის—მხატ. პელიონკინი.

კ. ტრენევის პიესის ფაბულას წარმოადგენს სამოქალაქო ომი სამხრეთ რუსეთში. ქალაქი გადადის ხელიდან ხელში. შემზარავი სცენები თეთრგვარდიელთა ტერორის, გამხეცების და მორალური გახრწნის ეპიურ მოთხრობის სახით იშლება მაყურებლის წინ. ჯანმრთელი რევოლიუციონური პათოსი, იდეა თავისი, სოციალისტურ სამშობლოს დაცვისა მხატვრულად დასრულებულ ფორმებში მოცემული, დაპირისპირებულია „ერთიან“ „განუყოფელ“ „მართლმადიდებელ“ რუსეთის აღდგენისათვის ბრძოლის იდეასთან.

მიუხედავად მრავალრიცხოვან პერსონაჟისა დრამატურგი ახერხებს თვითეულ მათგანში მოგვცეს რაღაც ცხოვრებრივი, დამახასიათებელი და ტიპიური. ავტორი არ კმაყოფილდება თავისი გმირების გამარტივებულ, შაბლონურ დაყოფით „დადებით“ და „უარყოფით“, რევოლიუციისთვის თავდადებულ და მის მოწინაღმდეგე ტიპებად.

თვით „ლიუბოვ იაროვაია“ მოსწრებულად მოგონილი სახელი და გვარია. პიესის მთავარი გმირი ქალისა. ლიუბოვ იაროვაია—სოფლის მასწავლებელი ქალია, რომლის ქმარი უგზოუკვლოდ დაიკარგა იმპერიალისტურ ომის დროს. „წითლების“ მიერ ქალაქის ევაკუაციის შემდეგ, რომელშიდაც იშლება მთელი მოქმედება, იაროვაია უშიშრად რჩება „თეთრების“ ბანაკში, მტრის ზურგში მუშაობის საწარმოებლად. მას ანცვიფრებს კომისარ ვიხორის ქცევა, რომელიც საბჭოთა ჯარების ქალაქიდან გასვლის შემდეგ ხდება თეთრგვარდიელთა „კონტრ-რაზვედკი“-ს უფროსად. ის აღმოჩნდება მისი იმპერიალისტურ ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი-იაროვოი, წინედ თავდადებული მებრძოლი რევოლიუციონერი, ეხლა კი „სამშობლოს მხსნელთა“ ბანაკში გადასული. აქ მოცემულია ძირითადი ნასკვი პიესის —მასწავლებელ ქალ იაროვაიას თავის ყოფილ ქმრისადმი სიყვარულის და მოვალეობის გრძნობის შეჯახება, გრძნობის დაძლევა რევოლიუციისადმი მოვალეობით ვერ არის სავსებით მხატვრულად გახსნილი აქტორის მიერ.

მუშათა თეატრის რუსულ დრამას ბევრი გაუკეთებია პიესის სცენიურ გაცოცხლებისათვის. მკვეთრი მონახვა პერსონაჟის კანონზომიერება მათი შეჯახების, მოქმედების გაშლა სცენების და ეპიზოდების მწყობრი ცვლით სტოვებს მთლიან შთაბეჭდილებას სერიოზულ, ღრმად დამუშავებულ სცენიურად დასრულებულ სპექტაკლისას. სადავო შეიძლება იყოს მხოლოდ მეორე მოქმედების ბოლო-პარაკლისი თეთრების“ შემოსვლისას. აქ ასეთ დეტალებში დამუშავებულ ლიტურგიას, განსაკუთრებით არხიერეის მქუხარე ხმის წყალობით, რეჟისორის განზრახვის საწინააღმდეგოდ შეიძლება მართლაც ერთგვარი რელიგიური განწყობილება შეუქმნას აუდიტორიის ერთ ნაწილს. უკანასკნელ მოქმედებაში „წითლების“ შემოსვლისას მოსახლეობის პათოსიც რელიეფურად, წინა პლანზე გადმოტანით ვერ იქმნა მოცემული.

სიმძიმის ცენტრი რუსულ დრამას, როგორც ყოველთვის, შესრულებაში გადაუტანია. მთავარი გმირის—იაროვაიას ძნელ როლს სავსებით დაეუფლა მსახ. ქალი ლეშჩინსკაია. უძნელესი ადგილები უკანასკნელ მოქმედების—სცენები ტრაგიკულ რყევის და გადაწყვეტილების შეუდარებელის გულწრფელობით იქნა განცდილი. სავსებით მოერია პატიოსან, მაგრამ გზა-აბნეულ ინტელიგენტის და მოსიყვარულე ადამიანის როლს მსახ. ლიუბოში. დიდის ტემპერამენტით, გულწრფელის, დამარწმუნებელის, პათოსით იქმნა შესრულებული კომისარ კოშკინის როლი მსახ. კლიმოვის მიერ.

მთელი გალერეა დამახასიათებელ ტიპებისა შექმნეს ლიპნიცკამ („გროზნოი“)—ხანდამიროვმა (გორნოსტაევ), ზორინმა (ჩირ), ლიტვინოვამ (დუნკა) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიუბიმოვის მიერ შექმნილი მეზღვაური შვანდიას სახე, შეძლება მეტის მეტად მხიარული, მაგრამ მეტად საინტერესო ტიპი ჩვენი რევოლიუციისა.

ზზეფი.

ხელოვნების ქრონიკა

— **ოპერის თეატრში 3 აპრილს** გაიმართება ოპერის თეატრის მოლარეების თამარა და ელენე გველესიანებისა და ნინო სარაჯიშვილის საღამო. მიდის ოპერა „ტოსკა“ ინაშვილის მონაწილეობით. შემდეგ გაიმართება ბალეტი.

— **„გოფმანის ზღაპრები“.** დღეს ოპერის თეატრში მიდის „გოფმანის ზღაპრები“.

— **მირრა ელიავას კონცერტი.** 6 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მირრა ელიავას კონცერტი.

— **ხუთშაბათს, 31 მარტს ავლაბრის მუსიკალურ სასწავლებელში კომპოზიტორ** ბეთჰოვენის გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო გაიმართება კონცერტი.

— **დ. სმირნოვის გასტროლები.** 5 აპრილიდან ოპერის თეატრში დაიწყება მომღერალ დ სმირნოვის გასტროლები.

— **„ვინ არის დამნაშავე“.** დღეს, განათლების მუშაკთა სახლში, ნაჩვენები იქნება 15 ნაწილად (გადიდებული) „ვინ არის დამნაშავე“ სტუდენტთა მხარეთმცოდნეობის საზოგადოების სასარგებლოდ.

— **კვირას, 3 აპრილს,** ბათომის სახელმწიფო აკ. დრამა მეოთხეჯერ დასდგამს—ს. ტრეტიაკოვის ცნობილ პიესას „იღრიალე ჩინეთო“. დადგმა: აკაკი ფალავასი.

რკინის გზებზე

ახალი ხიდი

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს შეუდგეს ახალი ხიდის აგებას მდ. კაცხურისხევზე. ხიდი იქნება სამ თალიანი და ყველა თაღები აშენებული იქნება ქვისაგან.

ეს ხიდი იქნება მესამე ა.-კ. რკ. გზებზე, რომელიც აშენდება ქვისაგან.

ხიდი მდ. დიდ ლიახვზე

სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილების სამმართველომ დაამთავრა ახალი რკინა ბეტონის ხიდის აგება მდინარე დიდ ლიახვზე. ხიდი მდებარეობს ჯავაროკის გზატკეცილზე, რომლის გაყვანაც ამ ორი წლის წინად დაიწყო. ხიდის სიგრძე 7 საჟენს უდრის. მუშაობა გზატკეცილის დასამთავრებლად განახლდება აპრილიდან. გზატკეცილი წელს მოთავდება.

ა.-კ. გზების გამოკვლევა

გასულ წელს გზათა - მიმოსვლის კომისარიატის შრომის მომწესრიგებელმა ცენტრალურმა ბიურომ ა.-კ. რკ. გზებზე მოახდინა შრომის მოწესრიგების გამოკვლევა. გამოკვლეულ იქნენ: გზათა სამმართველო, მთავარი სახელოსნოები, შრომის მომწესრიგებელი საგზაო ბიურო და წევისა და მოძრაობის დარგის ზოგიერთი უბნები.

შეგროვილი მასალები წარედგინა განსახილველად გზათა-მიმოსვლის კომისარიატს.

ამ მასალების გაცნობის შემდეგ საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა ამხ. ი. ე. რუძუტაკმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია ა.-კ. რკ. გზების მუშაობის ზოგიერთი არა ნორმალური მხარეები.

ბრძანებაში აღნიშნულია არა საკმაო კონტროლი გამგეობისა სამუშაო ძალების სისწორით გამოყენებაზე და ის გარემოება, რომ სამმართველოს განყოფილებების კონტროლი საკრედიტო დისციპლინის დაცვაზე სუსტია.

რაც შეეხება თბილისის მთავარ სახელოსნოებს, იქ სარემონტო მუშაობა სწარმოებს ისეთ ფორმებში, რომ ცისტერნების და [illegible] შეკეთება ყოვნდება.

სამუშაო ძალთა არა სავსებით გამოყენებას მთ. სახელოსნოებში იწვევს წარმოების არა სწორი დაყენება. სამუშაოთა გადაცემა საამქროდან—საამქროში, დაზგიდან—დაზგამდე ხშირად გვიანდება და ეს ნიშნავს მოძრავი შემადგენლობის დაყოვნებით გამოშვებას.

არ არსებობს სათანადო კონტროლი, ცალკე მუშების მიერ შესრულებულ საქმეზე, როგორც შესრულებულ სამუშაოს რაოდენობის, ისე მისი თვისების მხრივ.

შრომის დისციპლინა სუსტია.

ნარდი მუშაობის სისტემა სახელოსნოებში არ არის დაყენებული სწორ ნიადაგზე.

ამასთანავე სახელოსნოების მუშაკების განრიგება სატარიფო ცხრილის მიხედვით სწარმოებს არა სწორად. მაგალითად: საამქროს გამგის ხელფასი არ აღემატება კვალიფიციურ ხელოსანის ხელფასს, და ხოლო შავი მუშის ხელფასი კი თითქმის გათანასწორებულია ზოგიერთ კვალიფიციურ მუშაკის ხელფასთან.

საორთქმავლო ბრიგადის მუშაობაში: თბილისის, ლენინაკანის და სხვა უბნებზე მთელი ნახევარი წლის განმავლობაში აღნიშნულია ზედმეტ საათებში მუშაობის თვალსაჩინო რაოდენობა (30 პროცენტამდე); ქუთაისის და ხაშურის უბნებზე კი ადგილი აქვს სამუშაოთა სისტემატიურ შეუსრულებლობას.

ბაქოს სახელოსნოებში აღნიშნულია მუშაობის მოუწესრიგებლობა.

წევის დარგის უბნებზე არსებული სისტემა შრომის მოწესრიგებისა არ უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რადგან სამუშაოთა ფაქტიური აღრიცხვა არ სწარმოებს, ეს კი შესაძლებელია პირადი ან ჯგუფობრივი ნარდი სამუშაოების შემოღებით.

ხშირად კვალიფიციურ მუშებს იყენებენ შავ სამუშაოებზე, რაც იწვევს მათ უმიზნოდ გაცდენას.

მიაჩნია რა ასეთი მდგომარეობა დაუშვებლად, გზათა კომისარიატი წინადადებას აძლევს ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას მიიღოს გადამჭრელი ზომები აღნიშნული არანორმალურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად.

ნარევი

სისწრაფის რეკორდი

ბრიტანეთის ცნობილმა ავტომობილისტმა იორ სეგრევმა, სპეციალურად აგებულ 1000 ცხენის ძალიან ავტომობილით დაამყარა სისწრაფის მსოფლიო რეკორდი—203.84 [illegible] საათში.

ტიფი

მონ-რეალში (კანადა) უკანასკნელ დღეებში ტიფით დაავადმყოფდა 1.438 კ.

ხანგრძლივი ფრენის რეკორდი

დესსაუში ავიატორ ლისმა დაამყარა ჰიდროპლანით ხანგრძლივი ფრენის მსოფლიო რეკორდი—9 საათი. უკანასკნელი რეკორდი—7 ს. და 35 წუთი დამყარებული იყო ეთ-ერთ ამერიკელის მიერ.

სიმაღლის რეკორდი

ფრანგმა მფრინავმა დე-მონჟო დამყარა სიმაღლის მსოფლიო რეკორდი—9.000 მეტრი ჰიდროპლანით, უკანასკნელი მსოფლიო რეკორდი უდრიდა 8.980 მეტრს.

ბიბლიოგრაფია

ედ. ერტელი „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი“ თარგმანი ივ. გომელაურისა სახელგამი 1927 წ. გვ. 155. ფასი 80 კაპ.

სახალხო პირველდაწყებითი სკოლების სრული გადახალისება, და მათი რაციონალურ საფუძვლებზე დაყენება ჩვენი საგანმანათლებლო ორგანოების მთავარ ყურადღებას იპყრობს. დაკავშირებით იმ რეფორმებთან, რომელიც ტარდება ჩვენში სახალხო სკოლების ხაზით, ჩვენთვის საინტერესო ხდება პედაგოგიკაში იმ ახალ რეფორმატორულ მიმდინარეობათა გათვალისწინება, რომელსაც ადგილი აქვს დღეს-დღეობით ევროპაში.

ედ. ერტლის წიგნი „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი“, თარგმნილი ქართულ ენაზე ივ. გომელაურის მიერ, ახალ პედაგოგიურ მოსაზრებათა კრებულია. ის მით უფრო საინტერესოა, რომ მთელი რიგი რეფორმებისა, რომლებსაც აყენებს ერტლი თავის წიგნში, როგორიცაა მაგალითად—მოწაფეებში თვითმოქმედების და ინიციატივის გაღვივება, მათი ფიზიკური, ზნეობრივი და ინტელექტუალური აღზრდის ახალი მეთოდები, მოწაფეთა თანდაყოლილ ნიჭის განვითარება, თამაშობის და ექსკურსიების ფართოთ შემოღება და სხვა—ყველაფერი ეს განხორციელებულია, ან ხორციელდება ჩვენ სინამდვილეში. ლოზუნგი—„სკოლა არა სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის“, რომელსაც აყენებს ერტლი, როგორც სასურველ იდეალს ჩვენთვის უკვე ნაწილობრივად ხორცშესხმული სინამდვილეა.

ავტორის ძირითად პრინციპიალურ მოსაზრებას წარმოადგენს—სკოლის შრომის პრინციპზე დამყარება. იგი გადაჭრით ილაშქრებს სწავლების ძველი მეთოდების წინააღმდეგ, რომელიც დღემდი ვერ გასცილებია ტრადიციულ სქოლასტიურ საზღვრებს და მთავარ მიზნათ ისახავს განყენებულ ცოდნას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სიცოცხლეს, სრულიად ფუჭია პრაქტიკული საქმიანობისათვის და ამდენათ მკვდარ კაპიტალს წარმოადგენს. სკოლის დაახლოება ცხოვრებასთან, მისი სინამდვილის სიღრმეში შეჭრა და მომქმედ პრაქტიკულ იარაღად გარდაქმნა—აი, რა უნდა შეადგენდეს, ავტორის აზრით, სახალხო სკოლის მთავარ მიზანს.

წიგნში მოყვანილია სკოლაში სასწავლებელი მასალის განაწილება წლების მიხედვით, რომელშიაც განსაკუთრებით ფართო ადგილი აქვს დათმობილი ბუნების შესწავლას, მასთან ცოცხალ და უშუალო კავშირს. საინტერესოა ავტორის მოსაზრება მოწაფეთა გამოკითხვის წესების შესახებ. გამოცდის არსებული მეთოდები, ერტლის აზრით, იწვევს „მოწაფეებში დაუდევრობას და პასივობას“, საჭიროა გამოკითხვის ხასიათის ძირითადი შეცვლა, მოწაფეთათვის ისეთი ახსნა-განმარტების მიცემა, რომელიც ცხადყოფს მათვის აზრთა მთელ წყობას. არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ავტორს მის მთავარ მოსაზრებაში, რომელიც მთელი მისი მსჯელობის ქვაკუთხედს წარმოადგენს—სახალხო სკოლის შრომის სკოლათ გარდაქმნის შესახებ.

მაგრამ შეუძლებელია მთლიანად მივიღოთ ყველა მისი მოსაზრებანი. ავტორი მიუხედავათ თავის რადიკალიზმისა სკოლის რეფორმის საკითხში, მაინც ვერ სცილდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის საზღვრებს. თავში „სოციალური აღზრდის რეფორმა“, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს სოციალურ უთანხმოების შესახებ, ამ სოციალურ წინააღმდეგობათა შემარიგებელ და ჰარმონიულად შემთანხმებელ იარაღად აღიარებულია შრომის პრინციპზე დამყარებული სახალხო სკოლა. „საჭიროა ორივე მოწინააღმდეგე მხარეში (ლაპარაკია შეძლებულ და შეუძლებელ კლასებზე—მ—ი) **იჩინოს თავი სოლიდარობის შეგნებამ, ინტერესთა ერთიანობამ და ურთიერთ პატივისცემის გრძნობამ**“ ამბობს ავტორი და ასკვნის, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა „სკოლა აღვიძებდეს მოწაფეებში სოციალურ ინსტინქტებს“. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ავტორი კაცთა შორის სათნოებისა და სიყვარულის დამყარების თვალსაზრისს იცავს. სახალხო სკოლისათვის ბურჟუაზიულ წყობილების პირობებში ასეთი ამოცანის დასახვა ნიშნავს შრომის პრინციპის დასამარებას და არა მის გაფურჩქვნას.

საერთოდ კი წიგნი მდიდარია კონკრეტიული მასალითა და მითითებებით და ამდენათ მისი გაცნობა ბევრს შესძენს ჩვენ სახალხო მასწავლებლობას.

სამწუხაროთ შთაბეჭდილებას ბევრად ამცირებს თარგმნის სისუსტე. მთარგმნელი ხშირად ხმარობს უხეშ გამოთქმებს, როგორიც არის „ჩაარჩონ“, „უკიდურებაში“, „ზედგავლენას“, „საზნეობრიო“, ხშირია აგრეთვე სრულიად ბუნდოვანი წინადადებები, მაგალითად „აზრთა მთელი კუნწული(?)“, „და მის მოთხოვნილებათა და დებულებათა ცხოვრების სინამდვილეში განხორციელებაში“ და სხვა.

მკითხველი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 35

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მოუვლელობის გამო ქალაქად საცხოვრებელი შენობების მუნიციპალიზაციის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის საცხოვრებელი შენობა ქალაქად, რომლის მფლობელიც ამ შენობას დაქცევისაგან გადარჩენისათვის საჭირო რემონტს არ უკეთებს, მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ უნდა იქნეს ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესისამებრ.

2. უკეთუ აღმოჩნდება ისეთი შენობა, რომელიც რემონტის გაუკეთებლობის გამო იქცევა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მოახდინოს გასინჯვა-დათვალიერება ამ შენობისა სპეციალური კომისიის მეშვეობით ტეხნიკური და ზედამხედველობის მონაწილეობით.

3. უკეთუ გასინჯვა-დათვალიერებით გამორკვეულ იქნა, რომ შენობას მოვლა-პატრონობა აკლია და ეს იწვევს მის დაქცევას, ზემოაღნიშნული კომისია შეადგენს სათანადო აქტს შენობის მფლობელის თანდასწრებით. მფლობელის გამოუცხადებლობა, უკეთუ მან შეტყობინება მიიღო, ვერ დააბრკოლებს აქტის შედგენას.

4. ტეხნიკური გასინჯვა-დათვალიერების აქტის შედგენასთან ერთად კომისია გამოიანგარიშებს შენობის საერთო შემოსავალს და ყველა, მის შესაბამად საჭირო ხარჯს, აგრეთვე გამოარკვევს მფლობელობის ნივთიერ შესაძლებლობას რემონტის გაკეთებისათვის.

5. უკეთუ გამორკვეული ცნობების მიხედვით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნდება, რომ მფლობელს შესაძლებლობა აქვს შენობის შემოსავლით ან სხვა რაიმე წყაროთი გააკეთოს საჭირო რემონტი, იგი მისცემს მფლობელს წერილობითი წინადადებას გასწიოს რემონტისათვის საჭირო ხარჯები, თანაც განუსაზღვრავს მუშაობისათვის საჭირო ვადას, რაც დამოკიდებულია სამუშაოს თვისებასა და ხასიათზე, აგრეთვე მფლობელის ნივთიერ შესაძლებლობაზე.

6. რემონტისათვის მიცემული ვადის გასვლისას, კომისია კვლავ მოახდენს შენობის გამოკვლევას, მფლობელისათვის წინასწარ შეტყობინებით. მფლობელის გამოუცხადებლობა, უკეთუ შეტყობინება მიიღო, შენობის გამოკვლევას ვერ შეაჩერებს.

7. გამოკვლევის შედეგის თაობაზე კომისია შეადგენს აქტს ყველა დამსწრის ხელმოწერით.

8. უკეთუ გამოკვლევით (მუხ. 6) გამოირკვა, რომ შენობის მფლობელს დაკისრებული რემონტი არ გაუკეთებია, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი აღძრავს სათანადო სახალხო სასამართლოს წინაშე შუამდგომლობას, რათა სასამართლომ დაადასტუროს შენობის მოუვლელობის ფაქტი.

9. შენობის მოუვლელობის ფაქტის დამადასტურებელი სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შენობის მუნიციპალიზაციის შესახებ. წინადადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-3 და 7 მუხ. აღნიშნული გასინჯვა-დათვალიერებისა და გამოკვლევის აქტები და აგრეთვე სახალხო სასამართლოს დადგენილების ასლი.

10. შენობის მუნიციპალიზაცია მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს ს.ს.რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხ. თანახმად, უსასყიდლოთ.

შენიშვნა. გასინჯვა-დათვალიერების შემდეგ (მე-3 მუხ.) შენობის მესამე პირის ხელში გადასვლა ვერ დააბრკოლებს მუნიციპალიზაციას ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესით.

11. დადგენილება ესე შეტანილ იქნეს საქართველოს ს.ს. რესპ. კოდექსში 69 მუხლის შენიშვნის დანართად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 20
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება პარასკევს, 1 აპრილს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეთში.

— საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ივანე რუხაძეს და იოსებ სტეფანოვს გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტში სასკოლო განყოფილების გამგე ამხ. ქარელთან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე, შესდგება კოოპერატიულ და იურიდიულ სექციების (რუს. და ქართ.) მორიგი მეცადინეობა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში დღეს, 31 მარტს, საღამოს 5 საათზე.

1) დავით [illegible] 2) ივანე [illegible] 3) გრიგოლ ა. ამინოვი 4) სედრაკ გ. ტერიოიანცი 5) სარქის ს. [illegible] 6) [illegible] 7) [illegible] 8) [illegible] ს. ასლამაზიშვილი 9) დეასო ი. ბაკოევი 10) ზინა ი. მილერმანი 11) ეკატერინე ა. გელიუს 12) სათენიკ გ. ეგიაზაროვი 13) ვარდუი ს. ტატიანცი 14) დიმიტრი ა. ოსიპოვი 15) ანა დ. სირაძე 16) პეტროს [illegible] არზუმანოვი 17) ელიზბარ ზ. ნაბიჯრიშვილი 18) მკრტიჩ ა. აბრამიანი 19) კონსტანტინე ნ. [illegible]ანდელაკი 20) მიხეილ [illegible] აიდანოვი 21) ვაგან [illegible] აგრესიანი 22) ვლადიმერ ბოქორაძე 23) ერაკლე გ. [illegible]ტაშვილი 24) გიორგი ე. მამასახლისოვი 25) ალექსანდრე ს. ვაშაკიძე 26) კონსტანტინე ა. ობეროვი 27) გრიგოლ ო. გაბუსკოვი 28) მიხეილ პ. ხაჩატუროვი 29) ნიკოლოზ ი. [illegible]იხინი 30) გრიგოლ ს. არუტიუნოვი 31) [illegible] ა. ხანდამოვი 32) ჰექტორ ნ. კიუნზერი 33) [illegible]არშაკ ა. კაზაროვი 34) გევორკ ს. გევორკოვი 35) სუმბატ ა. არაქელოვი 36) ვენკო ა. გრიგორიანი 37) ალექსანდრე დ. მაჩვილაძე 38) [illegible] ა. პეტროსიანი 39) აინაზ ს. გალუსტოვი 40) პავლე ს. ბაინდუროვი 41) არამ კ. შაგოიანი 42) ეკატერინე ა. კოგანი 43) ვასილ ა. ტერეშკინი.

რისიკო ათანეს ასული გაგუაძე შვილებით: ნუცა, დავით, გრიგოლ, ნიკოლოზ, რძლით: ლიუბა დიმიტრის ასული, ძმისწულები: მარიამ და ანდრო ქუთათელაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ხონში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველთა დაი, მეორეთა დეიდა და უკანასკნელების მამიდა

ნატალია ათანასეს ასული ქუთათელაძისა

დაკრძალვა ქალ. ხონში 31 მარტს, დღის 4 საათზე. ნ. 924

საუდაბოთ გულმოკლული მშობელი დედა ტ[illegible], დები: ნინა და ფატი, ძმა რუბენი, ბებია ელისაბედი მახარაძეები მწუხარებით აღნიშნავენ მათი უკანასკნელი იმედის, ქუთაისის პარტ[illegible]ის მოძრავ პოლიტსკოლების ლექტორის

თედორე ივანეს-ძე მ[illegible]ხარაძის

გარდაცვალებიდან 31 მარტს, დღისით ხუთშაბათს, 40 დღის შესრულებას. ნ. 927

ღრმად დამწუხრებულნი ლენა და სერგო ყ[illegible]შვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 28 მარტს, დილის 11 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარო ბოლქვაძე[illegible] ასული ერქომაიშვილისა

დაკრძალვა მოხდება სოფ. წითელმთაში 31 მარტს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 927

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე თეო[illegible], დედა მაკრინე, შვილები: ამბროსი, გიორგი, ნიკოლოზი, მიხეი[illegible] ეკატერინე და ვალერია; რძლები: ბაბილინა და ნინო შვილებით ა[illegible]ებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, სოფ. ბაზალეთში (შორაპნ. მაზ.) ა. წ 29 მარტს, გარდაიცვალა მათი ტკბილი, საყვარელი და მუდამ ჟამს დაუვიწყარი[illegible] ამავე ოჯახის მამა

იოსებ (მოსე) დომენტი[illegible]-ძე ჭიპაშვილი

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 2 აპრილს 1927 წლ. სოფ. ბაზალეთში. 2286 2—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ქვრივი მა[illegible] (მაკრინე) გიორგის ასული, შვილები: პავლე, ანტონი და კალენიკე[illegible] ქალი სონია (სოფიო) ალექსის ასული შვილიშვილები: შალვა და [illegible]მარა ბარბაქაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრივ ა. წ. 27 მარტს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პორფილე ტერენტი[illegible]ს-ძე ბარბაქაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს, 31 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. ქვედა-საქარაში (შორაპნის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. 2287

„სეკარის სითხე“

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 724 10—1

„სეკარის სითხე“

მზადდება ცხოველების სათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალ[illegible] ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველა აფთიაქებში და ხანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელათ მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის

კოოპერატივი „გალენ მოსკვა“-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი ჰერცენის ქ. № 5 განყ. 66

მთავარ საწყ[illegible]ან ფოსტით იგზავნება არა ნაკლე[illegible] ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით [illegible] გადახდის შემდეგ. შეხვევა და [illegible] გზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს 2 მან.

„კომუნისტი“

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან მთელი ოზურგეთის მაზრისათ
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩემჩირი—ადამიასთან
19. სად. ბორჯომი—) რ. თარგამაძესთან
20. ბორჯომ-ბაღი—) რ. თარგამაძესთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშვალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

ხელის მოწერა სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან არ მიიღება

„კომუნისტი“ მთავარი კანტორა

1—0

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.

მერი პიკფორდი საუკეთესო სურათში „როცა თოვლი გადნება“
ანონსი: მალე „მეორე ახალგაზრდობა“

უკანასკნელად თბილისში „ბაღდადელი ქურდი“ დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

მსოფლიო შედევრი! მონოპოლიურათ ჩვენს ეკრანზე „სოდომი და გომორა“ ლიუსი დორეინის მონაწ. ორი სერია 13 ნაწ. ერთად

საუკეთესო სურათი „ოქროს მაძიებელნი“ ვილიამ დესმონდის მონაწილეობით. 1 და 2 სერია ერთად,

ანონსი: მალე შედევრი „ბელა დონა“ პოლა ნეგრის, ად. მენჟუს და კონვეი ტირლის მონაწილ.

0—25 ნ. 748

ცირკი ძმ. ტანტების ტელ. 16—67 წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!! 2—2 ნ. 918

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

დღეს, 31 მარტს,

სანახაობანი მთელი შემადგენლობის მონაწილეობით—3 განყ.

გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი ჭიდაობს 4 წყვილი

1-ლი წყვილი შულც—წითელი ნიღაბი მე 2 წყვილი ბულ—სუტიაგინ მე-3 წყვ. გურსკი—ბუმბერაზი ზოტ მე-4 წყვ. კარბე—ელეზნიაკ

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

ექიმი მებრაბიანცი

ფილტვების, გულის და ღვიძლის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექ. ი. ე. ბაბიჩაძე

პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფ. ებს.

დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართლოს აღმასრულებ. გ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 5 აპრილს დღის 2 საათზე სახლში № 127 პლეხანოვის გამზირზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. კეშეშოვის მოძრავ ქონებას: პატარა მაგიდებს, სკამებს, საყინულეს, ყვავილების დასადგმელს, კასის მაგიდას, სხვადასხვა თეფშებს, სურათებს ჩარჩოებით, შკაფს და სხვა. თანახმად შრომის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრ. ფურცლისა ა | წ. 28 მარტს № 1039 გემოკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად. ნ. 928

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 277, მიღებული ქუთაისის დამზღვ. სალაროდან დიმიტრი იორდანი[illegible]-ძე ქიქ[illegible]შვილის სახელზე, ჩ. გ. 2289

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული ერკეთის თემის ალმასკომისაგან და სამხედრო სამსახურისაგან თავისუფლების ბარათი ოზურგეთის სამხედრო მაგიდიდან მიღებული იაკინთე კოსტანტინეს-ძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 927

დავკარგე პირადობის მოწმობა და სააღრიცხვო ბარათი—დავით სპირიდონის-ძე საწებლიძეს სახელზე, ჩ. გ 2283

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 10 | 6. თედო ბოჭორიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2285

დავკარგე კოოპერატივ „მეომრისა“ საწევრო წიგნაკი გაცემული მიხეილ სამსონის-ძე ფირცხალაშვილის სახელზე № 6087, ჩ. გ. 2288

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი, პროფკავშირის წიგნაკი და სამხედრო კომისარიატიდან მოცემული თავისუფლების მოწმობა—მიხეილ ქანტურიძეს სახელზე, ჩ. გ. 2284

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი, მიღებული შორაპნის მაზრის ჭიათურის პროფკავშირიდან № 2768, გრიგოლ კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 2289

სახელმწიფო ოპერა

ნ. 925

დღეს, 31 მარტს, უკანასკნელად

გოფმანის ზღაპრები

ხპრიშევსკაიას, კარგარეთელის, გილბერტის, ვოლჩანეცკაიას, კანცბურგის და მეხნიაევის მონაწილეობით

დირიჟორი სტოლერმანი

პარასკევს, 1 აპრილს, მეორე აბონემენტის მეათე წარმოდგენა ლოენგრინ

შაბათს, 2 აპრილს, მესამე აბონემენტის ძეცხრე წარმოდგენა

ტრილბი

სახელმწიფო ოპერა

ნ. 936

დიმიტრი სმირნოვის გასტროლები

5 აპრილს რიგოლეტო გერცოგი—სმირნოვი

7 აპრილს მარგალიტის მაძიებელნი ნადირი—სმირნოვი

9 აპრილს გუგენოტები რაულ—სმირნოვი

ბილეთები იყიდება

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68,